

178  
1962/2



# სახკმთა სამართალი

178/2

საქართველოს კვლევითი ინსტიტუტი

1962

4



62/2

# საბჭოთა სამართალი

## № 4

ივლისი-აგვისტო  
1962 წელი  
ბაგოცემის IX წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურორისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
ო რ ტ ვ ი ე რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

### უ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები	3
საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციის წელი	11
ა. ფალიაშვილი — ექსპერტისათვის საქმის მასალების გაცნობა და მისი გამოკვლევის ფარგლები	12

### დისკუსია, გოლფიკა, რეპლიკა

ა. ბაგინი — დანაშაულობის მიზეზების შესწავლის საკითხისათვის	22
ბ. ფაფიაშვილი — დაქტილოსკოპიის ერთი საკითხის გამო	28
გ. მგელაძე — კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხისათვის საქართველოში	36
„იურიდიული ტერმინოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიისაგან	45

### არბიტრაჟი

მ. ლადიანი — სამედიატორო სასამართლოების შესახებ	53
წ. მამისაშვილი — სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ	55
ოფიციალური მასალა	58

### იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას


ჩ. ნარიშკინი — ქლეკით დაავადებულთა საავადმყოფო ფურცლების განაღდების შესახებ	76
---	----

### ქართული სამართლის ისტორიიდან

ბ. კეკელიძე — წინასწარი და სასამართლო გამოძიების საკითხისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში	77
პ. ილაშვილი — გ. წერეთლის დაცვიით სიტყვა	84

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. მამისაშვილი — ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ	87
გ. მამისაშვილი, შ. ბახტაძე — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი საკითხები“	92
ბ. ბაგინი	96



## СОДЕРЖАНИЕ



ВЫБОРЫ В ВЕРХОВНЫЙ СУД ГРУЗИНСКОЙ ССР . . . . .	3
СОРОК ЛЕГ СОВЕТСКОЙ ПРОКУРАТУРЫ . . . . .	11
А. Палиашвили—Ознакомление эксперта с материалами дела и пределы его исследования . . . . .	12

### ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

А. Габiani—К вопросу изучения причин преступности . . . . .	22
Ш Палиашвили—Об одном вопросе дактилоскопии . . . . .	28
О. Мгеладзе—Из истории криминалистической экспертизы и криминалистических учреждений Грузии . . . . .	36
От редакционной коллегии „Юридической терминологии“ . . . . .	45

### АРБИТРАЖ

Т. Дадiani—О третейских судах . . . . .	53
З. Мамисашвили—О частичном изменении положения о государственном арбитраже . . . . .	55
Официальный материал . . . . .	58

### ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ НАСЕЛЕНИЮ

З. Нариманов—Об оплате больничных листов туберкулезно-больных . . . . .	76
---	----

### ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

М. Кекелия—К вопросу о предварительном и судебном следствии во второй половине XVIII века в Грузии . . . . .	77
В. Сидамонидзе—Защитительная речь Г. Церетели . . . . .	84

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Ткешелиадзе—Труд о незаконченном преступлении . . . . .	87
Г. Еремов, У. Бахтадзе—„Конституция Союза ССР и основные вопросы советского законодательства“ . . . . .	92
ЭПИГРАММЫ . . . . .	96

### სარედაქციო კოლეგია

შეკ. № 2260  
ტირაჟი 6.900  
შე 03408

ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი,  
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 19 XI-62 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-62 წ. ანაწყოების რაოდენობა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმის რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунист“ издательство ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина № 14.

## ქართველთა სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღ-  
ლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მაისურაძე ვლადიმერ ივანეს ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ჭაჭაია სერგი იასონის ძე, იოსავა გიორგი ყირიმის ძე, ცქიტიშვილი გიორგი  
კონსტანტინეს ძე.

### საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:

აბაშიძე ანდრია ვლადიმერის ძე  
აბაზოვი ოთარ ქოჩორის ძე  
ადამიანი სურენ გელამის ძე  
ბადაგაძე ნიკოლოზ ალექსის ძე  
ბალათურია დავით ისიდორეს ძე  
ბლიაძე გოდერძი ვლადიმერის ძე  
ბუბაშვილი ტარასი სევერიანის ძე  
გაჭიევი ნასიმ ყურბანის ძე  
გველესიანი ოთარ ალექსანდრეს ძე  
გიორგაძე დავით ილიას ძე  
გიგაური ანდრია იოსების ძე  
გუგაშვილი იოსებ ვასილის ძე  
გრძელიძე ვახტანგ თევდორეს ძე  
დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის ძე  
კობხრეიძე ლუბა მოსეს ასული  
მასხარიძე შალვა კირილეს ძე  
მირიანაშვილი ნინა მიხეილის ასული

მუშკუდიანი ვიქტორ ვასილის ძე  
ბაიჭაძე თამარ ვლადიმერის ასული  
ჟორდანიას ივანე შალვას ძე  
სუმბათაშვილი ივანე სიმონის ძე  
ფალავანდიშვილი აპოლონ  
ვლადიმერის ძე  
ქუმსიაშვილი ანა იორამის ასული  
ღულუნაშვილი ალექსანდრე არსენის ძე  
ცაბლოვა ელისაბედ პავლეს ასული  
ცინცაძე ალექსანდრე მიხეილის ძე  
ჭელიძე სერაფიონ ლუარსაბის ძე  
ჭიბაშვილი ბაბო (ბარბაღე)  
სერგის ასული  
ზონიკინა ადელინა ივანეს ასული  
ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული  
ჩაფარიძე ტოსია ლევანის ასული  
ჯიბლაძე ოთარ ალექსანდრეს ძე

### საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსჯეულები:

#### ა. თბილისი

არველაძე შოთა მელიტონის ძე  
ასათიანი არჩილ ივანეს ძე  
ასტვაცატუროვი გარეგინ დარჩოს ძე  
ანდრონიკაშვილი მიხეილ დავითის ძე  
არშაკიანი სუზანა სერგოს ასული


აბაშმაძე ლამარა ნოეს ასული  
არაქელაშვილი ნინო ივანეს ასული  
ასანიშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე  
არუთინოვა-ენიჭაშვილი ევგენია  
სარქისის ასული  
არშუმანოვი ლევ არკადის ძე

საქართველოს  
სსრ უმაღლესი სასამართლო

ბურკაძე ჭულიეტა ივანეს ასული  
 ბერიშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე  
 ბენაშვილი ილია ნიკოლოზის ძე  
 ბასიაშვილი გაბრიელ მარქარის ძე  
 ბკოტაბეგოვი გიორგი ივანეს ძე  
 ბერიძე დავით დიანოზის ძე  
 ბოდოკია ლილი ვალერიანის ასული  
 ბახტაძე რუსუდან დომენტის ასული  
 ბაქრაძე დარია სიმონის ასული  
 ბურჭულაძე თენგიზ ვლადიმერის ძე  
 ბახტაძე გივი ივანეს ძე  
 ბაზიაკი ვლადიმერ გრიგოლის ძე  
 ბიკაშვილი ლატავრა შალვას ასული  
 გოგოლაძე ბარონ ანდროს ძე  
 გამცემლიძე თენგიზ გრიგოლის ძე  
 გოგოლაძე გივი ანტონის ძე  
 გელაძე მედეა გიორგის ასული  
 გოგოლაშვილი ქეთევან

აპოლონის ასული  
 გიორგობიანი ალექსი არჩილის ძე  
 გაბათაშვილი ნინო ვასილის ასული  
 გეგუჩაძე ლილი აკაკის ასული  
 დავლიანიძე რევაზ სილოვანის ძე  
 დუნდუა ნინა სევერიანის ასული  
 დანგიაშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული  
 დიდუბაშვილი ალა ალექსანდრეს ასული  
 დავლიანიძე ვიტალი ალექსანდრეს ძე  
 დანდუროვი მაცკე ნიკოლოზის ძე  
 ებრაელიძე ნოდარ იროდიონის ძე  
 ელისაშვილი ნანა იოსების ასული  
 ვაშაკიძე ანზორ ვლადიმერის ძე  
 ვერულაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის ძე  
 მაჭარაძე ვარლამ ილარიონის ძე  
 ვარძელაშვილი კონსტანტინე  
 დიმიტრის ძე  
 ზანგალაძე ანზორ ალექსანდრეს ძე  
 ზუკაკიშვილი ბელა ზაქარაის ასული  
 ზედელაშვილი გიორგი მოსეს ძე  
 ზამთარაშვილი ნინო ზაქარაის ასული  
 ზაზანაშვილი თამარ გარსევანის ასული  
 თხელიძე ბორის პავლეს ძე  
 თიგიშვილი ზაქარია ილარიონის ძე  
 თოთაძე შოთა ივანეს ძე  
 თვალაბეიშვილი პავლე ვარლამის ძე  
 თენიშვილი დავით მირიანის ძე  
 ივანოვი ვლადიმერ ვასილის ძე  
 იშხნელი ევგენია მოსეს ასული  
 იაროვი დავით ალექსანდრეს ძე  
 იოსელიანი-მიქელაძე თამარ  
 ალექსანდრეს ასული  
 კაკაბაძე გიორგი მარკოზის ძე  
 კაპანაძე დავით ირაკლის ძე  
 კორძაძე ეკატერინე პლატონის ასული  
 კირვალაძე ლამარა სერგოს ასული

კავთელაძე ნიკოლოზ ტრიფონეს ძე  
 კერესელიძე ბაგრატ ალექსის ძე  
 კოლხიდაშვილი ზინა გიორგის ასული  
 კიპაროძე გრიგოლ ილიას ძე  
 კობერიძე ნაირა ალექსანდრეს ასული  
 კარიბოვი დიმიტრი ვლადიმერის ძე  
 კუტალაძე ლუარსაბ რაფიელის ძე  
 კვაჭაძე ირაპალი ესეს ძე  
 კოზლოვი ვიქტორ მიხეილის ძე  
 ლაფაჩიძე ირაკლი გიორგის ძე  
 ლილუაშვილი გურამ სიმონის ძე  
 ლორთქიფანიძე ელენე  
 ავქსენტის ასული  
 ლითანიშვილი ვასილ ნიკოლოზის ძე  
 ლიფანოვი სერგო ალექსანდრეს ძე  
 მარგალიტაძე ტარასი ონისიმეს ძე  
 მოდებაძე სპირიდონ პლატონის ძე  
 მიქელაძე ვარვარა იოსების ასული  
 მარდანიანა ნინა მელიტონის ასული  
 მეტრეველი ბაბილიანა  
 ბესარიონის ასული  
 მანჯავიძე რუსუდან პავლეს ასული  
 მშვენიერაძე მაყვალა კალინიკეს ასული  
 მჟავანაძე გურანდა ილიას ასული  
 მჟავანაძე ნელი დავითის ასული  
 მერაბიშვილი სერგო გიორგის ძე  
 მითაიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე  
 მენაბდე ალექსანდრე მათეს ძე  
 მშვიდლობაძე გრიგოლ შევარდენის ძე  
 მჭედლიშვილი მაყვალა გიორგის ასული  
 ნატროშვილი იოსებ ისაკის ძე  
 ნაკაიძე თამარ ლავრენტის ასული  
 ნადარეშიშვილი ვენერა ევგენის ასული  
 ოქროშიძე ირაკლი ივანეს ძე  
 ოშიაძე ოთარ ალექსანდრეს ძე  
 ოქროცოვიძე ვასილ ივანეს ძე  
 ოდიკაძე კონსტანტინე ალფეზის ძე  
 პატარაია ირაკლი კაპიტონის ძე  
 რებკა ალექსანდრე ვასილის ძე  
 როყვა ნათელა ნიკოლოზის ასული  
 რთველაძე ქეთევან იპოლიტეს ასული  
 რუხაძე გიორგი დავითის ძე  
 სუხიშვილი ივანე სიმონის ძე  
 სულაქველიძე ლეილა სამსონის ასული  
 სირაძე ანზორ სამსონის ძე  
 სახვაძე ნიკოლოზ გიორგის ძე  
 სამხარაძე ვასილ გულასპის ძე  
 სარალიძე ნინო ვასილის ასული  
 სულაძე იური ანტონის ძე  
 საყვარელიძე სერგო სიმონის ძე  
 ფილიაშვილი ლევან ვასილის ძე  
 ფირანიშვილი ვახტანგ აბელის ძე  
 ფანიაშვილი ალექსანდრე ტარიელის ძე  
 ფიცხელაური დავით ალექსანდრეს ძე



ფეიქრიშვილი ვახტანგ ივანეს ძე  
ქსოვრელი გრიგოლ იაგორის ძე  
ქავთარაძე სირან გიორგის ასული  
ქალიაშვილი ლიანა შალვას ასული  
ქორიძე გიორგი ალექსანდრეს ძე  
ლონდაძე ნიკოლოზ არჩილის ძე  
ლონტი ელისაბედ ანტონის ასული  
ყავლაშვილი ჯიბო მინას ძე  
ყურაშვილი მარია

ბ. შუთაიცი

გვაზავა ლუბა ბათლომეს ასული  
ინანიშვილი ნოდარ დავითის ძე  
იჩქითიძე ტრიფონ პართენის ძე  
კენჭოშვილი ვალერიან ვასილის ძე  
კვიციანი ვარლამ ლავრენტის ძე  
კოხოძე დავით ვარდენის ძე  
მელქაძე გივი კონსტანტინეს ძე  
მიხელიძე პაშა ილიას ძე  
მუშკუდიანი დიმიტრი სარდიონის ასული  
ნიჟარაძე ეფრემ გუას ძე  
ჟორჟოლიანი მიხეილ პლატონის ძე  
სინაურიძე ლევან თადეოსის ძე  
ტაბუციძე აკაკი ნიკოლოზის ძე  
ფერაძე სოკრატ ლეონტის ძე  
ცაგარეიშვილი ბიძინა კონსტანტინეს ძე  
ჭიჭინაძე ოთარ შალვას ძე  
ჭიშქელიშვილი ისაკ თეოფილეს ძე

ბ. გომრი

დევიდარიანი გულნარა  
კონსტანტინეს ასული  
კობერიძე ირაკლი პავლეს ძე  
რთველიაშვილი ანტონ ივანეს ძე  
ყანჩაველი მარო გიორგის ასული  
ჯამბურიშვილი ამირან ვლადიმერის ძე

ბ. რუსთაშვილი

ბილიხიძე ნოდარ სოლომონის ძე  
გაბეჩავა ნუნუ ალექსანდრეს ასული  
დემეტრაშვილი არჩილ ნიკოლოზის ძე  
ზოდელავა ალექსი გერმანის ძე  
კუხალიშვილი ჟორა მარკოზის ძე  
კაპანაძე კლარა სილიბისტროს ასული  
ლომიძე ვარდენ ივანეს ძე  
მალრაძე რომან იაკინთეს ძე  
ნიკოლეიშვილი ნოდარ ლეონტის ძე  
ყველია სულიკო კონსტანტინეს ასული  
ტიშკოვი ივანე დიმიტრის ძე  
ფერაძე ლამარა პეტრეს ასული  
შავიძე ნატა გიორგის ასული  
შჩებეროვა მარია სოფრომის ასული  
ხარაზიშვილი გულიზარ  
ვლადიმერის ასული  
ხვროსტიანოვი ანატოლი ევგენის ძე

ბ. ფოთი

გაბუნია ანა ალექსის ასული  
გახოკია ლუბა არტემის ასული  
გერსამია თინა პლატონის ასული  
ჩხარტიშვილი ეთერი  
ალექსანდრეს ასული  
როსლიაკოვი ვლადიმერ გიორგის ძე  
ხავთასი თინა მიხეილის ასული

კონსტანტინეს ასული  
ყუფარაძე ნანული პროკოფის ასული  
შენგელია ნოდარი ირაკლის ძე  
შავგულიძე ნინო გრიგოლის ასული  
ჩადუნელი რიმა ნიკოლოზის ასული  
ჩიგოგიძე პალიკო კონსტანტინეს ძე  
ჩიქოვანი აკაკი ირაკლის ძე  
ჩხაიძე კალისტრატე ექვთიმეს ძე  
ჩხიკვაძე ეთერ ნიკოლოზის ასული  
ჩერვიაკოვი ნიკოლოზ პეტრეს ძე  
ცერცვაძე გიორგი კირილეს ძე  
ცხადაძე ვახტანგ ალექსანდრეს ძე  
ცხადაძე ვალენტინა იოსების ასული  
წიფწივაძე ალექსანდრე ივანეს ძე  
წერეთელი ნელი ვლადიმერის ასული  
ჭობონელიძე თამარ დავითის ასული  
ჭელიძე სიმონ ტრიფონის ძე  
ხუნდაძე მურმან ვალერიანის ძე  
ხაინდრავა მარო ბაგრატიის ასული  
ხვიტია აბელ ბათვას ძე  
სამხარაძე ნინა ივანეს ასული  
ხუნდაძე ალექსანდრე სემონის ძე  
ჯანჭღავა რევა ვლადიმერის ძე  
ჯოჯუა ოთარ გიორგის ძე  
ჯაყელი ილია ალექსანდრეს ძე  
ჯაფარიძე რუსუდან ვიქტორის ასული

ბ. ბათუმი

ბაძღარაძე დიმიტრი მიხეილის ძე  
ბაისამიძე ქამელ ოსმანის ძე  
ძნელაძე ალექსანდრე ისმაილის ძე  
ქოიავა ტატიანა მალაქიას ასული

ბ. სოხუმი

აშუბა ბელა შუქრის ასული  
კურასკუა ვალერი ბორისის ძე  
ფანცულაია ზინაიდა  
ფლარიონის ასული

ბ. ცხინვალი

ბიტაროვი ნინო ალექსანდრეს ასული  
ივანიძე ნინა ვასილის ასული  
მალრაძე ვლადიმერ პავლეს ძე  
შავლოხოვი ხანუერიფა ვასილის ასული  
შაგოევი ინესა ქრისტეფორეს ასული



მ. ზინათურა

იობაშვილი აკაკი ვასილის ძე  
ფურცხვანიძე ლევან კალისტრატეს ძე  
შუკაკიძე ალექსანდრე ივანეს ძე  
ჭიჭინაძე ცაცა ვარლამის ასული

აბაშის რაიონი

გვაზავა ნიკოლოზ ნოეს ძე  
მელაძე მელიტონ უშანგის ძე  
ჩოჩია ბორის რემანოვის ძე  
ძველია ევგენი ალექსის ძე

ამგროლაურის რაიონი

გელოვანი აველი სიმონის ძე  
გიორგობიანი ქეთევან ივანეს ასული  
გოცირიძე ონისიმე სამსონის ძე

ახმეტის რაიონი

ებელაშვილი ცეზარი გეორგის ძე  
მოსიაშვილი შოთა ალექსის ძე  
უშიკიშვილი ზაქარია იოსების ძე

ახალციხის რაიონი

გამყრელიძე ანდრო გეორგის ძე  
გაზაზიანი მარია გრიგოლის ასული  
კაპანაძე ბიჭიკო ექვთიმეს ძე

ახალქალაქის რაიონი

არუსტამიანი შოგიკ კამისარის ასული  
დურგანიანი ამაიკ ოგანეზის ძე  
ვართანოვი ამბარცუმ მიხეილის ძე  
ნურჯანიანი აგვან გრიგოლის ძე

გოლენისის რაიონი

კუსეინოვი ნაბი ისმაილ ოღლი  
კუხალეიშვილი გერმან მიხეილის ძე  
დურბანოვი მესხალი მამედის ძე  
ცქვიტინიძე ფელსი ფარნას ასული

გორჯომის რაიონი

აბრამიშვილი ნინო იოსების ასული  
ანდლულაძე ალექსანდრე სამუელის ძე  
გიუაშვილი ვლადიმერ სერგოს ძე  
სულაქველიძე სერგო არტემის ძე

გაგაუკორის რაიონი

არურუა შოთა ვლადიმერის ძე  
ქავუარაძე დარეჯან ანდრიას ასული  
სულავა მამია გერასიმეს ძე  
წირღვავა გრიგოლ ალექსანდრეს ძე

გორის რაიონი

მაისურაძე იოსებ სიმონის ძე  
ურიგაშვილი რიმა ალექსანდრეს ასული

ხუროშვილი ალექსანდრე სიმონის ძე  
ჯიმშელიშვილი სილოვან ფარნაოზის ძე

გურჯაანის რაიონი

ანჯაფარიძე სამსონ ნიკოლოზის ძე  
ქოროლიშვილი ქოროლი  
ნიკოლოზის ძე  
მამუკაშვილი მარო ხარიტონის ასული  
ბერუაშვილი მერი სავლეს ასული  
კობიაშვილი ივანე იასონის ძე  
მაზნაშვილი ქეთევან  
გრიგოლის ასული

ვანის რაიონი

გიორგაძე ალექსანდრა ივლიანეს ასული  
დიასამიძე ამბერკი ილარიონის ძე  
საკანდელიძე ბაბილინა  
გალაქტიონის ასული

ხუნდაძე ასლან გეორგის ძე

დუშეთის რაიონი

ნამგალაური გულქანი დავითის ასული  
ხუროძე სერგო კონსტანტინეს ძე  
თინიკაშვილი ვლადიმერ  
ალექსანდრეს ძე

ღვანისის რაიონი

ალიევი გუსეინგულუ გადირის ძე  
ანტიფერი მიხეილ პეტრეს ძე  
ნონიაშვილი გეორგი ბაგრატის ძე

ყვსტაფონის რაიონი

კვანტრიშვილი გეორგი არქიფოს ძე  
კობახიძე ლევან ვასილის ძე  
ჩხიკვაძე გივი მიხეილის ძე  
ქელიძე თამარ მელიტონის ასული

ყუბლიდის რაიონი

მანია ვლადიმერ სპირიდონის ძე  
რაფავა რადიონ ბაგრატის ძე  
ჟვანია ოლია გუჭუს ასული  
ყურუა სერგო კლიმენტის ძე  
ყუფუნია თამარ კონსტანტინეს ასული  
ჩაგინავა ისაკი ალექსის ძე  
ჩანგელია შაქრო ბესარიონის ძე  
ჯიქია შალვა პორფილეს ძე  
ჯოჭუა ლიდა კონსტანტინეს ასული

თელავის რაიონი

ბერიძე მარიამი ილიას ასული  
კოშმანაშვილი მიხეილ იოსების ძე  
კირვალიძე მარიამ თომას ასული  
სვანიძე ზურაბ დავითის ძე  
ჩოხელი დიმიტრი მიხეილის ძე



**თერჯოლის რაიონი**

არეშიძე ზურაბ მიხეილის ძე  
ნასარიძე ივანე იაკობის ძე  
ჭუმბურიძე ნიურა კარპეს ასული

**თიანეთის რაიონი**

ბაიაშვილი ნინო ავაჯანის ასული  
ებანოიძე გიორგი პეტრეს ძე  
თურქიაშვილი მართა ივანეს ასული  
ხახაშვილი გიორგი არსენის ძე

**თეთრი წყაროს რაიონი**

მელიქიანი სურენ ნიკოლოზის ძე  
ბექაური ალექსი დიმიტრის ძე  
ნეკერაშვილი აკაკი დავითის ძე  
ჭელიძე გრიგოლ ზურაბის ძე

**ქასპის რაიონი**

ბუნტური გიორგი ვლადიმერის ძე  
მარიდაშვილი სოფიო ანდროს ასული  
ღვინიაშვილი ნათელა გიორგის ასული

**ლაგოდეხის რაიონი**

გელაშვილი სიმონ იოსების ძე  
ივანოვი დანიელ ნიკოლოზის ძე  
კიკილაშვილი მაკრო ზაქარიას ასული  
მამისაშვილი ალექსანდრე  
ვლადიმერის ძე

**ლანჩხუთის რაიონი**

ბოლქვაძე თინა ვალერიანის ასული  
ფირცხალაიშვილი სერაფიონ არსენის ძე  
ჩხაიძე ჩიტო აკაკის ასული

**ლენტეხის რაიონი**

გაბიანი რაფიელ ნესტორის ძე  
მუკბანიანი გულა ევაკის ძე  
უშხვანი ოლია სოკრატის ასული

**მახარაძის რაიონი**

თავდიშვილი ვლადიმერ სერგოს ძე  
კალანდაძე თამარ ერმილეს ასული  
სიმფულიდი თამარ ვარდენის ასული  
ღლონტი აკაკი ვლადიმერის ძე  
შავიშვილი შალვა ნიკოლოზის ძე  
ჩინჭარაძე ვლადიმერ ისაკის ძე

**მცხეთის რაიონი**

ებრალიძე დურმიშხან ზაქარიას ძე  
თელია ზურაბ მიხეილის ძე  
ხუტაშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე  
ხუხუნაიშვილი ლიანა მიხეილის ასული

**მესტიის რაიონი**

გულედანი ევგენე არსენის ძე  
კახიანი ევგენი ბესარიონის ძე  
კვიციანი ნინა რამინის ასული

**მანიაკოვსკის რაიონი**

გეგეშიძე ჯუანშერ ვლადიმერის ძე  
გიორგაძე კეკელა გიორგის ასული  
ნებიერიძე ივანე ტერენტის ძე

**მარნეულის რაიონი**

გიქოშვილი ივანე სერგოს ძე  
კახრამანოვა ლაჩინ შამილ ყში  
მაშელავი ასაკერ ვალი ოღლი  
ოსფიანი ონიკ სედრაკის ძე

**ორჯონიძის რაიონი**

აბაშიძე ოთარ კონსტანტინეს ძე  
არევაძე თამარ დომენტის ასული  
კიკნაძე ილია მელიტონის ძე  
ნანიტაშვილი კონსტანტინე  
ტრიფონის ძე

**ონის რაიონი**

გორგიაშვილი სერგო ბესარიონის ძე  
გუგეშაშვილი ექვთიმე ალექსის ძე  
კერესელიძე ვლადიმერ თომას ძე  
ჭიჭინაძე მარიამი ილიას ასული

**საბარჯოს რაიონი**

გენგაშვილი სოფიო ურაბის ასული  
გულიაშვილი ლუბა ზაქარიას ასული  
ტაველიშვილი მარიამი იოსების ასული  
ტეტიაშვილი შალვა დავითის ძე

**სამგორის რაიონი**

დემეტრაშვილი ევგენი ვასილის ძე  
მაისურაძე ეთერ გიორგის ასული  
ტაბლიაშვილი ნინო პეტრეს ასული  
წიკლაური ვახტანგ გაბრიელის ძე

**სამტრედიის რაიონი**

ბექაია მერი დომენტის ასული  
ვაშაკიძე ტერეზა ივანეს ასული  
ლოლაძე ვალიკო ნიკოლოზის ძე  
მეგენეიშვილი კარლო გერონტის ძე  
ნინუა გრიგოლ თედორეს ძე

**საჩხერის რაიონი**

დეკანოიძე ნელი ლავრენტის ასული  
ნადირაძე ივანე არტემის ძე  
ხვედელიძე ბიჭიკო ვარდენის ძე



**სიღნაღის რაიონი**

გოძიაშვილი გიორგი ივანეს ძე  
კველიშვილი დიმიტრი თედოს ძე  
ნადირაძე პავლე ბასილის ძე  
ჭურღაშვილი ნინო დავითის ასული

**ტაიგულის რაიონი**

დადუნდარიძე მანდარი ნესტორის ძე  
ნესტერენკო თევდორე პეტრეს ძე  
ობოლაძე ლევან ერმილეს ძე  
ორჯონიკიძე ივანე სავლეს ძე  
უკლება ლილი ბახვას ასული  
ჯორბენაძე ანზორ მიხეილის ძე

**მარეშის რაიონი**

ლობჯანიძე გიორგი ალექსის ძე  
მამულაშვილი ქეთევან რევაზის ასული  
მარლიშვილი კონსტანტინე ქიმახ ძე  
ტაბუცაძე ისაკ სერგოს ძე

**საზხებვის რაიონი**

დავითაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე  
საბაური ნიკოლოზ იაგორის ძე  
ჩოფიაშვილი ოლა სტეფანეს ასული

**შვარალის რაიონი**

გაფრინდაშვილი ალექსანდრე  
მალხაზის ძე

იმერლიშვილი გალინა ისაკის ასული  
მარქაროვი გიორგი მარტას ძე  
პატატიშვილი იოსებ ლაზარეს ძე

**ცაგარის რაიონი**

კახიძე მარიამ იულოს ასული  
მღვიანი გერონტი უფლისას ძე  
შკუბულიანი დავით არქიფოს ძე

**ცხაპიას რაიონი**

ბერნატოვიჩი ვალენტინა მათეს ასული  
მატკავა ოთარ აპოლონის ძე  
ხევსურიანი შალვა გრიგოლის ძე  
ჯორბენაძე ალექსანდრე  
ალექსანდრეს ძე

**წალენჯიხის რაიონი**

კვარაცხელია პარმენ თეოფანეს ძე  
ქარდავა ვაკონა ვასილის ასული  
ჩილაჩავა ბოჭო ბიჭტორის ძე

**წყალტუბოს რაიონი**

გოცირიძე თინა ასკალონის ასული  
კუხიანიძე სევერიანი პორფირეს ძე  
ნამგალაძე არქიპო ნესტორის ძე  
უგულავა ვერა გერასიმეს ასული

**წულუკიძის რაიონი**

ფილოია აკაკი ანტონის ძე  
ჩარგეიშვილი შოთა კირილეს ძე  
ჯონაძე ლილი კირილეს ასული

**წითელწყაროს რაიონი**

ალადაშვილი მიხეილ ალექსის ძე  
კალანდაძე ბორის ლუკას ძე  
ქვიციანიშვილი ეთერი

**კონსტანტინეს ასული**

**წალკის რაიონი**

გაშიბაიაშვილი დიმიტრი პანტელეის ძე  
მეგრაბიანი ოვანე ვართანის ძე  
მიხაილოვი დიმიტრი ვასილის ძე

**ჩხუბატაურის რაიონი**

მეგრელიშვილი ზინა აკაკის ასული  
თედორაძე ტელემაქი იორდანეს ძე  
უჭმაჭურიძე პიმენ გიორგის ძე  
ცინცაძე ნათელა არჩილის ასული

**ჩხოროწყალის რაიონი**

გუგუშვილი თამარ ტრიფონის ასული  
პაპავა იასონ ფარნას ძე  
საბეკია ანა ბესარიონის ასული  
ჩოკორაია ნოდარ სამსონის ძე  
ცირგაია იასონ იოსების ძე

**საშურის რაიონი**

ბოკერია არსენ კანდიდოს ძე  
გოგოლაძე როზა ლავრენტის ასული  
მაჩაბელი დიმიტრი ალექსანდრეს ძე  
ნადირაძე შოთა სიმონის ძე  
რიმკუხი შალვა იოსების ძე

**სოზის რაიონი**

ბებურია ვლადიმერ აქვსენტის ძე  
დანელია ნადია თედორეს ასული  
ლიპარტია აკაკი ვასილის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე  
**ბ. კოწანიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
**ფ. გელდიაშვილი**

## ბ რ ქ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის  
დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 55 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი 9 კაცის რაოდენობით შემდეგი შემადგენლობით:

### პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მაისურაძე ვლადიმერ ივანეს ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

### პრეზიდიუმის წევრები:

ქაჯაია სერგი იასონის ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

იოსავა გიორგი ყირიმის ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ზალათურია დავით ისიდორეს ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ღუღუნუშვილი ალექსანდრე არსენის ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ზონიაკინა ადელინა ივანეს ასული

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

გაჯიევი ნასიბ ყურბანის ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

გველესიანი ოთარ ალექსანდრეს ძე

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. კოჭენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიაშვილი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ზ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების  
დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ ქაჯაია სერგი იასონის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ იოსავა გიორგი ყირიმის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე  
გ. ძოჯენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
ზ. გელდიანოვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 28 ივნისი.

## საბჭოთა პროკურატურის 40 წელი

საბჭოთა პროკურატურის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს რესპუბლიკანურმა პროფესიული კავშირების საბჭომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა:

- |                                       |  |
|---------------------------------------|--|
| 1. ტაკიძე არონი ერმილეს ძე            | — ქ. თბილისის პროკურორი  |
| 2. ცქიფურიშვილი მიხეილ ვასილის ძე     | — ქ. ქუთაისის პროკურორის მოადგილე  |
| 3. არხანგელსკაია ოლღა მიხეილის ასული  | — საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე აღსრულებაზე კონტროლის დარგში   |
| 4. მიქაძე ნიკოლოზი გრიგორის ძე        | — საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი                           |
| 5. გუმბარიძე შოთა ისიდორეს ძე         | — ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის პროკურორი   |
| 6. ხმალაძე ვასილი ნიკოლოზის ძე        | — ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე  |
| 7. ლომთათიძე ნატალია ერმილეს ასული    | — საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსი   |
| 8. ინოვემცევი ნიკოლოზი დავითის ძე     | — წყალტუბოს რაიონის პროკურორი  |
| 9. ქრისტესიაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე  | — ლავოდენის რაიონის პროკურორის თანაშემწე   |
| 10. შატავა დავითი ვლადიმერის ძე       | — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი   |
| 11. ცირამუა გივი სტეფანეს ძე          | — საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო სამართლის საქმეთა სსსამართლოებში განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი |
| 12. კობრიძე ნინა გრიგორის ასული       | — ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის პროკურატურის გამომძიებელი   |
| 13. ამბოკაძე ნიკოლოზი პეტრეს ძე       | — გორის რაიონის პროკურორის თანაშემწე   |
| 14. ჩიქოვანი მინადორა სოლომონის ასული | — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურის უფროსი მდივანი.   |

# ექსპერტიზის საქმის მასალების გაცნობა და მისი გამოკვლევის უაზრადობა

## ა. ფალიაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სისხლის სამართლის საქმის მასალების ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ექსპერტიზის მასალებისა. სისხლის სამართლის საქმის მასალებს ძირითადად შეადგენენ დამამტკიცებელი საბუთების წყაროები: დაზარალებულის, მოწმის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები და სხვა საბუთები (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლი).

ექსპერტიზის მასალების ქვეშ იგულისხმება გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტები და სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალები, რომლის საფუძველზედაც ექსპერტს შეუძლია დაადგინოს დასკვნის მიცემისათვის საჭირო ფაქტური მონაცემები. მაშასადამე, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა ექსპერტის განკარგულებაში უნდა გადაგზავნონ სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალები, რომლებიც მიზეზობრივ კავშირში იმყოფება ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან და საჭიროა სწორი და დასაბუთებული დასკვნის მიცემისათვის. აქედან გამომდინარე — არასწორად უნდა იქნეს მიჩნეული იმ ავტორთა აზრი, რომლებიც მოითხოვენ, რომ ექსპერტს გადაეგზავნოს სისხლის სამართლის საქმე მთლიანად, მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან.<sup>1</sup> ცხადია, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, გამომძიებელს არა აქვს საშუალება გააგრძელოს გამოძიების ჩატარება, ექსპერტს კი უხდება იმ მასალის შესწავლა, რომელსაც კავშირი არა აქვს ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან; ყოველივე ეს კი გავლენას ახდენს საქმის გამოძიებისა და ექსპერტიზის ჩატარების ვადაზე.

მცდარად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე იმ პროცესუალისტთა აზრიც, რომლებიც მოითხოვენ ექსპერტისათვის საქმის მასალების გაცნობის შეზღუდვას. ასე მაგალითად, ეხება რა ამ საკითხს რ. დ. რახუნოვი წერს: „სხვა ექსპერტიზები (მაგალითად, გრაფიკული ექსპერტიზა, სისხლის ლაქების, თმის გამოკვლევა, ქიმიური ანალიზი, იარაღის გამოკვლევა, საგნების იდენტიფიკაცია და სხვა კრიმინალისტიკური ექსპერტიზები) ჩვეულებრივად არ მოითხოვენ ექსპერტისათვის საქმის მასალების გაცნობის აუცილებლობას და თუ ასეთი გაცნობა აუცილებელია, იგი უნდა მოხდეს ფრთხილ შეზღუდულ ფარგლებში“.<sup>2</sup>

ამ აზრის მცდარობა იმაში მდგომარეობს, რომ დაუსაბუთებლად ამცირებს ექსპერტისათვის საქმის მასალების გაცნობის როლსა და მნიშვნელობას. აღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტს ძალიან ხშირად არ შეუძლია ჩატაროს გამოკვლე-

<sup>1</sup> С. С. Остроумов и С. П. Фортинский, Основы бухгалтерского учета и судебно-бухгалтерской экспертизы, 1953 г., стр. 188.

<sup>2</sup> Р. Д. Рахунов, Теория и практика экспертизы в советском уголовном процессе, 1953 г., стр. 107.

ვა, რისთვისაც იგი იძულებულია დაუბრუნოს სასამართლოს ან გამოძიების განოს არასრული მასალები და მოითხოვოს მათგან საჭირო დამატებითი მასალების გადამოგზავნა. ამ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების ვადა საკმაოდ დიდდება, რაც ხელს უშლის საქმის სოფლიკოფილად და სწრაფად გამოძიებასა და განხილვას.

მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნის დროს უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპით: ექსპერტის განკარგულებაში გადაგზავნონ საქმის მხოლოდ ის მასალები, რომლებშიც ასახულია ფაქტიური მონაცემები, რომლებიც მიზეზობრივ კავშირშია ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან და გარდა ამისა დაკავშირებულია გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტების აღმოჩენასთან, ამოღებასთან და ცვალებადობასთან.

აღნიშნული წესის დაცვა ხელს უწყობს ექსპერტიზის ოპერატიულად ჩატარებას, მასალების სრულყოფილ გამოკვლევასა და ექსპერტის მიერ დასაბუთებული დასკვნის მიცემას.

საჭიროა განვიხილოთ, თუ რა სახის საქმის მასალები უნდა გააცნონ ექსპერტს მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახის ექსპერტიზის დანიშვნის დროს ექსპერტის განკარგულებაში უნდა გადაიგზავნოს სხვადასხვა პროფილის სისხლის სამართლის საქმის მასალები; ზუსტად ასეთი მასალების ჩამოთვლა შეუძლებელია და არც არის საჭირო, მაგრამ შესაძლოა მოცემული იქნეს საქმის იმ მასალების სანიმუშო ჩამოთვლა, რომლებსაც უნდა გაეცნონ ექსპერტები ცალკეული სახის ექსპერტიზის ჩატარების დროს.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს ექსპერტის განკარგულებაში უნდა გადაიგზავნოს ყველა ის დამამტკიცებელი საბუთების წყაროები (სისხლის სამართლის საქმის მასალები), რომლებშიც ასახულია დანაშაულის ჩადენის გარემოება, დამნაშავის პიროვნება, ამ პიროვნების ქცევის ხასიათი სამსახურში, ოჯახში, დანაშაულის ჩადენის წინ, ჩადენის დროს და შემდეგ; საყურადღებოა ცნობები დამნაშავე პირის ცხოვრებასთან დაკავშირებით, ავადმყოფობის ისტორია და ყველა ის საბუთები, სადაც ასახულია დამნაშავე პირის მიერ გადატანილი ნერვიული ან ფსიქიკური დაავადება. აუცილებელია ასეთი დაავადების დიაგნოზები და აგრეთვე ექსპერტის დასკვნა, თუ კი აღნიშნული პიროვნების მიმართ წინათ იყო ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს ექსპერტის განკარგულებაში საჭიროა გადაიგზავნოს სისხლის სამართლის საქმის ის მასალები, სადაც ასახულია გარემოებანი, რომლებიც ეხებიან შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, გამოსაკვლევი ობიექტების ამოღებას, შენახვას, ცვალებადობას, ცოცხალი პირების სასამართლო-სამედიცინო შემოწმებას, გვამის სასამართლო-სამედიცინო გაკვეთასა და გამოკვლევას; აგრეთვე ექსპერიმენტის ოქმი, სასამართლო მედიკოს დასკვნა, ნიმუშების აღების (ჩამორთმევის) ოქმები და ის ჩვენებანი და საბუთები, სადაც ასახულია სასამართლო მედიცინის ხასიათის მონაცემები.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დროს, როგორც წესი, ექს-

პერტს უნდა გადაეგზავნოს შემდეგი სისხლის სამართლის საქმის მასალები შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტების ამოღების (ჩამორთმევის) ოქმები, პირველადი ექსპერტ-კრიმინალისტის დასკვნა, ექსპერიმენტის ოქმი, პროცესში მონაწილე პირთა ჩვენების ოქმები, საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები და ყველა ის საბუთები, რომლებშიც მოცემულია გარემოებანი და ფაქტური მონაცემები, რომლებიც მიზეზობრივად დაკავშირებულია ექსპერტის მიერ დასადგენ ფაქტებთან.

ავტო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს ექსპერტის განკარგულებაში უნდა იქნეს გადაგზავნილი: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების აქტი, საგზაო შემთხვევის გეგმა (სქემა), ექსპერიმენტის ოქმი, პირველადი ექსპერტიზის დასკვნა, თუ კი ასეთი არსებობს, მძღოლის, დაზარალებულისა და მოწმეების დაკითხვის ოქმები და აგრეთვე სხვა საბუთები, სადაც ასახულია საგზაო შემთხვევის ფაქტური მონაცემები, ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა.

სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების დროს მიზანშეწონილია გადაეგზავნოს ექსპერტს შემდეგი სახის სისხლის სამართლის მასალები: პროცესში მონაწილეთა დაკითხვის ოქმები, სადაც ასახულია გამოსაკვლევი საბუღალტრო საბუთების შედგენის ფაქტები და გარემოებანი, საბუღალტრო ოპერაციის ჩატარება, ამ საბუთების დამუშავებისა და მოძრაობის ეტაპები, გამოსაკვლევი საბუთების ამოღების ოქმი, მოცემულ საქმეზე ჩატარებული რევიზიის აქტი, პირველადი ექსპერტ-ბუღალტრის დასკვნა და სხვა სახის ექსპერტიზების დასკვნები, რომლებიც საჭიროა საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებისათვის და აგრეთვე შენაჯამი საბუღალტრო დოკუმენტები (საბუთები), სადაც ასახულია მოცემული საბუღალტრო ოპერაციის ჩატარება.

ყველა მასალები, რომლებსაც საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები უგზავნის ექსპერტს, აღნიშნული უნდა იყოს ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში (განჩინებაში), რათა თავიდანვე სწორად იქნეს განსაზღვრული ექსპერტისათვის გადასაგზავნი მასალები და ამასთანავე დაკული იქნეს ბრალდებულის (სამართალში მიცემულის) უფლებები ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. საჭიროა გამომძიებელმა (სასამართლომ) ბრალდებულს გააცნოს ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება) და განუმარტოს მას თავისი უფლება, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში იშუამდგომლოს ექსპერტის განკარგულებაში დამატებითი მასალების გადაგზავნის შესახებ.

ექსპერტის დამნიშნავმა პირმა უნდა მიიღოს ყველა ზომები, რათა ექსპერტის განკარგულებაში გადაგზავნილი იქნეს საკმაო და ხარისხიანი მასალები. მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ექსპერტს იწვევს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა ჩატაროს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა იმ მასალების მიხედვით, რომელიც მის განკარგულებაში იქნა გადაგზავნილი. ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის ჩატარებისათვის პასუხისმგებელია სასამართლო ექსპერტი, ხოლო ექსპერტიზის მასალების სრულყოფისა და ხარისხიანობისათვის ექსპერტიზის დამნიშნავი პირი.

სასამართლო ექსპერტი პროცესის აქტიური ფიგურაა და ყოველ შემთხვე-

ვაში, როდესაც იგი დაადგენს ექსპერტიზის მასალების ნაკლებობას, უხარისხობას ან უსწორობას, შეუძლია მიიღოს შესაფერისი ზომები. სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებს ექსპერტს შემდეგ უფლებებს:

ა) აღძრას მომკვლევითი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს წინაშე უზამდგომლობა, რათა მას გადაეცეს დამატებითი მასალები, რაც საჭიროა დასკვნის მიცემისათვის;

ბ) დაესწროს პროკურორის, გამომძიებლის, და მომკვლევით პირის ნებართვით ბრალდებულს, მოწმის დაკითხვას და სხვა საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოებას; მისცეს პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევით პირის ან სასამართლოს ნებართვით ბრალდებულსა და მოწმეს შეკითხვები, რომელსაც დამოკიდებულება ექნება ექსპერტიზის საგანთან (მუხლი 73-ე).

მიუხედავად ზემოაღნიშნული უფლებისა სასამართლო ექსპერტს მაინც უფლება არ ენიჭება საგამომძიებლო ან სასამართლო ორგანოების გარეშე გამოითხოვოს სხვადასხვა ორგანიზაციიდან და დაწესებულებიდან ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო დამატებითი მასალები. ყველა მასალა უნდა გადაეგზავნოს ექსპერტს მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტიზის დამნიშნავ პირის მიერ. ეს არის პროცესუალური წესი და მისი დაცვა სავალდებულოა ექსპერტიზის ჩატარების ყოველ შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს ი. მ. კალაშნიკის აზრი. იგი მოითხოვს, რომ სამედიცინო დაწესებულებიდან საბუთების გამოთხოვა თვით ექსპერტების მიერ უნდა მოხდეს, რადგანაც აჩქარებს ექსპერტიზის ჩატარებას.<sup>1</sup>

ი. მ. კალაშნიკის ეს აზრი არ არის გამართლებული, რადგანაც არ ასახულებს, თუ რატომ უნდა იყოს დამუშავებული ამ მხრივ გამონაკლისი, ექსპერტმა დამოუკიდებლად რატომ უნდა გამოითხოვოს სამედიცინო საბუთები, როდესაც კანონის თანახმად ყოველგვარი ექსპერტიზის მასალებისა და მათ შორის სამედიცინო ხასიათის საბუთების სინამდვილეს კრიტიკულად აფასებს ექსპერტიზის დამნიშნავი პირი. გარდა ამისა, ყველა საჭირო მასალები ექსპერტიზის დანიშვნამდე უნდა წარედგინოს ბრალდებულს (სამართალში მიცემულს). ცხადია, რომ კანონის ამ მოთხოვნის დაცვა შეუძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ კი დავეთანხმებით ი. მ. კალაშნიკის აზრს და მივანიჭებთ ექსპერტებს უფლებას მომკვლევით პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გარეშე თვითნებურად გამოითხოვონ ექსპერტიზის დამატებითი მასალები სამედიცინო დაწესებულებიდან.

\* \* \*

საჭიროა გავარკვეოთ საკითხი, თუ ვინ უნდა განსაზღვროს სისხლის სამართლის საქმის მასალებში ასახული ფაქტიური მონაცემები, რომელიც ექსპერტმა უნდა გამოიყენოს დასკვნის მიცემის დროს, როგორც საწყისი ფაქტები (მონაცემები).<sup>2</sup>

<sup>1</sup> Я М. Калашник, Судебная психиатрия, 1931 г. стр. 25.

<sup>2</sup> საწყისი ფაქტები (მონაცემები) ეწოდება ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებულ იმ ფაქტებს, რომელსაც შეიცავს საქმის მასალები (დამტკიცებული საბუთების წყაროები) და გამოიყენება დასკვნის მიცემისათვის.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა გაირკვეს: მართო ექსპერტიზის დამნიშნავ პირს შეუძლია განსაზღვროს საწყისი მონაცემები, თუ არა? შეუძლია თუ არა სასამართლო ექსპერტს წარდგენილი ექსპერტიზის მასალებიდან საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს დამატებითი საწყისი ფაქტები? შეუძლია თუ არა სასამართლო ექსპერტს თვითონ განსაზღვროს ექსპერტიზის მასალებიდან საწყისი დებულებები იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზის დამნიშნავი პირი ამას არ აკეთებს? შესაძლებელია თუ არა, რომ ექსპერტიზის დამნიშნავმა პირმა და თვითონ ექსპერტმა ერთობლივად განსაზღვროს საქმის მასალებიდან ყველა ის საწყისი მონაცემები, რომელიც საჭიროა დასკვნის მიცემისათვის?

აღნიშნულ საკითხებზე ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა აზრი. ასე მაგალითად, ბ. ლ. ზოტოვი ამტკიცებს, რომ საწყისი მონაცემები სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ყოველთვის უნდა განსაზღვროს გამოძიებელმა და არა ექსპერტმა.<sup>1</sup>

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქმეს საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით ი. საპოჟნიკოვმა<sup>2</sup> და ლ. ლენსკიმ<sup>3</sup>.

საკითხის ასეთი კატეგორიული გადაწყვეტა არ არის სწორი. მართლაც, ექსპერტიზის დამნიშნავ პირს სრული უფლება ეძლევა თვითონ განსაზღვროს საქმის მასალებიდან ყველა ის ფაქტიური მონაცემები, რომელიც ექსპერტმა უნდა გამოიყენოს დასკვნის მიცემისათვის. მაგრამ, ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სასამართლო, მომკვლევია პირი, გამოძიებელი და პროკურორი არ არიან სპეციალისტები ექსპერტიზის ჩატარების საკითხში და ამიტომაც მათ ხშირად არ შეუძლიათ სწორად და სრულად განსაზღვროს საქმის მასალებიდან ყველა ის მეტად თუ ნაკლებად საჭირო ფაქტიური მონაცემები, რომელიც ექსპერტმა უნდა გამოიყენოს, როგორც საწყისი ფაქტები, დასკვნის მიცემის დროს. სწორედ, ამიტომაც პრაქტიკაში ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები კონკრეტულად ვერ განსაზღვრავენ საქმის მასალებში არსებულ საწყის ფაქტებს ან განსაზღვრავენ მათ არასრულად და ამ საკითხის მთლიანად ან ნაწილობრივად გადაწყვეტას ანდობენ სასამართლო ექსპერტებს. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ასეთ შემთხვევაში ექსპერტს უგზავნიან საქმის მასალებს: საგამომძიებლო მოქმედების ოქმებს, პროცესის მონაწილეთა დაკითხვის ოქმებს და ა. შ. ექსპერტი კი ამ მასალებიდან თვითონ განსაზღვრავს იმ საწყის ფაქტებს (მონაცემებს), რომელიც საჭიროა სწორი და დასაბუთებული დასკვნის მიცემისათვის.

ასე მაგალითად, საავტომობილო ავარიის მიზეზების დასადგენად, როგორც წესი გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამინდს. ამ სახის ექსპერტიზის დანიშვნის

<sup>1</sup> Б. Л. Зотов, Данные следствия, как исходные материалы для автотехнической экспертизы, Проблемы судебной экспертизы, «Сборник № 4, 1961 г., стр. 5.

<sup>2</sup> И. Сапожников, Пределы использования бухгалтерской экспертизой показаний свидетелей и обвиняемых, Социалистическая законность № 10, 1949 г., стр. 17-20.

<sup>3</sup> Л. Ленский, Пределы использования бухгалтерской экспертизой показаний свидетелей и обвиняемых, Социалистическая законность № 10, 1949 г., стр. 20-22.

დროს დაეუშვათ, რომ გამოძიებელმა არ აცნობა ექსპერტს ამინდის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ასახული იქნა რამდენიმე მოწმის ჩვენების ოქმში. ექსპერტს ასეთ შემთხვევაში შეუძლია თავის ინციატივით აღნიშნული მოწმეების ჩვენების ოქმებიდან გამოიყენოს, როგორც საწყისი ფაქტი ამინდის მდგომარეობა, რადგანაც ეს ფაქტი მიზეზობრივ კავშირში იმყოფება ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან.

ამრიგად, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის დროს საქმის მასალებიდან საწყისი მონაცემების განსაზღვრის პრიორიტეტი ეკუთვნის ექსპერტიზის დამნიშნავ პირს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში თვით ექსპერტს შეუძლია განსაზღვროს ექსპერტიზის მასალებიდან დასკვნის მიცემისათვის საჭირო საწყისი მონაცემები იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტი თვლის, რომ ეს მონაცემები მიზეზობრივ კავშირში იმყოფებოდა მის მიერ დასადგენ გარემოებასთან და აუცილებელია დასაბუთებული დასკვნის მიცემისათვის. ექსპერტის ასეთი უფლება გამომდინარეობს კანონიდან, რომელშიც გათვალისწინებულია ექსპერტის უფლება, რათა მან საჭიროების შემთხვევაში გაათართოვოს გამოკვლევის ფარგლები და პასუხი გასცეს დამატებით კითხვებზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლი).

აღნიშნულ საკითხზე სწორ აზრს გამოთქვამენ ა. ი. ვინბერგი,<sup>1</sup> ლ. მარიუპოლსკი, ს. ფორტინსკი<sup>2</sup> და ზ. მ. სოკოლოვსკი.<sup>3</sup> ესენი საჭიროდ თვლიან, რომ ექსპერტებმა საქმის მასალებიდან გამოიყენონ ფაქტიური მონაცემები, რომელიც საჭიროა სწორი დასკვნის მისაცემად.

დადებითად უნდა იქნეს აგრეთვე გადაჭრილი საკითხი იმის შესახებ, რომ ექსპერტიზის დამნიშნავ პირმა და სასამართლო ექსპერტმა ერთობლივად განსაზღვროს საქმის მასალებში არსებული საწყისი მონაცემები. საკითხის ერთობლივი გადაწყვეტა იძლევა საშუალებას, რომ თავიდანვე სწორად და სრულად იყოს განსაზღვრული ექსპერტისათვის გასაცნობი საქმის მასალების ფარგლები და საწყისი მონაცემები. ამ საკითხს სწორად აშუქებს ა. რ. შლიახოვი.<sup>4</sup>

\* \* \*

საჭიროა განხილული იქნეს საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა სასამართლო ექსპერტს უფლება ექსპერტიზის ჩატარების დროს სცნოს არასწორად ცალკეული ფაქტები და გარემოებანი, რომლებიც ასახულია საქმის მასალებში და ეცნობა მას, როგორც საწყისი მონაცემები. თუ კი ამის უფლება ექსპერტს ეძლევა, მაშინ ხომ არ ხდება მოცემულ შემთხვევაში დამამტკიცებელი საბუთე-

<sup>1</sup> А. И. Винберг, Пределы использования бухгалтерской экспертизой показаний свидетелей и обвиняемых, Социалистическая законность № 3, 1950 г., стр. 18—21.

<sup>2</sup> Л. Мариупольский и С. Фортинский, Пределы использования бухгалтерской экспертизой показаний свидетелей и обвиняемых, Социалистическая законность № 10, 1949 г., стр. 20—22.

<sup>3</sup> З. М. Соколовский, фактические основания (исходные данные) заключений судебной экспертизы, Проблемы судебной экспертизы, Сборник № 1, 1961 г., стр. 122.

<sup>4</sup> А. Р. Шляхов, Общие положения методики криминалистической экспертизы, 1961 г., стр. 78.

ბის საგამომძიებლო და სასამართლო შეფასება, რაც რა თქმა უნდა ექსპერტს არ შეუძლია.

აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს აზრთა ერთიანობა, ბ. ლ. ზოტოვის თქმით „ექსპერტს არა აქვს უფლება თვითონ აირჩიოს ე. ი. მიიღოს, როგორც საწყისი ერთი სახის ფაქტი და უარყოს მეორე“.<sup>1</sup>

ზ. მ. სოკოლოვსკი კი აღნიშნავს, რომ „რიგ შემთხვევაში ექსპერტს თავისი ცოდნის საფუძველზე საწყისი ფაქტების გაანალიზების შემთხვევაში შეუძლია მივიღეს იმ დასკვნამდე, რომ საწყის ფაქტს არ შეეძლო ჰქონოდა ადგილი სინამდვილეში. ასეთ შემთხვევაში ექსპერტმა უნდა გამოორიციხოს საწყისი ფაქტები და არ დააფუძნოს მასზე თავისი დასკვნა“.<sup>2</sup>

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ექსპერტის კატეგორიული დასკვნა ყოველთვის დაფუძნებულია გამოკვლევის დროს აღმოჩენილ იმ ფაქტთა ერთობლიობაზე, რომლის განმეორებაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელია, ერთ შემთხვევაში ასეთი ფაქტების ერთობლიობის დასადგენად საესებით საკმარისია საექსპერტო ობიექტების გამოკვლევა, ხოლო სხვა შემთხვევაში ამის გარდა საჭიროა გამოვიყენოთ დამატებითი ფაქტიური მონაცემები, რომელსაც შეიცავს საქმის მასალები (მოწმეების დაკითხვის ოქმები, საგამომძიებლო მოქმედებათა ოქმები და სხვა). ორივე შემთხვევაში ექსპერტმა უნდა დაადგინოს ფაქტებს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი და დაუკავშიროს ისინი დასადგენ გარემოებას. ფაქტების ასეთ შეფასებას ყოველთვის საფუძველად უდევს ექსპერტის სპეციალური ცოდნა. სწორედ ასეთი შეფასების საფუძველზე ექსპერტს შეუძლია უარყოს ზოგიერთი ფაქტები, როგორც მცდარი, შემთხვევითი, დასადგენ გარემოებასთან მიზეზობრივად დაუკავშირებელი და დააფუძნოს თავისი დასკვნა იმ ფაქტებზე, რომლებიც არსებობენ ობიექტურად და მიზეზობრივად დაკავშირებული არიან ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან. ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად სულერთია, დადგენილია ესა თუ ის ფაქტი საექსპერტო ობიექტების გამოკვლევის შედეგად, თუ გამოყენებულია იგი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან (მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვის ოქმებიდან, საგამომძიებლო მოქმედებათა ოქმებიდან და ა. შ.).

ამრიგად, ექსპერტს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს ცალკეული ფაქტები, რომელსაც შეიცავს საქმის მასალები და ასეთი შეფასების შედეგად საჭიროების შემთხვევაში უარყოს ისინი მაშინაც კი, როდესაც ეს ფაქტები ეცნობა მას, როგორც საწყისი მონაცემი. ასეთი შეფასების უფლება ექსპერტს გააჩნია და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ცალკეული ფაქტების, ან დამამტკიცებელი საბუთების წყაროების საგამომძიებლო-სასამართლო შეფასებად.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისა და ექსპერტის მიერ საქმის მასალებში არსებული ფაქტების შეფასებათა შორის არსებობს სხვაობა, ამიტომაც მათი გაიგივება დაუშვებელია.

მომკვლევნი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო — საქმის მასალებში არსებულ ცალკეულ ფაქტებს, ისე როგორც დამამტკიცებელ საბუთებს მთლიანად აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ყოველთვის უნდა

<sup>1</sup> Б. Л. Зотов, Проблемы судебной экспертизы, Сборник № 4, стр. 5.

<sup>2</sup> З. М. Соколовский, Проблемы судебной экспертизы, Сборник № 1, стр. 122—123.

ემყარებოდეს საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. ფაქტების ასეთი შეფასება ყოველთვის ხდება იურიდიული მეცნიერების საფუძველზე მაშინ, როდესაც ექსპერტი მის მიერ დადგენილ ფაქტებს აფასებს თავისი სპეციალური ცოდნის ბაზაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ექსპერტის მიერ დადგენილი ფაქტების ობიექტური და ყოველმხრივი შეფასება.

მამასადამე, ექსპერტის მიერ ფაქტების შეფასების ფარგლები ვიწროა, იგი შეზღუდულია ექსპერტიზის მასალებით — მაშინ, როდესაც საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ფაქტებს აფასებს სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვილი ყველა მასალათა ერთობლიობით.

მართალია, ექსპერტის უფლებაა შეფასების შედეგად უარყოს საქმის მასალებში არსებული ფაქტები (ეს შემთხვევა მოგვაგონებს ფაქტების საგამომძიებლო და სასამართლო შეფასებას), მაგრამ აქ მხოლოდ და მხოლოდ ზედპირული მსგავსებაა და ამ მსგავსების გაიგივება დაუშვებელია.

მაგალითად, გამოძიებელმა ექსპერტის წინაშე დასვა ასეთი კითხვა: რომელ სისტემის იარაღიდან არის გასროლილი ტყვია, ამოღებული კ-ს გვამიდან? გამოსაკვლევი ტყვიის გარდა ექსპერტს გადაეგზავნა ა-ს და წ-ს დაკითხვის ოქმები. ამ საპროცესო დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ დამნაშავე პირს სროლის მომენტში ხელში ეჭირა „TT“ სისტემის პისტოლეტი. სწორედ ეს ფაქტი ეცნობა ექსპერტს, როგორც საწყისი გარემოება დასკვნის მიცემისათვის.

გამოკვლევის ჩატარების შედეგად ექსპერტი მივიდა დასკვნამდე, რომ გვამიდან ამოღებული ტყვია გასროლილი არაა „TT“-ს სისტემის პისტოლეტიდან, როგორც ამის შესახებ აღნიშნული იყო მოწმეების დაკითხვის ოქმებში, არამედ გასროლილია იარაღიდან, რომელსაც აქვს ლულის ღრუს ოთხი მარჯვენა მიმართულების ჭრილი და 9 მმ ყალიბრი.

ჩატარებული ძიების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ დამნაშავე პირს აღმოაჩნდა მკაროვის სისტემის პისტოლეტი, რომელსაც აქვს ლულის ღრუს ოთხი მარჯვენა მიმართულების ჭრილი და 9 მმ ყალიბრი.

ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოწმის ჩვენებაში, როგორც საწყისი ფაქტი, რომ ბრალდებულს ხელში ეჭირა „TT“-ს სისტემის პისტოლეტი არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ასეთ შეფასებას საფუძვლად დაედო ექსპერტის სპეციალური ცოდნა. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტმა შეაფასა მტკიცების წყარო (მოწმეების ჩვენება) და უარყო მასში არსებული ფაქტის სინამდვილე. ასეთი შეფასების უფლება ექსპერტს აქვს, თუმცა, იგი მოგვაგონებს მტკიცების წყაროს — შეფასებას საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მიერ.

პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც ექსპერტის განკარგულებაში ერთი და იგივე გარემოების შესახებ იგზავნება სხვადასხვა, ან სრულიად საწინააღმდეგო მონაცემები. მაგალითად, მოწმის ჩვენება შეიცავს ფაქტს იმის შესახებ, რომ ავტომანქანა ავარიის ღროს მიდიოდა 80 კმ სიჩქარით საათში, ხოლო ბრალდებულის (მძღოლის) დაკითხვის ოქმში კი ნაჩვენებია, რომ ავტომანქანის სიჩქარე არ აღემატებოდა 60 კმ საათში. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ფაქტის შესახებ მოცემულია სხვადასხვა მონაცემები.



ავილოთ მეორე შემთხვევა. დაზარალებულის დაკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ საავტომობილო ავარიის დროს გზა არ იყო მოყინული (მოლიპული), ხოლო მძღოლის დაკითხვის ოქმში ამავე საკითხზე აღნიშნულია, რომ საავტომობილო ავარიის დროს გზა იყო მოყინული. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე ფაქტის შესახებ სრულიად საწინააღმდეგო (ერთმანეთის გამომრიცხველი) მონაცემები. აღნიშნულ წინააღმდეგობათა გადაჭრას კი აქვს უდიდესი მნიშვნელობა სწორი დასკვნის მიცემისათვის; ამიტომაც მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნამდე უნდა მიიღოს ყველა მათზე დამოკიდებული ზომები, რათა გადაჭრან (გააქარწყლონ) საქმის მასალებში არსებული წინააღმდეგობანი. მაგრამ, თუ კი ამა თუ იმ მიზეზის გამო წინააღმდეგობის გადაჭრა მოუხერხებელია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საგამომძიებლო ან სასამართლო ორგანოებმა უარი თქვან ექსპერტიზის დანიშვნაზე. აღნიშნულ შემთხვევაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა ექსპერტის განკარგულებაში უნდა გადააგზავნონ ყველა ის საქმის მასალები, სადაც ერთი და იგივე გარემოების გამო მოცემულია ერთმანეთის საწინააღმდეგო მონაცემები.

სასამართლო ექსპერტს რიგ შემთხვევაში შეუძლია გამოკვლევის შედეგად დაადგინოს ერთი სახის მონაცემების სინამდვილე და მეორე სახის მონაცემების უსწორობა და ამ გზით გადაჭრას წინააღმდეგობანი. ერთადერთი მოთხოვნა ექსპერტის მიმართ იმაში გამოიხატება, რომ მან თავის დასკვნაში დაწვრილებით დაასაბუთოს, თუ რატომ უარყო ერთი სახის მონაცემები და უპირატესობა მისცა მეორე სახის მონაცემებს. სწორედ, ამ მოსაზრების საფუძველზე ჩვენ ვერ დავეთანხმებით ა. ვ. დულოვის აზრს, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ კი ერთი და იმავე ფაქტის გამო არსებობს საწინააღმდეგო მონაცემები, ექსპერტს არ შეუძლია უარყოს ერთი სახის მონაცემები და უპირატესობა მიანიჭოს მეორეს.<sup>1</sup>

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამოკვლევის შედეგად ექსპერტსაც არ შეუძლია გადაჭრას ერთი და იგივე ფაქტის გამო საქმის მასალებში არსებული საწინააღმდეგო მონაცემები. მაგალითად, ექსპერტ ავტო-ტექნიკს არ შეუძლია დაადგინოს ზუსტად ავტომანქანის სამუხრუჭო მანძილი. ვინაიდან საქმის მასალებში არსებობს საწინააღმდეგო მონაცემები: მოწმის ჩვენებაში აღნიშნულია, რომ ავტომანქანა მიდიოდა 80 კმ სიჩქარით, ბრალდებულის (მძღოლის) ჩვენებაში კი ნათქვამია, რომ ავტომანქანის სიჩქარე არ აღემატებოდა 60 კმ საათში. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა, ვთქვათ მოცემულ შემთხვევაში ექსპერტმა ვერ შეძლო. ისმება კითხვა, როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში სასამართლო ექსპერტი? შეუძლია მას თუ არა, რომ საწინააღმდეგო მონაცემებიდან გამოიყვანოს საშუალო არითმეტიკული ავტომანქანის სიჩქარის შესახებ და აქედან გამომდინარე განსაზღვროს ავტომანქანის სამუხრუჭო მანძილი შემთხვევის ადგილზე მომხდარი ავარიის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ასეთ პრაქტიკას; მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინააღმდეგობის ასეთი გადაჭრა დაუშვებელია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებაში და განჩინებაში არა ერთხელ ყოფილა დავამობილი ასეთი პრაქტიკის მანკიერე-

<sup>1</sup> А. В. Дулов, Вопросы теории судебной экспертизы, 1959 г. стр. 147.

ბა და მითითებული იმის შესახებ, რომ სასამართლო ექსპერტებმა თავისი დასკვნა უნდა დააფუძნონ არა „საშუალო პროცენტებზე“, „საშუალო მონაცემებზე“, „საშუალო არითმეტიკულზე“, „მიახლოებით მონაცემებზე“, არამედ სრულიად კონკრეტულ და ზუსტ მონაცემებზე, გამოსაკვლევი გარემოების რეალური პირობების გათვალისწინებით.<sup>1</sup>

ამრიგად, თუ ექსპერტს გამოკვლევის ჩატარების შედეგად არ შეუძლია გადაჭრას საქმის მასალებში არსებული საწინააღმდეგო მონაცემები, მან საშუალო არითმეტიკული არ უნდა გამოიყვანოს, არამედ უნდა მისცეს დასკვნა ყოველი ვარიანტებისათვის ცალ-ცალკე. მაგალითად, ცალკე განსაზღვროს საძუხრუჭო მანძილი იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომანქანა მიდიოდა 80 კმ სიჩქარით და ცალკე, როდესაც ავტომანქანა მიდიოდა 60 კმ სიჩქარით საათში. ექსპერტის ასეთ დასკვნას ეწოდება ალტერნატიული დასკვნა და იგი დასაშვებია სისხლის სამართლის პროცესში.

ექსპერტის ასეთი ალტერნატიული დასკვნის, სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალებთან ერთობლიობაში, შეფასების დროს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს უფრო მეტი საშუალება აქვთ, რომ გადაჭრან წინააღმდეგობანი იმ ფაქტთა შორის, რომლებიც საფუძვლად დაედო ექსპერტის ალტერნატიული დასკვნის სხვადასხვა ვარიანტებს. აქედან გამომდინარე, მათ შეუძლიათ დაეთანხმონ ექსპერტის დასკვნის ერთი ვარიანტის სისწორეს და უარყონ მეორე. ერთადერთი პირობა, რომელიც უნდა დაიცვას მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა, ან სასამართლომ, იმაში გამოიხატება, რომ ისინი ვალდებული არიან დაწვრილებით დაასაბუთონ სპეციალურ დადგენილებაში (განჩინებაში) ან განაჩენში, თუ რატომ დაეთანხმნენ ექსპერტის ალტერნატიული დასკვნის ერთი ვარიანტის სისწორეს და უარყვეს მეორე ვარიანტის სისწორე. ამ მოთხოვნის დაცვის შესახებ მითითებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1960 წ. 5 თებერვლის განჩინებაში.

მოცემულ შემთხვევაში ექსპერტ-ბუღალტერმა მისცა ალტერნატიული დასკვნა, რომელიც შეიცავდა ორ ვარიანტს. განიხილა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლომ სწორად სცნო საქმე, თავის განჩინებაში მიუთითა: სასამართლომ, მართალია სწორად სცნო ექსპერტ-ბუღალტრის დასკვნის პირველი ვარიანტი, მაგრამ არაფრით არ დაასაბუთა ამავე ექსპერტის დასკვნის მეორე ვარიანტის უარყოფა.<sup>2</sup>

მაშასადამე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო უშვებს რა სასამართლოს ექსპერტის ალტერნატიულ დასკვნას, ამასთანავე მოითხოვს, რომ სასამართლო ორგანოებმა დაასაბუთონ თავისი თანხმობა ან უთანხმოება ექსპერტის ალტერნატიულ დასკვნის ცალკეული ვარიანტების მიმართ.

<sup>1</sup> Судебная практика Верховного суда СССР, № 5, 1952 г. стр. 2.

Судебная практика Верховного суда СССР, № 2, 1952 г. стр. 19.

<sup>2</sup> Бюллетень Верховного Суда СССР № 3, 1960 г. стр. 41.

## დანაშაულობის მიზაზების შესწავლის საკითხისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის სრული ლიკვიდაციის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის აუცილებელია საზოგადოებრიობის ფართო მასების დარაზმვა. საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უახლოეს მომავალში მკვეთრად შეამცირებენ დანაშაულობას, ხოლო შემდგომ სრულიად აღმოფხვრიან მას. დანაშაულობასთან ბრძოლა უნდა წარიმართოს გეგმაზომიერად, ეტაპებით, რათა ამ მიმართულებით გატარებული ყველა ღონისძიება მაქსიმალურად ეფექტურ ხასიათს ატარებდეს. ამ ამოცანის განხორციელება გულისხმობს ერთის მხრივ, ბრძოლას უკვე ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, რომლებიც ბაღებენ ან ხელს უწყობენ დანაშაულს.

ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის ლიკვიდაციის საფუძველს წარმოადგენს უდიდესი წარმატებები, რასაც საბჭოთა სახელმწიფომ მიაღწია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში. მაგრამ მცდარი იქნება მივყვით თვითდინებას და არ გამოვიყენოთ დანაშაულობასთან ბრძოლის ყველა საშუალება, რადგან დანაშაულობის მაქსიმალურად შემცირება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მოქნილი დასჯითი პოლიტიკისა და ეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებების განუხრელი განხორციელების გზით.

დანაშაულის თავიდან აცილება გულისხმობს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც საბოლოო ანგარიშით მიმართულია ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის საბოლოო ლიკვიდაციისაკენ. ეს არის ღრმად გააზრებული და ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების სისტემა. იგი მდგომარეობს აქტიურ ზემოქმედებაში იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ან ბაღებენ დანაშაულს. ამოცანა მდგომარეობს ამ მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაციაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ესა თუ ის დანაშაული ან გადაცდომა კვლავ იჩენს თავს. გარდა ამისა, დანაშაულის თავიდან აცილება გულისხმობს საზოგადოებრიობის დროულ რეაგირებას ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილ ისეთ ქმედებებზე, რომლებიც, მართალია, არ წარმოადგენენ დანაშაულს, მაგრამ აშკარად ეწინააღმდეგებიან კომუნისტურ მორალსა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. ამგვარ ქმედობათა აღკვეთა ამხანაგური სასამართლოების, მშრომელთა კოლექტივების, სახალხო რაზმების ფუნქციას შეადგენს.

დანაშაულობასთან ეფექტური ბრძოლის განხორციელება შეუძლებელია დანაშაულის მიზეზების მეცნიერული შესწავლისა და ამ შესწავლის საფუძველზე მასთან ბრძოლის ღონისძიებათა მწყობრი სისტემის შემუშავების გარეშე.

დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლა სსრ კავშირში დაიწყო სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პირველივე წლებიდან. 1921 წელს ვ. ი. ლე-

ინმა ნაშრომში „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის“ ცალკე გამოყო საკითხი დატაცებისა და სპეკულაციის მიზეზების შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ამ საკითხებთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სქემა იქცა დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლის პროგრამად. ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო სტატისტიკის სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის სტატისტიკის ორგანიზაციასაც. სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებთან არსებული მორალური სტატისტიკის განყოფილებები ერთიანი სახელმწიფოებრივი გეგმით ამუშავებდნენ დანაშაულობისა და რეპრესიის სტატისტიკას. დაწყებული 1918 წლიდან 1928 წლამდე სისტემატიურად ქვეყნდებოდა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალები.

დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლამ ფართო გაქანება პოვა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში. მთელ რიგ ქალაქებში (კიევი, ოდესა, ღონის როსტოვი, ბაქო, ირკუტსკი) შეიქმნა დანაშაულობისა და დამნაშავის პიროვნების შემსწავლელი კაბინეტები. ეს კაბინეტები ორგანიზაციულად ექვემდებარებოდნენ საგუბერნიო სასამართლოებს ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს. დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლას აწარმოებდნენ აგრეთვე უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სისხლის სამართლის კათედრები. ამ სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ მათი მუშაობა 1925 წლამდე არ იყო კოორდინირებული. 1925 წელს რსფსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეიქმნა დანაშაულობისა და დამნა-

შავის შემსწავლელი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელმაც მოახდინა დანაშაულობისა და დამნაშავის პიროვნების შემსწავლელი სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის კოორდინირება. ინსტიტუტი შედგებოდა ოთხი სექციისაგან: 1) სოციალ-ეკონომიკური სექცია, სადაც წარმოებდა დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლა, 2) ბიო-ფსიქოლოგიური, რომლის მიზანს შეადგენდა დამნაშავის პიროვნების შესწავლა ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის თვალსაზრისით, 3) კრიმინალისტიკური სექცია, სადაც მუშავდებოდა საბჭოთა კრიმინალისტიკის პრობლემები, 4) პენიტენციარული სექცია, სადაც წარმოებდა შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება და თავისუფლებადკვეთილთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ახალი რაციონალური მეთოდების შემუშავება. ინსტიტუტთან არსებობდა „ექსპერიმენტალური პენიტენციარული განყოფილება“, სადაც მოთავსებული იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულები. ინსტიტუტი აწარმოებდა ამ პატიმართა პიროვნების დეტალურ შესწავლას. ამავე დროს მათ მიმართ იყენებდნენ ახალ, ექსპერიმენტალურ შრომა-გამასწორებელ ღონისძიებებს. ინსტიტუტში შექმნილი სამეცნიერო შრომები იბეჭდებოდა კრებულში „Проблемы преступности“ და სხვადასხვა იურიდიულ ჟურნალებში. დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო ინსტიტუტის ფილიალები მოქმედებდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, სახელდობრ მოსკოვში და ლენინგრადში. დანაშაულობისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლის პრობლემაზე, გარდა სახელმწიფო ინსტიტუტისა, მუშაობდა კომუნისტური აკადემიის სამართლისა და სახელმწიფოს სექცია, რომლის ბაზაზეც უფრო მოგვიანებით

შეიქმნა კომუნისტური აკადემიის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რუსეთის ასოციაციის საბჭოთა სამართლის ინსტიტუტი.

ზემოჩამოთვლილი სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შესრულებულ იქნა მეტად ფართო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, რამაც ასახვა პოვა მრავალრიცხოვან შრომებში.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში დანაშაულობისა და მისი მიზეზების და დამნაშავეს პიროვნების შესწავლა შეტანილი იყო უმადლესი იურიდიული, სასწავლებლების პროგრამებში. იურიდიული ფაკულტეტების უფროსი კურსის სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ კრიმინოლოგიურ დაწესებულებებში. ისინი უშუალო მონაწილეობას იღებდნენ დანაშაულისა და დამნაშავეს პიროვნების შესწავლაში.

ამგვარად, 1923 წლიდან 1928 წლამდე დანაშაულისა და მისი მიზეზების შესწავლის პრობლემას საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

მაგრამ ოცდაათიან წლებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ინტერესი დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლისადმი მკვეთრად შემცირდა. თანდათან იკლო დანაშაულობის მიზეზების შემსწავლელ დაწესებულებათა რიცხვმა. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სრულიად შეწყვიტა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების გამოქვეყნება.

დანაშაულობისა და მისი მიზეზების

შესწავლისადმი მიმართული მუშაობის შეწყვეტა გამოწვეული იყო იმ მწვავე და სამართლიანი კრიტიკით, რომელიც განიცადა იმ დროის საბჭოთა კრიმინოლოგიამ. კრიტიკა ძირითადად ეხებოდა დანაშაულობისა და დამნაშავეს პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგიასა და მეთოდიკას. ეს საკითხები არ იყო სათანადო სიღრმით დამუშავებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, რამაც კრიმინოლოგია სერიოზულ შეცდომაზე მიიყვანა. ცნობილია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების პირველ წლებში ძლიერი იყო სხვადასხვა ბურჟუაზიული თეორიების გავლენა. 30-იან წლებში დანაშაულობის მიზეზების ახსნა ეყრდნობოდა დანაშაულობის ფაქტორების ბურჟუაზიულ თეორიას, რაც შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ სისხლის სამართალთან. ძლიერი იყო გავლენა დანაშაულობის მიზეზების ბიოლოგიური თეორიებისა. ამ თეორიების მომხრეები ძირითადად იყვნენ დანაშაულობის პრობლემებზე მომუშავე ექიმი-ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. ბიოლოგიურმა თეორიებმა გავლენა იქონიეს ძირითადად დამნაშავეს პიროვნების შესწავლაზე. როგორც უკვე აღვნიშნავდით, დანაშაულობისა და დამნაშავეს შემსწავლელ სახელმწიფო ინსტიტუტში არსებობდა ბიო-ფსიქოლოგიური სექცია. დანაშაულობისა და დამნაშავეს შემსწავლელ სხვა დაწესებულებებთან არსებობდნენ კრიმინოლოგიური „კლინიკები“ და „ამბულატორიები“, სადაც დამნაშავეს პიროვნების შესწავლას აწარმოებდნენ ექიმი-ფსიქიატრები, ანთ-

<sup>1</sup> უეთითებთ იმ პერიოდში გამოცემულ ზოგიერთ ნაშრომს: „Современная преступность“. Сборник, т. I—II; „Преступник и преступность“, сборник I—II; М. И. Гернет—Моральная статистика, 1922, მისივე—Государственный институт по изучению преступности. „Административный вестник“, 1925, № 11, მისივე—Преступность и самосудство во время войны и после нее, 1927, მისივე—Преступность за границей и в СССР, 1931, А. А. Герцензон—Преступность и алкоголизм, 1930, А. А. Жижиленко—Преступность и ее факторы, 1922 და სხვა.

რობოლოგები, ფსიქოლოგები და ბოლოს იურისტი-სოციოლოგები. ეს „კლინიკები“ და „ამბულატორიები“ შექმნილი იყო დასავლეთ ევროპის კრიმინოლოგიურ დაწესებულებათა მაგალითისამებრ. მათ მუშაობას საფუძვლად ედო ანტიმეცნიერული, ბიო-კრიმინოლოგიური თეორიები.

ცხადია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება ვერ დარჩებოდა და არც დარჩა გულგრილი ამ მეტად სერიოზული შეცდომის მიმართ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შეცდომების კრიტიკამ საწინააღმდეგო შედეგებამდე მიგვიყვანა. ლიკვიდირებულ იქნა კრიმინოლოგიური დაწესებულებები, ხოლო დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლა სრულებით შეწყდა.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ჩავარდა. მომდევნო წლებში ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის მიზეზების ახსნა შემოიფარგლებოდა მითითებით ადამიანთა შეგნებაში კაპიტალისტური გადმონაშთების არსებობაზე და კაპიტალისტურ გარემოცვაზე. დანაშაულობის მიზეზების ამგვარი ახსნა პრინციპულად სწორია, მაგრამ დანაშაულობის ხელისშემწყობი კონკრეტული მიზეზებისა და პირობების კვლევის გარეშე მოკლებულია ყოველგვარ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ასეთი უგულებელყოფა დანაშაულობის მიზეზების შესწავლისა გრძელდებოდა მთელი 25 წელი, რამაც დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეს დიდი ზიანი მიაყენა.

უქანასკნელ წლებში მდგომარეობა

არსებითად შეიცვალა. აღიარებულ იქნა დანაშაულობისა და მისი მიზეზების სისტემატური მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა და დაისვა საკითხი ამგვარი შესწავლის ორგანიზაციის შესახებ. 1957 წელს დანაშაულობის პრობლემის შესწავლას შეუდგა კრიმინალისტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექტორი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო დანაშაულობის შესწავლის მეთოდის შემუშავება. ამ სექტორის ბაზაზე 1961 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში შეიქმნა დანაშაულობის შესწავლისა და მისი თავიდან აცილების სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის ცნობილი სპეციალისტი პროფ. ა. ა. გერცენზონი.

სექტორმა მოკლე დროის განმავლობაში გამოსცა მონოგრაფია „Вопросы методики изучения и предупреждения преступности“ და მოახზადა გამოსაცემად მეორე მონოგრაფია „Предупреждение преступности и борьба с алкоголизмом“. დანაშაულობის შესწავლა წარმოებს აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტში, სსრ კავშირის პროკურატურის კრიმინალისტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ზოგიერთ სხვა იურიდიულ სამეცნიერო დაწესებულებაში.

საბჭოთა იურიდიულ ჟურნალებში და კრებულებში დაიბეჭდა მრავალი სტატია დანაშაულობის შესწავლისა და თა-

ვიდან აცილების შესახებ.<sup>1</sup> 1961 წელს გამოვიდა ა. ბ. სახაროვის წიგნი „О личности преступника и причинах преступности в СССР“. ეს არის პირველი მონოგრაფია უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში დამნაშავეის პროვინციისა და დანაშაულის მიზეზების შესახებ.

მაგრამ, მიუხედავად მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, ყველაფერი ის, რაც დღემდე გაკეთდა დანაშაულობის შესწავლის საქმეში, ეპიზოდურ და ცალმხრივ ხასიათს ატარებს. ეს ბუნებრივია, რადგან მეტად მცირეა იმ მეცნიერთა რიცხვი, რომლებიც დანაშაულობის შესწავლის პრობლემებზე მუშაობენ, ხოლო მეცნიერ მუშაკთა ახალი კადრების აღზრდას დიდი დრო ჭირდება.<sup>2</sup> დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების სექტორთან ერთად ამ საკითხების შესწავლას შეუდგნენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამართლის სექტორები და განყოფილებები. სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების სექტორი უნდა ახდენდეს მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი დაწესებულებების მუშაობის კოორდინირებას,

სამეცნიერო და პრაქტიკულ სებულებების მუშაობის კოორდინირებას, ამზადებდეს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებს, ამუშავებდეს დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების მეთოდოლოგიასა და მეთოდიკას, სცემდეს სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს და სხვ.

ამასთან ერთად საჭიროა, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო სისტემატურად აქვეყნებდეს სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალებს, რადგან ასეთი მასალების უქონლობა ერთიორად აძნელებს მუშაობას და ამავე დროს ბალებს სერიოზული შეცდომების დაშვების საშიშროებას.<sup>3</sup>

პირველი რიგის ამოცანად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების საკითხების სისტემატიზაცია, საბჭოთა კრიმინოლოგიის კურსის შედგენა და მისი შეტანა უმაღლესი და საშუალო იურიდიული სასწავლებლების პროგრამებში. პროფ. ა. ა. გერცენზონი ამ საკითხის შესახებ წერს: „იმისათვის, რომ პროფილაქტიკური მუშაობა ეფექტური იყოს, მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურის, შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების თანამშრომლები, აგრეთვე საზოგადოებრივი აქტივისტები, რომლებიც მონაწილეობენ სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების და ა. შ. მუშაობაში, აღჭურვილი უნდა იყვნენ საჭირო

<sup>1</sup> ვუთითებთ ზოგიერთ მათგანს: А. А. Герцензон—Вопросы изучения преступности в новом законодательстве союзных республик, „Советское государство и право“, 1961, № 7, გვ. 67—79. მისივე—Об изучении и предупреждении преступности, „Советское государство и право“, 1960, № 7, გვ. 78—88, მისივე—Практические вопросы организации изучения преступности, „Советская юстиция“, 1958, № 1, გვ. 7—8, А. А. Пионтковский—Усиление роли общественности в борьбе с преступностью и некоторые вопросы теории советского уголовного права, „Советское государство и право“, 1961, № 4, გვ. 6—70, В. С. Утевский—К вопросу об организации и методике изучения преступности и преступника, „Советское государство и право“, 1959, № 11, გვ. 59—68 და სხვ.

<sup>2</sup> Герцензон А. А.—Организация изучения преступности, Советская юстиция, 1958 წ. № 1, გვ. 9.

<sup>3</sup> Герцензон А. А.—დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

ცოდნით. მაგრამ იურიდიული კადრების მომზადების სისტემაში დღემდე არ ეთმობა სათანადო ყურადღება დანაშაულობის თავიდან აცილების თეორიასა და პრაქტიკას, რაც პირველ რიგში აიხსნება დანაშაულის თავიდან აცილების საკითხების ღრმა თეორიული დამუშავებისა და აგრეთვე აუცილებელი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების უქონლობით.<sup>1</sup>

აქვე პროფ. ა. ა. გერცენზონი გვთავაზობს დანაშაულის თავიდან აცილების საკითხების დაწვრილებით სისტემატიზაციას. იგი ამ საკითხებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფს: 1) დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების ზოგადი საკითხები, 2) დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლა, 3) დანა-

შაულობის თავიდან აცილება<sup>2</sup>. ეს არის დანაშაულობის თავიდან აცილებისაკენ მიმართული ღონისძიებების სისტემატიზაციის პირველი ცდა.

ყველა ის სიძნელე, რომლებიც საბჭოთა კრიმინოლოგიას თავისი განვითარების გზაზე ხვდება, უახლოეს მომავალში წარმატებით იქნება გადაჭრილი, რაც საბოლოო ანგარიშში დიდ სარგებლობას მოუტანს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეს. ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენი რესპუბლიკის სწავლულმა იურისტებმა, სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის ორგანოთა მუშაკებმა, ფართო საზოგადოებრიობამ.

ა. გაბიანი

<sup>1</sup> А. А. Герцензон, Советская юридическая наука и задачи предотвращения преступности, Советское государство и право, 1962 г. № 1, гв. 50.

<sup>2</sup> დასახელებული სტატია, გვ. 58—60.

## დაქტილოსკოპიის ერთი საკითხის გაყო

დაქტილოსკოპიას, როგორც დამნაშავეთა მხილების საუკეთესო საშუალებას, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. დაქტილოსკოპიის ირგვლივ შექმნილია მრავალი კრიმინალისტიკის საინტერესო გამოკვლევა, რომლებშიც მთელი რიგი საკითხები საფუძვლიანადაა დამუშავებული. მაგრამ ცალკეულ კრიმინალისტთა შრომებში ჯერ კიდევ სწორად არ არის გადმოცემული დაქტილოსკოპიის განვითარების ისტორია. ამ საკითხს კი დიდი მნიშვნელობა აქვს დაქტილოსკოპიური მეცნიერების არსის სწორად გაგებისათვის.

სახელწოდება — დაქტილოსკოპია წარმოიშვა ბერძნული სიტყვების შეერთებით და ნიშნავს „დაქტილოს“ — თითი, „სკოპინ“ — ცქერა, სინჯვა, განხილვა, ე. ი. ნიშნავს თითის ცქერას, მის გასინჯვას.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით დაქტილოსკოპიის ტერმინის შემოღებას წინ უსწრებდა „იკნოფალანგომეტრია“, რომლის ავტორია უჟან ვუცეტჩი. 1891 წელს არგენტინის ქალაქ ბუენოს-აირესის მთავარ საპოლიციო სამმართველოში უჟან ვუცეტჩიმ ანთროპომეტრიასთან ერთად შემოიღო ბარათები ათი თითის ანაბეჭდებით და მას ბერძნული სიტყვების შეერთებით უწოდა ანთროპომეტრიის მსგავსი სახელწოდება „იკნოფალანგომეტრია“.

გერმანელი კრიმინალისტი რ. ჰეინდლის გადმოცემით ტერმინი „დაქტილოსკოპია“ შემოღებულია უჟან ვუცეტჩის მიერ, ხოლო ფრანგი კრიმინალისტი ედმონდ ლოკარის გადმოცემით კი იგი მიეკუთვნება ექიმ ფრანცისკო ლატცინს, რომელმაც 1894 წლის 8 იანვარს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში ვუცეტჩის წინადადება მისცა „იკნოფალანგომეტრია“ შეეცვალა სიტყვა „დაქტილოსკოპია“ — თი, „...სიტყვა უფრო შესაფერისი, უფრო მოკლე (17 ასოს ნაცვლად 13) და თანაც

უფრო კეთილზომიანი, ვიდრე იკნოფალანგომეტრია“.<sup>1</sup>

ამრიგად, „დაქტილოსკოპია“ ნიშნავს თითის ცქერას, მის გასინჯვას, რაც სავსებით შეესაბამება მის შინაარსს.

დღემდის კრიმინალისტთა შრომებში დაქტილოსკოპიის ცნება ან სრულიად არაა მოცემული, ან მოცემულია არასრული სახით. დაქტილოსკოპიის საკითხებისადმი მიძღვნილ კრიმინალისტთა ცალკეული მონოგრაფიების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, დაქტილოსკოპიის ცნება მოცემული არაა თვით უკანასკნელ წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებშიც კი.<sup>2</sup>

დაქტილოსკოპიის ცნებამ პირველად თავისი ასახვა ჰპოვა 1938 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში, სადაც იგი განმარტებულია, როგორც „მეცნიერება შესახებ ადამიანის ვინაობის დადგენისა თითების ბალიშებზე არსებულ კანის ქარგების მიხედვით“.<sup>3</sup> ანალოგიურ განმარტებას იძლევა 1950 წელს გამოცემული სახელმძღვანელოც.<sup>4</sup> მაგრამ, ჩვენის აზრით დაქტილოსკოპიის ასეთი განმარტება სრულად ვერ ასახავს მის ნამდვილ არსსა და შინაარსს, რის გამოც იგი მოითხოვს დაზუსტებას. ამ განმარტების ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მასში არაფერია ნათქვამი დგრილოვან საზეზზე, მათ აღნაგობასა და განლაგებაზე, რომელთა უშუალო გამოყენებითაც წარმოებს პიროვნების იდენტიფიკაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაქტილოსკოპია განიმარტოს შემდეგნაირად: დაქტილოსკოპია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ხელის თითების ბალიშებზე მოთავსებული დგრილოვანი საზეზების აღნაგობას, განლაგებასა და მათ მიერ წარმოქმნილი ქარგების ანაბეჭდულ გამოყენებას ადამიანის პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

ამრიგად, დაქტილოსკოპია შეისწავლის ადამიანის ხელის თითებზე მოთავსებული დგრი-

<sup>1</sup> Э. Локар, „Руководство по криминалистике“, пер. с фран. М. 1941; стр. 29.

<sup>2</sup> Советская криминалистика, М. 1953; Криминалистика М. 1959.

<sup>3</sup> კრიმინალისტიკა, ქართული თარგმანი, თსუ 1944 წ. გვ. 46.

<sup>4</sup> Криминалистика М. 1950, стр. 114.

ლოვანი ხაზების აღნაგობას, განლაგებას და მათ მიერ წარმოქმნილი ქარგების გამოკვლევას სისხლის სამართლის დამნაშავეთა დადგენის მიზნებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაქტილოსკოპიური მეცნიერების განვითარების ირგვლივ მთელ რიგ კრიმინალისტთა შრომებში გატარებულია არასწორი შეხედულება. კრიმინალისტთა ერთი ნაწილი ცდილობს დაქტილოსკოპია წარმოავიდეგინოს, როგორც უძველესი დროიდან დაწყებული მეცნიერება, რომელსაც თითქოს ისტორიამდელი კაცობრიობა იცნობდა<sup>1</sup>, და რომ თითქოს ჩინეთში, ჯერ კიდევ ადრე VII საუკუნეში, თითების ანაბეჭდებს იყენებდნენ პიროვნების იდენტიფიკაციისათვის<sup>2</sup>. ანალოგიურ აზრს იმეორებს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკ<sup>3</sup>. საბჭოთა კრიმინალისტებში ასეთი აზრის გავრცელებას შეიძლება ხელი შეუწყუ იმ გარემოებამ, რომ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოები ამ საკითხს ჯერ კიდევ დაშლილ გვერდს უფლიან. ამ აზრის მიმდევარი კრიმინალისტების ერთი ნაწილი დაქტილოსკოპიის განვითარების ისტორიას განიხილავს ცალკეული პერიოდების მიხედვით, ხოლო მეორე კომის გარეშე, მაგრამ მათი არსი ერთია, რადგან ისინიც მას განიხილავენ ცალკეული პერიოდების შესაბამისად მხოლოდ დასათაურების გარეშე.

დაქტილოსკოპიის ისტორიული ნაწილის პერიოდებად დაყოფა და აღმანიანა საზოგადოების აღნიშნულ საფეხურზე დაქტილოსკოპიის არსებობის აღიარება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რადგან XIX საუკუნის ბოლომდე სრულიად უცნობი და დაუმუშავებელი იყო დაქტილოსკოპიის მეცნიერული საფუძვლები და პაპილარული ქარგების გამოკვლევის მეთოდები, რის გამოც, ცხადია მანამდის არც შეიძლება ვიმსჯელოთ დაქტილოსკოპია-

ზე, როგორც პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებაზე.

ბურჟუაზიული კრიმინალისტების, და კერძოდ, რ. ჯენსდლის აზრით დაქტილოსკოპიური მეცნიერება 500 წლით ხნეირია ევროპის ყველაზე უძველეს უნივერსიტეტზე<sup>4</sup>. მისივე გადმოცემით პირველი ჩინელი ავტორი, რომელიც იხსენიებს თითების ანაბეჭდებს, როგორც იდენტურობის დადგენის საშუალებას, არის ტანგთა პერიოდის მწერალი კიან-კუნგ-იენი (დაახლოებით 650 წ.). მისი აზრით იგი არის მსოფლიოში პირველი ავტორი, რომელიც გარკვეულად ლაპარაკობს დაქტილოსკოპიის შესახებ, როგორც პიროვნების დადგენის ზუსტ საშუალებაზე. კიან-კუნგ-იენის გადმოცემით ხელშეკრულების დადების დროს თვითეული მხარე იღებდა ხის ტაბულას (რომელსაც იმ დროს საწერად იყენებდნენ) და მისი კიდების შესაბამის ადგილზე აკეთებდნენ სრულიად ერთნაირ ნაჭევებს ისე, რომ ფიცრების ერთიმეორეზე მიდებით შეეძლოთ მათი გაიგივება. კიან-კუნგ-იენი ამ ძველი მოქმედების შინაარსს თავის თანამემამულეებს შემდეგი სიტყვებით განუმარტავს: „Эти зарубки преследуют ту же цель, что теперь отпечатки пальцев. Они преследуют цель защиты от подделок“<sup>5</sup>.

კიან-კუნგ-იენის მიერ მოყვანილი ეს ფრაზა გახდა იმ ავტორთა ერთადერთი ხელჩასაკიდებელი წყარო და საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ააგეს არასწორი შეხედულება, თითქოს იგი მეტყველებდეს იმ დროს თითების ანაბეჭდების გამოყენებაზე პიროვნების იდენტიფიკაციისათვის. მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა ნაჩქარვია, რადგან მხედველობიდან გამოტოვებულია თვით ავტორის ის მითითება, რომ მისი მიზანია „გაყალბებისაგან დაცვა“ და არა პიროვნების იდენტიფიკაცია. ამავე დროს

<sup>1</sup> Э. Локер „Руководство по криминалистике“, пер. с фран. М. 1911; стр. 40.

<sup>2</sup> ამ შეხედულებას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსაკუთრებული თვამოდებით იცავს გერმანელი კრიმინალისტი რ. ჰეინდლი. Р. Гейндль, „Дактилоскопия и другие методы уголовного техники в деле расследования преступлений“ пер. с немец. 1927 г. ასევე ამ აზრს იზიარებს რუსი რევოლუციამდელი ანთროპოლოგი მ. ს. მარგულისი, რომელიც მხოლოდ სკალიონში მითითებით კმაყოფილდება, რომ ჩინეთში თითების ანაბეჭდებს უკვე კიდევ ხნის წინ იყენებდნენ პოლიცის მიზნებისათვის. იხ. М. С. Маргулис „Антропометрия в Париже“ (жур. „Право“ 1891, № 11, стр. 552).

<sup>3</sup> და. ე. მარიანაშვილი, „თანამართალი დეკადაქტილოსკოპიური და მონოდაქტილოსკოპიური მეთოდები“ (სადისერტაციო შრომა რურ. მიც. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისის უნივერსიტეტი, 1942 წ.). Г. Цымакурдзе „Основные вопросы дактилоскопии в советской криминалистике“, Тб. 1951. Н. Ф. Крылов „Следы на месте преступления“, Лд, 1961.

<sup>4</sup> რ. ჰეინდლი, იქვე, გვ. 3.

<sup>5</sup> რ. ჰეინდლი, იქვე, გვ. 9.

იგიწებენ ყველასთვის ცნობილ იმ ფაქტს, რომ უწინ აღამიანები საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე, როდესაც დებდნენ რაიმე სახის გარიგებას, მასზე ყოველთვის აკეთებდნენ თავიანთ გარკვეულ აღნიშვნას ხელმოწერის, ბეჭდის, თითის ანაბეჭდის, ჯვრის დასმის და სხვა სახით. მართალია მათი ასეთი მოქმედება მიმართული იყო თავიანთი პიროვნების დასამოწმებლად და საბუთის გაყალბების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მას არ იყენებდნენ პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებისათვის. იგი დაკავშირებული იყო მხოლოდ მათ მისტიკურ წარმოდგენასთან, მათ რწმენასთან, რომ რაკი საბუთზე დაუსვამდნენ ჯვარს ან თითის ანაბეჭდს, თითქოს მისი გაყალბება ყოველად შეუძლებელი იქნებოდა.

ამის დასამტკიცებლად შეიძლება გამოვიყენოთ თვით რ. ჰეინდლის მიერ მოყვანილი ფაქტები, ჩინეთში გათხრის შედეგად აღმოჩენილი მანუსკრიპტებიდან მოყვანილი ვალდებულებითი ხელშეკრულების შემდეგი ადგილი: ორივე მხარემ ხელშეკრულება სცნო სწორად, სამართლიანად და როგორც ხელმოწერა, დაურთეს თავიანთი თითების ანაბეჭდები<sup>1</sup>. ასევე ჩინეთის საოჯახო სამართლის კანონიდან: განქორწინების დროს ქმარმა ცოლს უნდა ჩააბაროს საბუთი, რომელშიაც ნაჩვენებია უნდა იყოს განქორწინების მიზეზი. საბუთი დაწერილი უნდა იყოს მეუღლის მიერ. ხოლო თუ მას არ შეუძლია წერა, მან უნდა გააკეთოს აღნიშვნა თავისი თითების ანაბეჭდებით<sup>2</sup>.

რ. ჰეინდლი როდესაც ეხება ჩინეთში ზუნგთა პერიოდს (960-1278) აღნიშნავს, რომ იმ დროს ჩინელები უკვე მიმართავდნენ დამნაშავეთა თითების ანაბეჭდების გამოყენებას სხვადასხვა საქმეთა განხილვის დროს<sup>3</sup>. ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად მას მოჰყავს ანგლოტი იმპერატორის სიყვარულზე, მაგრამ მას ავიწყდება, რომ კრიმინალისტიკური მეცნიერება, კერძოდ კი დაქტილოსკოპია, ანეგლოტებსა და თქმულებებს ვერ დაეყრდნობა, რომ მას ესაჭიროება ნამდვილი დამამტკიცებელი ფაქ-

ტები და არა ანეგლოტები. შემდეგ იგი ეყრდნობა რა ჩინელ მარჩიელთა შორის გავრცელებულ მონაქორს, აკეთებს ისეთ დასკვნას, რომ თითქოს ისინი იმ დროს უკვე ანსხვავებდნენ დვრილოვანი ხაზების მიერ წარმოქმნილი ქარგების ორ ტიპს: წრიულს „Lo“ და მარყუჟისებურს „ki“<sup>4</sup> მისი ასეთი მოსაზრების გამო ფრანგი კრიმინალისტი ე. ლოკარი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს არის მხოლოდ ქუთის თამაში, რადგან ჩინელები არასოდეს არ სარგებლობდნენ კლასიფიკაციისათვის ამ სრულიად ლოგიკური ქვედანაყოფებით<sup>5</sup>.

რ. ჰეინდლი ასევე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს თითების ანაბეჭდების გამოყენების არსებობა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ძველად იაპონიაში<sup>6</sup>.

რ. ჰეინდლის მიერ მოყვანილი ყველა ის ფაქტები, რომლებშიც ასახულია თითების ანაბეჭდების გამოყენება, მეტყველებს იმაზე, რომ იგი დაკავშირებულია ძველ ადამიანურ ტრადიციებთან და არა პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებთან, ე. ი. მათ არავითარი საერთო არა აქვთ დაქტილოსკოპიურ მეცნიერებასთან, რადგან იმ დროისათვის სრულიად უცნობი იყო დვრილოვანი ხაზების ის ბიოლოგიური თვისებები, რომელთა შესწავლა და დამუშავება შემდეგ საფუძვლად დაედო დაქტილოსკოპიის განვითარებას და მის პრაქტიკაში ფართოდ დაწერგვას. იგი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ იმ დროს ისინი ხშირად თავიანთი პიროვნების დასამოწმებლად ხელმოწერის ან ბეჭდის მაგიერ იყენებდნენ ხელის თითების ანაბეჭდებს<sup>7</sup>.

დაქტილოსკოპიის ისტორიის შესწავლას საბჭოთა კრიმინალისტიკაში გარკვეული ყურადღება მიაქციეს და მათ ამ საკითხზე თავიდანვე სწორი პოზიცია დაიკავეს. ასე მაგალითად, პირველი საბჭოთა კრიმინალისტი პ. სემენოვი ძველად თითების ანაბეჭდების გამოყენების ფაქტებს სამართლიანად არ თვლის პიროვნების იდენტიფიკაციის გამომხატველ საშუალებად<sup>8</sup>. შემდეგ პროფ. ვ. ნ. ტერზიევმა და

<sup>1</sup> Р. Гейндль, „Дактилоскопия и другие методы уголовной техники в деле расследования преступлений“ стр. 9.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>4</sup> რ. ჰეინდლი, იქვე, გვ. 13.

<sup>5</sup> Э. Локар, „Руководство по криминалистике“. пер. с франц М. 1941, стр. 47.

<sup>6</sup> რ. ჰეინდლი, იქვე, გვ. 19.

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ რ. ჰეინდლისა და მის მიმდევართა ასეთ არასწორ მოსაზრებათა სასარგებლოდ სრულიად არაფერს არ ამბობს დაქტილოსკოპიის პირველი რუსი რევოლუციონარული მკვლევარი ვ. ი. ლებედევი. В. И. Лебедев, „Искусство раскрытия преступлений.“ I. Дактилоскопия. 1912.

<sup>8</sup> П. С. Семеновский, „Дактилоскопия как метод регистрации“. 1928 г.

ნ. ა. ბობროვმა 1938 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში სრულიად ნათლად გამოხატეს საბჭოთა კრიმინალისტიკის შეხედულება. ისინი, როდესაც ეხებიან ძველად ჩინეთში თითების ანაბეჭდების გამოყენების საკითხს, აღნიშნავენ: არ უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთში დაქტილოსკოპია ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით უკვე საშუალო საუკუნეებში არსებობდა<sup>1</sup>. ასევე პროფ. ხ. მიტრიჩევი აღნიშნავს პერიოდში თითების ანაბეჭდების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით 1941 წელს წერდა: ჩვენ ვერ მოვწინავეთ ვერც ერთ ისეთ ფაქტს, რომელიც საფუძველს მოგვცემდა დაგვეტყვიებინა, რომ იმ დროს თითის კვალი განიხილებოდა, როგორც საფუძველი პირიდან იდენტიფიკაციისათვის<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ მოიპოვება არც ერთი ისეთი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც მტყუვლებს, როგორც ჩინეთის, ისე სხვა ქვეყნების ადრინდელ პერიოდში დაქტილოსკოპიის არსებობაზე, ე. ი. თითების ანაბეჭდების გამოყენებაზე პირიდან იდენტიფიკაციის მიზნებისათვის, ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის ექსპერტისა და რ. ჰეინდლის შემოადინებულ შრომას, აკეთებენ ისეთ დასკვნას, რომ თითის ჩინეთში 650 წელს თითების ანაბეჭდებს იყენებდნენ პირიდან იდენტიფიკაციის მიზნებისათვის, უფრო მეტიც, ისინი თავიანთი მოსაზრებებით „ავსებენ“ და „სრულყოფილს“ ხდიან ჰეინდლის აღნიშნულ შეხედულებას, რითაც ცხადია ხელს უწყობენ კრიმინალისტიკის შორის არასწორ შეხედულებათა გავრცელებას. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ადრე დ. ე. მირიანაშვილი თავის სადისერტაციო შრომაში „დანაშაულთა გამოკვლევის დიქტატილოსკოპიური და მონოდაქტილოსკოპიური მეთოდები“, დაქტილოსკოპიის წარმოგვიდგენს, როგორც უძველესი დროიდან მომდინარე მეცნიერებას, რომელზეც თითის „პირველყოფილ ადამიანს საოცრად ზუსტი ცნობები ჰქონდა ხელის თითების დვრილოვან ხაზებზე და ამ ხაზებით წარმოქმნილ ქარგებზე“<sup>3</sup>.

ანალოგიურ აზრს იმეორებს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ციმაკურიძე, რომელმაც 1957 წელს ქ. თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა მონოგრაფია „Основные вопросы

дактилоскопии в советской криминалистике“.

გ. ციმაკურიძის აზრით, მართალია პირველყოფილ ადამიანს წარმოადგენდა ჰქონდა პაპილიარული ქარგების არსებობაზე და „შესწავლილი ჰქონდა მათი აგებულება“, მაგრამ იმ დროს მას არ ანიჭებდნენ პირიდან იდენტიფიკაციის მნიშვნელობას იმის გამო, რომ მათ პირობებში აუცილებლობას არ წარმოადგენდა პირიდან იდენტიფიკაციის მიზნების დადგენა თითების ანაბეჭდებით, რადგან არ არსებობდა კერძო საკუთრება და კლასები. აღნიშნულის გამო იგი დაქტილოსკოპიის წარმოშობას უკავშირებს ადამიანთა კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობის პროცესს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: დაქტილოსკოპიის ისტორია, ე. ი. ადამიანის თითების ანაბეჭდების იდენტიფიკაციის მიზნით პაპილიარული ქარგების გამოყენების ისტორია დაიწყო კლასობრივი საზოგადოების გაჩენასთან და პირადი საკუთრების დაცვის მიზნით პირიდან იდენტიფიკაციის აუცილებლობის აღმოცენებასთან ერთად<sup>4</sup>. გ. ციმაკურიძის ასეთ მოსაზრებას ცხადია არ შეიძლება დავეთანხმოთ.

გ. ციმაკურიძე ეყრდნობა რა რ. ჰეინდლის მიერ ჩინეთის ისტორიიდან მოყვანილ შემოადინებულ ფაქტებს, მის საფუძველზე აკეთებს ისეთ დასკვნას, რომ თითის ძველად ჩინეთში არა მარტო ფართოდ იყენებდნენ დაქტილოსკოპიურ მეთოდს, არამედ პაპილიარული ქარგების მორფოლოგიის მეტად საგულდაგულო გამოკვლევასაც კი. უფრო მეტიც, მისი აზრით დასავლეთ ევროპაში დაქტილოსკოპიური მეთოდის შემოღებამდე მრავალი ათასი წლის წინათ ჩინეთში უკვე იცოდნენ ხეული და მარყუჟისებური პაპილიარული ქარგების კლასიფიკაცია. იგი ასეთ დასკვნას აკეთებს ხალხში გავრცელებულ ისეთ ანდაზურ თქმულებებზე დაყრდნობით, როგორცაა: „Один вихревой завиток (на пальце—Г. Ц.) означает бедность, две вихревых завитка—богатство; три завитка, четыре завитка—открывай ломбард; пять завитков—сделайся комиссионером; шесть завитков—вор; семь—несчастье; восемь—жри салому; девять завиток и одна петля—тебе не надо работать; у тебя хватит еды до самой смерти“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კრიმინალისტიკა, ქართული თარგმანი, თსუ 1944 წ. გვ. 46.

<sup>2</sup> С. Митричев, „Дактилоскопическая экспертиза“ (жур. „Соц. законность“ 1941, № 2, стр. 29).

<sup>3</sup> დ. ე. მირიანაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

<sup>4</sup> Г. Цимакуридзе, „Основные вопросы дактилоскопии в советской криминалистике“, Тб. 1957, стр. 7.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 9.

ამ ხალხურ ანდაზურ თქმულებას თუ რა კავშირი აქვს დაქტილოსკოპიურ მეცნიერებასთან, ეს კომენტარებს არ საჭიროებს.

განაგრძობს რა მსჯელობას ადამიანთა საზოგადოების ადრინდელ საფეხურზე დაქტილოსკოპიის არსებობის შესახებ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურისა და ისტორიულ ძეგლებზე დაყრდნობით, გ. ციმაკურიძე საკუთარი დაკვირვებებისა და გამოკვლევის საფუძველზე აკეთებს ისეთ დასკვნას, რომ თითქოს ძველად ქართველი ხალხისათვის ცნობილი იყო ხელის თითებზე მოთავსებული პაპილიარული ქარგების ისეთი თავისებურებანი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ პიროვნების იდენტიფიცირება ანაბეჭდების მიხედვით. იგი ასეთ დასკვნას აკეთებს ქართულ ისტორიულ ძეგლებზე და ქართველ მოქანდაკეთა და მხატვართა ისეთ ნაწარმოებებზე დაყრდნობით, რომლებზედაც მოთავსებულია ადამიანის ხელის გამოსახულება. მაგრამ ის რატომღაც ივიწყებს, რომ არ შეიძლება დაქტილოსკოპიის არსებობად მივიჩნიოთ თუნდაც ის, რომ მცხეთაში სვეტიცხოველის ტაძარზე გამოსახულია ადამიანის ხელი, ან კიდევ, სოფელ დიღომში არსებული დარბაზის შენობის მთავარ ბოძზე ამოკვეთილია მშენებელ სიმონ სუთიაშვილის ხელი წარწერით: „1850წელს ავაშენე მე სიმონ სუთიაშვილმა“ და სხვა. ცხადია ასეთ ისტორიულ ძეგლებზე გამოკვეთილ ხელის მტევანზე დაყრდნობით არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად საქართველოში მცხოვრებნი, ისევე როგორც ჩინელები, თითის ანაბეჭდებს იყენებდნენ პიროვნების იდენტიფიკაციისათვის მაშინ, როდესაც დაქტილოსკოპია მისი ნამდვილი აგებით სრულიად უცნობი იყო, როგორც ჩინელებისათვის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისათვის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისთვისაც. ძველად საქართველოში ხელის თითების ანაბეჭდების არსებობა სხვადასხვა სახის საბუთებზე მეტყველებს არა იმაზე, რომ იმ დროისათვის ცნობილი ყოფილა პაპილიარული ქარგების ის თავისებურებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მათი იდენტიფიცირება, როგორც ამაზე მსჯელობს გ. ციმაკურიძე, არამედ იმაზე, რომ ჩვენშიაც, ისევე როგორც ძველად ჩინეთში და იაპონიაში, იგი დაკავში-

რებული იყო რელიგიურ რწმენასთან და ადრინდელ წესებთან.

რ. ჰენდლისა და მის მიმდევართა სრული შეგავლენის ქვეშ მოექცა ი. ფ. კრილოვიც, რომელმაც 1961 წელს გამოსცა მონოგრაფია „Следы на месте преступления“ ი. ფ. კრილოვიც ეყრდნობა რა რ. ჰენდლის მიერ მოყვანილ წყაროებს, რომლებიც ჩვენ შემოთ ასე დაწვრილებით განვიხილოთ, აკეთებს ისეთ დასკვნას, რომლის მიხედვითაც ჩინეთი უნდა ვაღიაროთ დაქტილოსკოპიის სამშობლოდ, რადგან თითქოს ჩინეთში თითების ანაბეჭდებს იდენტიფიკაციის მიზნებისათვის იყენებდნენ ჯერ კიდევ ტანთა დინასტიის დროს (618-959 წწ.), ხოლო სუნესკთა დინასტიის პერიოდში (900-1278 წწ.) კი უკვე თავს იჩენს სისხლის სამართლის პროცესში<sup>2</sup>.

ჩვენ იმ აზრს კი არ ვაღიარებთ, რომ თითქოს ძველად სრულიად არ ჰქონდათ წარმოადგენა ადამიანის ხელის თითების ანაბეჭდებზე; არა, ცხადია ასეთი შეხედულება არა სწორი იქნებოდა. ძველად, ისევე როგორც ჩინეთში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში, იცოდნენ ხელის თითების ბალიშებზე მოთავსებული რაღაც წვრილი ხაზების მიერ წარმოქმნილი ქარგების არსებობა და იცოდნენ მისი გაღატანა ქალღმერთს ან სხვა რაიმე საგანზე სხვადასხვა საღებავების გამოყენებით. მაგრამ მათ არ იცოდნენ ამ „წვრილი ხაზების“ (რომლებსაც ჩვენ დგრილოვან ანუ პაპილიარულ ხაზებს ვუწოდებთ) მიერ წარმოქმნილი ქარგების გამოყენება პიროვნების იდენტიფიკაციისათვის, რადგან მათთვის უცნობი იყო პაპილიარული ქარგების ის მეცნიერული საფუძვლები, რომლებიც მას მნიშვნელოვანს ხდის პიროვნების დადგენისათვის. გარდა ამისა მათ არ იცოდნენ და არც შეიძლება იმ დროს ცოდნოდათ თითების ანაბეჭდების გამოკვლევა. ამიტომ, როდესაც ვეგებით ძველად დაქტილოსკოპიის არსებობის საკითხს, მისი გადმოცემის დროს, ტერმინების ხმარებაში უნდა გამოვიჩინოთ უფრო მეტი სიუსტე. თითების ანაბეჭდების წარმოსახვის ცოდნა და ისტორიულ ძეგლებზე გამოსახული ხელის მტევნები არ უნდა მივიჩნიოთ იმ დროს დაქტილოსკოპიური მეცნიერების არსებობად, რადგან თითების ანაბეჭდების წარმოსახვა ერთია, ხოლო მისი გამოკვლევა პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებისათვის მეორე. ყველა შემთხვევა აღნიშნული ფაქტობ

<sup>1</sup> Г. Цимакურიдзе, „Основные вопросы дактилоскопии в советской криминалистике“, Тб 1957, стр. 13

<sup>2</sup> И. Ф. Крылов, „Следы на месте преступления“ Л—д, 1961 г; стр. 14.

მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროს ცნობილი ყოფილა სხვადასხვა საღებავების გამოყენებით თითების ანაბეჭდების მიღების წესი და რომ თითების ანაბეჭდების წარმოსახვა დაკავშირებული იყო მათ აღათ-წესებთან და არა პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებთან.

პირველყოფილ საზოგადოებაში თითების ანაბეჭდების წარმოქმნა დაკავშირებული იყო თიხის ჭურჭლის დამზადების იმ პრიმიტიულ წესთან, რომლებზეც მათი ხელების ზემოქმედების შედეგად მათდაუნებურად აღიბეჭდებოდა თავიანთი თითების ანაბეჭდები. საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურზე მღვდომი ადამიანის მიერ თიხის ჭურჭელზე თითების ანაბეჭდების წარმოქმნის პროცესი შეიძლება შევადაროთ ბავშვების მიერ კარგად შეგუთილი პლასტილინისაგან სათამაშოების დამზადების დროს მასზე მათდაუნებურად თითების ანაბეჭდების წარმოქმნის პროცესს, მაგრამ ისევე, როგორც ბავშვმა არ იცის დაქტილოსკოპიის მეცნიერული საფუძვლები და მისი გამოკვლევა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის, ასევე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა იგი პირველყოფილი საზოგადოების ადამიანს. საზოგადოების განვითარების მომდევნო საფეხურზე ადამიანმა უღაოდ ისწავლა მთელ რიგ საგნებზე თითების კვალთა აღბეჭდვა სხვადასხვა საშუალებებით, მაგრამ იმ დროს მას იყენებდნენ არა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის, არამედ იგი ასრულებდა ისეთსავე როლს, როგორც საბუთზე ხელმოწერის მაგიერ ბეჭდისა და ჯვრის დასმა, და სხვა მისდაგვარი.

დაქტილოსკოპიის ისტორიის შესწავლა უნდა დავიწყოთ არა პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებიდან, არა კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობიდან, იგი უნდა ვეძიოთ არა ხალხურ თქმულებებში და თიხის ნაბეჭდებზე შემორჩენილ ანაბეჭდებში, არამედ იმ მეცნიერ ანატომთა და კრიმინალისტთა შრომებში, რომლებმაც პირველად მიაქციეს ყურადღება ხელის თითების ბაღიშებზე მოთავსებული დვრილოვანი ხაზების განლაგებას და რომლებმაც მრავალი წლის განმავლობაში აწარმოეს მისი ძირითადი თვისებების გამოკვლევა და შესწავლა. იგი უნდა განვიხილოთ ანთროპომეტრიასთან ბრძოლის კავშირში, რადგან სანამ დაქტილოსკოპია, როგორც დამნაშავეთა დადგენის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მეთოდი საერთო აღიარებასა და დამ-

კვიდრებას ვპოვებდა, მანამდის მას ხანდახან ვი დროის განმავლობაში უხდებოდა ბრძოლა ანთროპომეტრიული მეთოდის მიმდევართა წინააღმდეგ. დაქტილოსკოპიის ისტორიის შესწავლა უნდა დავიწყოთ იმ შრომების განხილვით, რომლებშიც მოცემულია მისი მეცნიერული საფუძვლების დამუშავების პირველი ცდები.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით დაქტილოსკოპიური მეცნიერების დამუშავების პირველი ცდები მოცემულია XVII საუკუნის მეორე ნახევრის შოლვაწის ანატომ მარჩელო მალპიგის შრომებში, რომელმაც ადამიანის ხელის თითების ბაღიშებზე მოთავსებულ პაპილიარულ ქარგებზე დაკვირვების შედეგად შეამჩნია, რომ მათ აქვთ წრის ან ხვეულის სახე და რომ მიკროსკოპიული გასიხვვის დროს დვრილოვან ხაზებზე აღინიშნება საოფლე ხვრელები<sup>1</sup>.

1764 წელს ბ. ს. ალბინმა გამოაქვეყნა შრომა, რომელშიაც სპეციალური თავი მიუძღვნა დვრილოვანი ხაზების აღწერას. დაახლოებით 1812 წელს ლაიპციგში გამოქვეყნებული იქნა ფრიდრიხ შრეტერის შრომა „Человеческое ощущение или орган осязания“, სადაც გადიდებული სახით წარმოადგინა პაპილიარული ხაზები თავისი განსტოებებითა და პორებით. ასევე 1812 წელს ჟ. ვენაში პროფესორმა გამოაქვეყნა დისერტაცია ადამიანის სხეულის ანატომიის შესახებ, რომელშიც აღწერა დვრილოვანი ხაზების აგებულება. მაგრამ, ყველა ეს თხზულებანი, — როგორც ე. ლოკარი აღნიშნავს, — გვიჩვენებს, რომ ანატომებს აინტერესებდათ მხოლოდ დვრილების აგებულება და ყურადღების გარეშე ტოვებდნენ პაპილიარული ქარგების ხაზების მორფოლოგიას<sup>2</sup>.

1823 წელს პროფ. პურკინემ გამოაქვეყნა შრომა „მხედველობის ორგანოსა და კანის აგებულების ფიზიოლოგიური გამოკვლევის შესახებ“. ლიტერატურული წყაროების მიხედვით ეს არის პირველი შრომა, რომელიც მოიცავს თითებზედ არსებული კანის ქარგების კლასიფიკაციის აღწერას.

თითების ანაბეჭდების გამოყენების ინიციატივა სისხლის სამართლის დამნაშავეთა იდენტიფიკაციისათვის ეკუთვნის ვილიამ გერშელს, რომელმაც თავისი პირველი ცდები დაიწყო ინდოეთის ქ. კალკუტაში (1860 წ.). მან თითების ანაბეჭდები პირველად გამოიყენა პენსიის გაცემის დროს პენსიონერთა პიროვნების დასად-

<sup>1</sup> Э. Локар. „Руководство по криминалистике“, пер. с фран. М. 1941, стр. 13.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24



გენად, ხოლო შემდეგ კი თავისი ოლქის ერთ-ერთ ციხეში. იგი იღებდა მხოლოდ მარჯვენა ხელის საჩვენებელ და შუა თითის ანაბეჭდებს.

გერშელისაგან სრულიად დამოუკიდებლად ინგლისელმა მეცნიერმა ფოლდსმა თავისი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დაასკვნა, რომ დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები შეიძლება გამოყენებული იქნეს დამნაშავეთა მხილებისათვის. ფოლდსმა 1880 წელს შეადგინა თითების ანაბეჭდების მიღების სახელმძღვანელო, რომელშიც პირველმა წამოაყენა წინადადება დამნაშავეთათვის ათივე თითის ანაბეჭდების აღების შესახებ.

იმ დროს, როდესაც წამოყენებული იქნა აზრი დამნაშავეთა პიროვნების დასადგენად გამოყენებული ყოფილიყო დაქტილოსკოპიური მეთოდი, ღა როცა იგი უკვე დაადგა ფართო პრაქტიკული გამოყენების სწორ გზას, სწორედ მაშინ ახპარეზე გამოვიდა დამნაშავეთა პიროვნების დადგენის სრულიად ახალი მეთოდი — ანთროპომეტრია, რომელიც დაკავშირებულია ფრანგ ანთროპოლოგ-კრიმინალისტ ბერტილიონის სახელთან.

1881 წელს ბერტილიონმა გამოაქვეყნა ბროშურა ანთროპომეტრიული სისტემის პრაქტიკული გამოყენების შესახებ. ანთროპომეტრიული მეთოდი პირველად შემოღებული იქნა საფრანგეთში 1888 წელს, ხოლო შემდეგ იგი გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში — არგენტინაში, ბელგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ინდოეთში, ესპანეთში და სხვა მრავალ ქვეყნებში. რუსეთში რეგისტრაციის ანთროპომეტრიული სისტემა შემოღებული იქნა 1890 წლის 31 მაისიდან.

დაქტილოსკოპიის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ინგლისელი მეცნიერი — ფრენსის გალტონის სახელთან (1822—1911), რომელმაც რამოდენიმე წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ წარმატებით გადაწყვიტა სამი ისეთი ძირითადი საკითხი, რომლის გარეშეც დაქტილოსკოპიის გამოყენებაზე დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. კერძოდ მან დაადგინა, რომ: 1. ხელის თითების ქარგების დვრილოვანი საზები უცვლელია ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; 2. ქარგებს შორის არსებობს ისეთი სხვაობა, რომ მის საფუძველზე შეგვიძლია გავარჩიოთ ათასობით დამნაშავე; 3. იგი გვაძლევს თითების ანაბეჭდების კლასიფიკაციის საშუალებას.

1894 წელს დაქტილოსკოპია შემოღებული იქნა ინგლისში კომბინირებული წესით. იმავე წელს ბერტილიონმა დაქტილოსკოპიური მეთო-

დის ნაწილობრივი გამოყენება შემოიღო კარიზში — თავის ლაბორატორიაში.

დაქტილოსკოპიის შემდგომ განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ედუარდ რიჩარდ ჰენრის, რომელმაც არა მარტო გააუმჯობესა და სრულყოფილი გახადა გალტონის მიერ წარმოებული დაქტილოსკოპიის სარეგისტრაციო სისტემა, არამედ ხელიც შეუწყო მის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვას. 1900 წელს ჰენრიმ გამოაქვეყნა შრომა „თითების ანაბეჭდების კლასიფიკაცია და მათი გამოყენება“, რომელიც გახდა დაქტილოსკოპიის მიმდევართათვის მაგიდის სახელმძღვანელო.

1903 წელს დაქტილოსკოპია შემოღებული იქნა გერმანიაში, ხოლო შემდეგ კი იგი გავრცელდა თითქმის მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში.

პირველი საბუთი, რომელიც რუსეთში დაქტილოსკოპიის შემოღებას შეეხება, არის 1906 წლის 29 დეკემბრის მთავარი საპატიმროს სამმართველოს ცირკულარი, რომლის ძალითაც ყველა ციხეებში შეიქმნა დაქტილოსკოპიური ბიუროები. შემდეგ, 1907 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ ცირკულარში აღნიშნული იყო თითების ანაბეჭდების დამზადებისა და შენახვის შესახებ. ხოლო საბოლოოდ, რუსეთში დაქტილოსკოპია შემოღებული იქნა 1908 წლის 6 ივლისის კანონით „Об организации уголовного полиции“, რომლის ძალითაც დაქტილოსკოპია შემოღებული იქნა ყველა დიდ ქალაქებში არსებულ საპოლიციო სამმართველოებთან.

პირველი დანაშაული, რომელიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდებით გაიხსნა რუსეთში, იყო 1912 წლის ოქტომბერს ქ. პეტერბურგში მომხდარი „ხარლამოვის აფთაიკი“-ს პროვიზორის მკვლელობის საქმე. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომელშიც თითების ანაბეჭდები გამოყენებული იყო, როგორც ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერების დროს მინის დამტვრეულ ნატებებზე აღმოჩენილი იქნა თითების რამოდენიმე ანაბეჭდი. მკვლელობის ჩადენაში ეჭვი მიიტანეს სამ პიროვნებაზე. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდის ერთ-ერთი ექვმიტანილის თითების ანაბეჭდებთან შედარების დროს, ქარგის ზოგადი და კერძო ნიშნები მთლიანად დამთხვა ექვმიტანილის მარცხენა ხელის ცერა თითის ანაბეჭდზე ასახულ პაპილიარულ ქარგის ზოგად და კერძო ნიშნებს. ამ საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა ექსპერტი ლებედევი, რომელმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოკლე გაცნო დაქტილოსკოპიის მეცნიერული

საფუძვლები და კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვლევის დროს გამოყენებული ხერხები. მან ექსპერტიზის გამოკვლევის შედეგების გადმოცემის დროს აღნიშნა, შემთხვევის ადგილზე — მიწის ნატეხზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდისა და სამართალში მიცემული „ა“-ს მარცხენა ხელის დიდი თითის ანაბეჭდში პაპილიარული ხაზების ოცდაათი ინდივიდუალური ნიშნის ზუსტი დამთხვევა, რის საფუძველზეც სასამართლოს მისცა კატეგორიული დასკვნა, რომ შემთხვევის ადგილზე — მიწის ნატეხზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი დატოვებულია „ა“-ს მარცხენა ხელის დიდი თითის მიერ. ექსპერტმა მოახდინა თავისი დასკვნის ილუსტრაცია ნახაზებითა და ქარგების გადიდებული ფოტოსურათებით.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ გააჩნდა „ა“-ს მიერ დანაშაულის ჩადენაში სხვა რაიმე მამხილებელი საბუთი, სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე „ა“ დამნაშავედ სცნო მკვლელობის ჩადენაში. განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე დღის შემდეგ „ა“-მ აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული. რუსეთში ეს იყო პირველი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ემყარებოდა დაქტილოსკოპური ექსპერტიზის დასკვნას. ეს იყო დაქტილოსკოპური მეცნიერების პირველი ბრწყინვალე გამარჯვება რუსეთში.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. პირველყოფილი ადამიანისათვის სრულიად უცნობი იყო დაქტილოსკოპია.
2. დაქტილოსკოპია და მისი მეცნიერული საფუძვლები ახვევ უცნობი იყო ძველად (ჩინეთის, ინდოეთის, იაპონიის და სხვ.) აზიისა და ევროპის ყველა ქვეყნებისათვის.

3. ადამიანის ხელისგულზე და თითის ბაზის შემდეგ არსებული დვრილოვანი ხაზების განლაგების შესწავლასა და მის დამუშავებას პირველად ყურადღება მიაქცია XVII საუკუნის 80-იანი წლების მოღვაწემ ანატომმა მარჩელო მალპიგიმ. ხოლო მისი კლასიფიკაციის პირველი ცდა მოგვცა XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ანატომმა პურკინემ. მაგრამ, როგორც ერთს, ისე მეორეს აინტერესებდა მხოლოდ დვრილების აგებულება და არა მისი გამოყენება პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

4. ხელის თითებზე მოთავსებული დვრილოვანი ხაზების განლაგება, აღნაგობა და მათ მიერ წარმოქმნილი ქარგების მეცნიერულად დამუშავების საწყისები და პრაქტიკაში გამოყენების პირველი ცდები პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით მიცემულია XIX საუკუნის 60-80-იანი წლების მოღვაწის ანატომ-კრიმინალისტა შრომებში.

5. დაქტილოსკოპიის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება, კლასიფიკაცია და მისი ფართოდ გამოყენება სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეგისტრაციისათვის, როგორც დამნაშავეთა პიროვნების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება შემოღებული იქნა XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამლევის.

6. სსრ კავშირში დაქტილოსკოპია, როგორც დანაშაულთან ბრძოლის ბასრი იარაღი და როგორც დამნაშავეთა მხილების საუკეთესო საშუალება, ჩაყენებული იქნა საგამომძიებლო ორგანოებისა და მართლმსაჯულების სამსახურში საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებიდანვე. იგი შემდეგ დამუშავებული იქნა პირველი საბჭოთა კრიმინალისტიკის, დაქტილოსკოპიის საუკეთესო მკვლევარის პ. სემენოვის მიერ.

შ. ფაფიაშვილი

# კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხსათვის საქართველოში

ო. მგელაძე

დღემდე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში და საერთოდ იურიდიულ ლიტერატურაში სრულად არ არის განხილული და შესწავლილი მოკავშირე რესპუბლიკებში კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების განვითარების ისტორიის საკითხი. არის მხოლოდ ცდები ამ ხარვეზის შევსებისა.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ნ. ვ. ტერზიევის მეტად საინტერესო ნარკვევი,

„Введение в криминалистическое исследование документов“, რომელიც 1949 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მოსკოვში. ამ წიგნში პროფ. ტერზიევმა სრულყოფილად გადმოგვცა საბუთების კრიმინალისტური ექსპერტიზის ისტორია რევოლუციამდელ რუსეთში, სადაც სხვათა შორის ერთ-ერთ მაგალითად მოყავს ქ. თბილისში ჩატარებული ექსპერტიზაც. ამ ნაშრომში კარგად არის გადმოცემული არა მარტო რუსეთის, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების (ძირითადად უკრაინის სსრ-ის) კრიმინალისტურ დაწესებულებათა შექმნისა და განვითარების ეტაპები. იგივე საკითხები, მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბით, გადმოცემული აქვს პროფ. ა. ი. ვინბერგს კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში (1949-50 წლები) და თავის ცნობილ შრომაში „კრიმინალისტური ექსპერტიზა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“ (1956 წელი).

კრიმინალისტური ექსპერტიზის ისტორიის შემსწავლელ იურიდიულ ლიტერატურას 1960 წელს მნიშვნელოვანი შენაძენი შეემატა — იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ლენინგრადელი კრიმინალისტების ა. ვ. დულღოვისა და ი. ა. კრილოვის მეტად საინტერესო წიგნი „Из истории криминалистической экспертизы в России“ (Экспертиза документов), სადაც ავტორებს სრულყოფილად აქვთ განხილული დოკუმენტების კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩასახვის ისტორია რუსეთში; მოთხრობილი აქვთ დოკუმენტების ქიმიური და ფოტოგრაფიული გამოკვლევების იმ მეთოდების შესახებ, რომლებსაც მიმართავდნენ თავიანთი საექსპერტო საქმიანობაში ცნობილი რუსი მეცნიერები დ. ი. მენდელეევი, ე. თ. ბურინსკი, ა. ა. პოპოვიცი და სხვები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ჩვენ მაინც სახს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ კი საქართველოს, კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. მისი შესწავლა ქართველი იურისტების მოვალეობაა.

წარმოდგენილ წერილში გაშუქებულია კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხები საქართველოში.

ნატყუარი, ანუ ყალბი საბუთების არსებობის და მათი გამოცნობის მეთოდების შესახებ ძველ საქართველოში მეტად საინტერესო გამოკვლევა აქვს ჩატარებული აკადემიკოს ივ. ჭავჭავაძის თავის ცნობილ ნაშრომში „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. როგორც ჩანს ყალბი საბუთები ჯერ კიდევ XV საუკუნეში გვხვდებოდა, რაც აღნიშნულია ალექსანდრე კახთა მეფის მიერ ნაბოძებ „სიგელსა და ნიშანსში“. ერთ-ერთი სამოქალაქო დავის დროს, რომელიც მამულთან იყო დაკავშირებული, ვინმე ფარადონ ჭავჭავაძეს სასამართლოში ყალბი ანუ „ნატყუარი სიგელი“ წარუდგენია, სასამართლოს დაუდგენია ამ საბუთის სიყალბე და აგრეთვე ის პირიც (ვინმე პროკოპი ზეკნელიძე), რომელმაც იგი შეადგინა. თუ რა მეთოდებით დაადგინა სასამართლომ ზეკნელიძის მიერ დამზადებული საბუთის სიყალბე, რაც ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს, ამ მაგალითიდან არ ჩანს.

მაგრამ, თუ რა მეთოდებით ადგენდნენ საბუთების სიყალბეს XVII-XVIII საუკუნეებში, ამის შესახებ მოიპოვება მეტად საინტერესო ცნობები. როსტომ მეფის ბჭე-მოსამართლეებს ერთი საექვოდ ცნობილი საბუთის შესახებ დაუდგენიათ: მოწმეებმა და უმეტრო შესახებულმა მოფიცებებმა „აასუენონ ხატი და ეს წიგნი (ე. ი. საექვოდ მიჩნეული სიგელი) ჰელთ დაიჭირონ და მოწამეთა და მოფიცართაცა უმოწმონ“... „ეს ბატონის რამაზისაგან შეწირულობის წიგნი რომე გუაქუსო დასტურად და მართლად რამაზისაგან მოცემული იყოს, თუითან ბატონის რამაზისა და მისის თანაცხედარისა (sic) ჰელთ ერთოს ამ წიგნშია“. თუ ამ რიგად დაიფიცონ თბილელის ყმათა და მოფიცართა უფიცონ რაც:

რომ ჩუენ გაგუიჩენია, ყორღანაშუილები ალა-  
რას ემართლებიან<sup>1</sup>-ო.

მეორე ცნობას, რომელიც მიუთითებს თუ რა  
მეთოდებით არკვევდენ საბუთების სიყალბეს  
1780 წლის განჩენი გვაწვდის ვინმე ედიშერ  
ქავთარაშვილის საქმეზე, რომელსაც ერთი სა-  
ბუთი (წიგნი) ყალბად მიუჩნევია. „ედიშერ ქავ-  
თარაშვილს უჩივლია ნათლისმცემლის არქიმან-  
დრიტს ჩემი მკუილრი ჰყავსო. არქიმანდრიტს  
უპასუხნია, რომ ეს ყმა ედიშერ ქავთარაშვილს  
შონახტრისათვის მიყიდული ჰქონდა და ამის შე-  
სახები „წიგნი ბატონიშვილის მარიაშვილისაგან არის  
დაწერილი“-ო. ამაზე თურმე „ედიშერ ეპასუხე-  
ბოდა: „ეგ წიგნი ჩემი მოცემული არ არის და  
ამის მეტად ეგ წიგნი არ მინახავს და თუ მარ-  
თალია ეგ წიგნი, რად მოწმები არა სწერია, ან  
მწერლის სახელი რად არ სწერია“-ო. ედ. ქავ-  
თარაშვილს მანახადამე ეს საბუთი ნატყუარად  
გამოუტყალებია. სასამართლოს უმსჯელია და ასე  
დაუდგენია: „ჩვენ საქართველოს მსაჯულთ შე-  
კრებულეებამ ეს წიგნი ვნახეთ, ასე ეწერა: „ჩე-  
მი მკუილრი ყმა შავისკაცისშვილი პაპა ოსმალო-  
ბას ჩამოსულიყო და წინამძღვრის ხარტონის  
დროს. ახლა ეს ნასყიდობის წიგნი მომიცემია,  
რომ მე ჰეილი აღარ მქონდეს ამ კაცთანაო“.

— ჩვენ მსაჯულთ ეს სამართალი მივციტო და  
ამით ვერწმუნენით ამ წერლის, რომ ბატონი-  
შვილი მარიაშვილს ედიშერის და ამის ძმის  
შავიერ, ღირსი და პატროსანი არქიმანდრიტი  
სერაპიონ ყიდულობს ეკლესიისთვის და ესეც  
ქეშმარიტებით ვიცით, რომ ის ღირსი კაცი ამხს-  
ვან წარტაცებით ეკლესიას არ შესწირევდა. მე-  
ორეც, რომ ბატონიშვილი რად ჩასწერდა თავის  
სახელს იმ წიგნში და თუ ამისთანა ან მწერა-  
ლი და ან მყიდველი ამისთანა გვამინ არ ყო-  
ფილიყვენენ, — ედიშერ რომ აწოროს ამბობს  
„ეგ ჩემი მოცემული წიგნი არ არისო და არც  
მეჭედო“, — სამართალი ედიშერს ფიცს დაა-  
დებდა. მაგრამ ჩვენ იმ ორს კეთილის გვამის ნა-  
წერს და მსყიდველისაგან წიგნს ვერწმუნენით  
და ქეშმარიტებით ვცანით“-ო<sup>2</sup>.

ზემოაღნიშნული მაგალითები მიუთითებენ  
იმაზე, რომ ამ პერიოდისთვის საერთოდ არ არ-  
სებობდა საბუთების სიყალბის დადგენის რაიმე  
მეცნიერული მეთოდი და რომ მაშინ სასამართ-  
ლო ცდილობდა ფიცის, ე. ი. სარწმუნეობრივი  
გრძნობებისა და შიშის საშუალებით დაედგინა  
ამა თუ იმ საბუთის ნატყუარობა.

ვახტანგ მეფის დროს საბუთების გამოკვლე-  
ვის უკვე სხვა მეთოდებს ვხვდებით.

ვახტანგის სამართლის წიგნში მიითებულა  
თუ რა გზით უნდა გამოვეცინათ მსაჯულებს სა-  
სამართლოში წარმოდგენილი საექვოდ ცნობილი  
საბუთის ექვმიუტანლობა — „გაუსინჯონ ბეჭე-  
დი, ქორნიკონი, დამწერი და მოწამე“. ეს იმა-  
ზე მიუთითებს, რომ იმ დროისთვის საბუთების  
განხილვას კრიტიკულად უდგებოდნენ, ყურად-  
ღებას აქცევდენ მის შინაარსსა და გარეგან  
მხარებს.

საბუთების დათვალიერებისა და გამოკვლე-  
ვის შედეგად შემდეგი საკითხების დაწესებუ-  
ლებოდა:

ა) საბუთის დამწერი პირი ან მასში მიითთე-  
ბული მოწმე მართლაც იმ დროს ცხოვრობდა,  
რომელიც საბუთშია მიითთებული თუ არა?

ბ) საბუთზე არსებული ბეჭედი სწორედ ის  
ბეჭედი, რომელსაც საბუთის გამცემი პირი  
ხმარობდა თუ არა?

მაგრამ ამ მეთოდებით საბუთების ნატყუ-  
არობის დადგენისას, როგორც სამართლიანად  
აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, საჭირო იყო  
ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა, რაც საექვოა,  
რომ მოსამართლეებს ჰქონოდათ. ამ მეთოდ-  
ებით ცხადია, მხოლოდ ისეთი საბუთების გამოკ-  
ვლევა შეძლოთ, რომელთაც აშკარად ეტყობო-  
დათ სიყალბის ნიშნები.

შემდგომ პერიოდში საბუთების განხილვა  
კიდევ უფრო დეტალურად ხდებოდა — ყურად-  
ღებას აქცევდენ საბუთის ენას (რამდენად სწო-  
რად იყო შედგენილი გრამატიკულად), შედგენის  
წესს (რადგანაც ყოველ საბუთს თავისი შედგე-  
ნის წესი ჰქონდა), ცალკეული სიტყვების (ტერ-  
მინების) ხმარების სისწორეს, რათა ხმარების  
თანმიმდევრობის დაცვას და რაც მთავარია ახ-  
დენდენ ამ საექვო საბუთის შედარებას უღაოდ  
ცნობილ საბუთებთან (ე. ი. ნიმუშებთან), რის  
დასადასტურებლადაც ერთ მაგალითს მოვიყ-  
ვანთ აკად. ივ. ჯავახიშვილის შემოდასახელებუ-  
ლი ნაშრომიდან.

ერთ-ერთ საბუთზე (სიგელზე) მეფე გიორგის  
ხელრთულობა (ხელმოწერა) ასეა დაწერილი:  
„დიდ მეფეს გიორგის ხელითა ჩემითა დამიმ-  
ტვიცებია-ო“. ამ ხელრთულობიდან გამოდიოდა,  
რომ თითქმის გიორგი მეფე თავის თავს დიდს  
უწოდებდა, ასეთ რამეს კი რაც შეუწყნარებელ  
თავმომწონეობად და უზრდელობად ითვლებო-  
და, არც ერთი გონიერი ადამიანი, მითუშეტეს  
მეფე, არ იკადრებდა. ამ საბუთის გიორგი მეფის  
უტყუარ სიგელებთან შედარებით მათ შორის  
განსხვავება იქნა დადგენილი, რადგანაც გიორ-

<sup>1</sup> ეს ცნობა მოყვანილია თბილისის სიონის 1635 წლის სასამართლოს განჩინების წიგნში.  
ჩვენ იგი აღ ბული გვა ვა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის წიგნიდან — „ქართული სიგელთა-  
მცოდნეობა ახუ დიპლომატიკა“ გვ. 156, 157.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 157.

გი მეფე სიგელებს ასე აწერდა ხელს: „ქ. მეფე გიორგი ვამბაკიციებ ნებითა ღმრთისათა ამინ“, „მეფესა გიორგის დამბაკიციებია ნებითა ღმრთისათა“, „მეფეთ-მეფე გიორგი დავამბაკიციებ ნებითა ღმრთისათა“.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ პროფ. ნ. ტერ-ზიევის თავის წიგნში: „Введение в криминалистическое исследование документов“ მეტად საინტერესო მაგალითი მოყავს სასამართლო პრაქტიკიდან ქ. თბილისში 1885 წელს ჩატარებული კრიმინალისტური ექსპერტიზის სახით. მოვიყვანთ ამ მაგალითის შინაარსს: 1885 წელს თბილისის საოლქო სასამართლოში ირჩეოდა ტერ-შმოვანოვის, ყორღანოვისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ სიყალბის ჩადენაში.

აღნიშნულ საქმეში ნივთიერ დამამბაკიციებელ საღაო საბუთს წარმოადგენდა 1876 წლის 28 ივლისის გადასახდელი ხელწერილი, რომელიც თითქოს დაწერილი, ხელმოწერილი და გაცემული იყო მარტირის ტერ-მკრტიანცის მიერ და რომელსაც მის გარდა ხელს აწერდენ მისი მამა — მიკრტიჩ ტერ-მკრტიანცი და სამი მოწმე-მცხოვრებნი სოფელ აკულისში. ორივე (მამაშვილის) ტერ-მკრტიანცების ხელმოწერებს ემჩნეოდა გადასახდით გაყალბების ნიშნები. ხელწერილის ტექსტი ხელის ნიშნების მიხედვით ემსგავსებოდა მარტირის ტერ-მკრტიანცის ხელს. ხელწერილზე არსებული სამი მოწმის ხელმოწერები ექვს არ იწვევდნენ, თუშუცა ეს უკანასკნელნი ამბაკიციებდნენ, რომ მათ ასეთი სახის ხელწერილზე ხელი არასდროს მოუწერიათ.

ხელმოწერების შესადარებლად მოწვეულმა ექსპერტებმა უპირველეს ყოვლისა დაადგინეს, რომ ხელწერილის ტექსტი არ იყო დაწერილი მარტირის ტერ-მკრტიანცის მიერ. ამავე დროს ხელწერილი ვამადიდებელი შუშით რომ გახინჯეს გამოირკვა, რომ ტექსტის სტროფებსა და ცალკეულ ასოებს შორის მკრთალად ჩანდა რაღაცა ასოების ხაზები. ამ ფაქტის გამო გამოწვეულმა ქიმიკოსებმა სადავო ხელწერილზე იმოქმედეს ქიმიური რეაქტივით, რის შედეგადაც აღნიშნულმა მკრთალმა ყვითელი ფერის ასოებმა მიიღო მოლურჯო ფერი და უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. ხელწერილის ტექსტის სტროფებს შორის შესაძლებელი გახდა ლუპით ზოგიერთი სომხური ასოს წაკითხვა. იმ მიზნით, რათა გამოვლინებული ასოები კიდევ უფრო მკაფიო გამხდარიყო, ექსპერტებმა მიმართეს ფოტოგრაფიას. მი-

ღებულ ფოტოსურათებზე თავისუფლად წაიკითხა. იძლეოდა ძველი ტექსტის წაკითხვა.

ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნების საფუძველზე სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებულმა ტერ-შმოვანოვმა 1880 წლის ოქტომბერში დაწერა ხელწერილი იმის შესახებ, რომ თითქოს ვიღაც მარტირისგან ესეხსოს 20 მანეთი და ეს ხელწერილი ხელმოსაწერად მისცა სამ თანახმულელს, რათა მათ, როგორც მოწმეებს დაედასტურებინათ 20 მანეთის ხესხების ფაქტი. ამ ხელმოწერების მიღების შემდეგ ბრალდებულმა ქიმიური წესით ამოიღო 20 მანეთის ხელწერილის ტექსტი და მის ნაცვლად შექმნა ყალბი ხელწერილი, ტერ-მკრტიანცების ხელმოწერები კი თვით შეასრულა.

მეტად საინტერესო ფაქტია ის, რომ 1885 წელს ე. ი. 75 წლის წინათ, თბილისში ვიღაც ექსპერტებს ჩაუტარებიათ საბუთების ასეთი რთული კომპლექსური კრიმინალისტური ექსპერტიზა, რაც თავისთავად მოითხოვდა მეცნიერულ-ლაბორატორიულ გამოკვლევებს, ქიმიის, ფიზიკისა და სასამართლო-საკვლევეო ფოტოგრაფიის მიღწევების გამოყენებას. ვინაიდან ზემოაღნიშნული მაგალითი პროფ. ნ. ვ. ტერ-ზიევის დებულებით ქვს 1885 წელს გამოცემული შურნალის „Юридическое обозрение“-ს № 222-დან, ჩვენ დავინტერესდით ამ გარემოებით, მთლიანად ადაცხინჯეთ საქართველოს სსრ კარლ მარქსის სახელობის რეპუბლიკურ ბიბლიოთეკაში არსებული შურნალის „Юридическое обозрение“-ს ყველა ნომერი, რის შედეგად ბევრი საინტერესო ფაქტი იქნა აღმოჩენილი, როგორც ამ ექსპერტიზის გარშემო, ისე სხვა სახის კრიმინალისტური ექსპერტიზების ირგვლივაც (ეს შურნალი გამოიღოდა ქ. თბილისში რუსულ ენაზე 1880—1886 წლებში).

ტერ-შმოვანოვის საქმეზე ხელმოწერებისა და ხელის ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოწვეული ექსპერტის (სამწუხაროდ მისი გვარი არ არის ნახსენებ) განმარტების თანახმად სასამართლო პროცესზე (როგორც ეს შურნალშია მოცემული) ღაპარაკია იმის თაობაზე, რომ ხელმოწერების გაყალბებაზე უფრო რთულია ხელის გაყალბება, რადგანაც ეს უკანასკნელი გამოხატავს პიროვნების ხასიათს და მითითებულია იმ თეორიაზე, რომელსაც ფრანგმა აბატმა მიშონმა (1806—1881) ჩაუყარა საფუძველი ე. ი. გრაფოლოგიაზე. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროისათვის თბილისში უკვე იცნობდნენ ამ ერთ-ერთ ბურჟუა-

ზიულ მიმართულებას საბუთების გამოკვლევის დარგში.

ყალბი ხელწერილის ტექსტს, რომელიც თითქოს გაცემული იყო მარტიროს ტერ-მკრტიანცის მიერ, ხელის ნიშნების მიხედვით დიდი მსგავსება ჰქონდა მარტიროს ტერ-მკრტიანცის ხელთან, რითაც ეს უკანასკნელი დიდად იყო განცვიფრებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ დიდი მსგავსებისა, ექსპერტმა ჩაატარეს ასობის დეტალური გამოკვლევა და დაადგინეს რა განსხვავება სადაო ტექსტსა და მარტიროს ტერ-მკრტიანცის ნიშნებს შორის ხელის ინდივიდუალურ ნიშნებში, მისცეს დასკვნა იმის შესახებ, რომ შემოადინებული სადაო ხელწერილის ტექსტი არ იყო შესრულებული ამ პიროვნების (ე. ი. მარტიროს ტერ-მკრტიანცის) მიერ. თუ ტერ-მკრტიანცის საქმიანი ჩვენთვის გაურკვეველია ექსპერტა გვარი, სამაგიეროდ „Юридическое обозрение“-ს № 248-ში (1885 წ.) ლაპარაკია იმაზე, რომ ორბელიანისა და ფლორინსკის საქმესთან დაკავშირებით არაბულ ენაზე შესრულებული ხელმოწერების შესადარებლად პროცესის უკანასკნელ დღეს დაკითხეს ექსპერტი-კალგრაფი ვინმე ახუნდოვი.

ტერ-შმოვანოვის საქმეზე ჩატარებული საბუთების კრიმინალისტური ექსპერტიზა დიდ ინტერესს იწვევს შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, როგორც აქედან ჩანს იმ დროისათვის თბილისში კარგად იცნობდნენ იმ თეორიებსა და მიმართულებებს საბუთების გამოკვლევის დარგში, რომლებიც გავრცელებული იყო XIX საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მეორეც კარგად ერკვეოდნენ საბუთების გამოკვლევის რთულ საკითხებში, მესამე კი იმით, რომ არ კმაყოფილებოდნენ ხელის მხოლოდ შედაპირული შესწავლით, უურადლებას აქცევდნენ მის ინდივიდუალურ ნიშნებს, რისთვისაც დეტალურ განხილვას აწარმოებდნენ და ბოლოს უურადლებას აქცევდნენ საბუთის დათვალიერებას ისეთი ხელსაწყოთი, რომელსაც შეეძლო მასზე სიყალბის ნიშნები გამოეფინებინა და თავიანთ პრაქტიკაში იყენებდნენ ქიმიისა და რაც მთავარია, სასამართლო-საკვლევო ფოტოგრაფიის მიღწევებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტერ-შმოვანოვის საქმეზე სადაო ხელწერილის გამოკვლევასთან დაკავშირებით მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე ექსპერტი-ქიმიკოსები. უფროაღ „Юридическое обозрение“-ში აღწერილ ტერ-შმოვანოვის საქმის შესწავლისას გამოიჩინა, რომ ექსპერტი-ქიმიკოსად ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა სტრუვე, რომელმაც სხვათა შორის სასამართლოს პრეცედენტ შემდეგი გა-

ნაცხადა: იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი ქიმიურად არის ამოჭმული, მაგ. ქლორით, ის თვალთ უხილავია, მაგრამ ჰაერისა და განსაკუთრებით კი სინათლის ზეგავლენით, ქაღალდის ბოჭკოებში დარჩენილი ამოჭმული ტექსტის მელნის რკინოვანი შემადგენლობის მნიშვნელო ნაწილაკები იუნაგებთან და ლებულობენ ყვითელ, შემდეგ კი მუხარა უნაგისფერს. ამ ფერის ამოჭმულ საზებს კი კალიუმციანის შემოჭმელებით შეიძლება მიეცეთ ნათელი ცისფერი ფერი, რის შემდეგ სასამართლო-საკვლევო ფოტოგრაფიის საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ ნათელი და მკაფიო თეთრ-შავი სურათო. სტრუვემ აქვე ოსძინა, რომ ამოჭმული ტექსტის გამოსავლინებლად ფოტო-გადაღების დროს საჭიროა ვინმაროთ რაც შეიძლება პატარა დაყოვნება. მაგალითად, მას ჩაუტარებია ექსპერტიმენტი: ქიმიურად ამოუღია ძველი წერილის ტექსტი შემდეგ კი, როდესაც საქმე გადაღებაზე მისულა, ჯერ უხმარია 10 წამიანი დაყოვნება, შემდეგ 1 წამიანი, ამ უკანასკნელით კი გაცილებით უკეთესი შედეგი მიუღია და ამოჭმული ტექსტიც აღუდგენია. სამწუხაროდ სტრუვე აქ არ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი ფოტომახალი და საშუალებით ახდენდა იგი გადაღებას, რასაც ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხოლმე.

საინტერესოა ვინ იყო ეს ექსპერტი-ქიმიკოსი სტრუვე, რომელიც ასე კარგად ერკვეოდა, ქიმიის, კრიმინალისტიკისა და ფოტოგრაფიის საკითხებში. ექსპერტი სტრუვე იყო ცნობილი რუსი მეცნიერი ქიმიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შენრიხ ვასილის ძე სტრუვე (1822—1908), რომელიც მუშაობდა რაქთბილისში იყო იმ სასამართლო-სამედიცინო ლაბორატორიის დამარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, რომლის არსებობის 90 წლისთავი შესრულდა 1957 წელს და აღინიშნა კიდევ სასამართლო ექიმთა და კრიმინალისტთა საზოგადოების სხდომაზე. აღინიშნულ ლაბორატორიას, რომელიც 1927 წელს ჩამოყალიბდა თბილისის ქიმიური ლაბორატორიის სახელწოდებით, შემდგომ ეწოდა სასამართლო-ქიმიური ლაბორატორია, 1927 წელს სასამართლო-საექსპერტო ლაბორატორია, დღეს კი იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ლაბორატორიის სახელს ატარებს. (შემოადინებული ცნობები სტრუვესა და ლაბორატორიის შესახებ ჩვენ აღებული ვაჭებს ი. თვალკრედიძის სტატიიდან „უძველესი სასამართლო-სამედიცინო“)

ნო ლაბორატორია“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „საბჭოთა მედიცინას“ 1957 წლის მე-4 ნომერში).

შეიძლება თუ არა 1867 წელს ჰ. ვ. სტრუვეს მიერ დარსებული ლაბორატორია ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს კრიმინალისტურ დაწესებულებად საქართველოში? ჩვენ ამ საკითხს დადებითად ვპასუხობთ და აი რატომ:

როგორც ტერ-შმოვანოვის, ისევე სხვათა სისხლის სამართლის საქმეებიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის ქ. თბილისში ჰ. ვ. სტრუვეს მიერ ჩამოყალიბებული ლაბორატორია იყო ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების დავალებით ატარებდა კრიმინალისტური ხასიათის გამოკვლევებს და შეიძლო გადაეწვეოდა შემდეგი საკითხები: ა) ჰქონდა თუ არა ადგილი ნივთიერ-დამამტკიცებელ საბუთზე ამოფხეკას, ან ამოჭმის ფაქტს, ბ) რა შინაარსის ტექსტი იყო დაწერილი საბუთზე მის ამოჭმამდე, გ) როგორი თანმიმდევრობით არის შესრულებული საბუთზე ტექსტი და ხელმოწერები, დ) ხომ არა აქვს ადგილი ნივთიერ-დამამტკიცებელ საბუთის ტექსტში რაიმეს ჩამატებას და სხვ. ჰ. ვ. სტრუვეს მიერ ჩამოყალიბებული ლაბორატორიის კრიმინალისტურ დაწესებულებად აღიარება იმითაც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ჰ. ვ. სტრუვეს სიკვდილის შემდეგ, ჩვენში ცნობილი მეცნიერის რობერტ დავითის ძე კუბცისის (1881—1954) ხელმძღვანელობით, რომელმაც ბევრი კარგი გააკეთა კრიმინალისტური ექსპერტიზის განვითარებისათვის საქართველოში, აღნიშნულ ლაბორატორიაში სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების დავალებით სისტემატურად ტარდებოდა კრიმინალისტური ობიექტების გამოკვლევები.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ტერ-შმოვანოვის და აგრეთვე სხვა საქმეების შესწავლისას ჟურნალ „Юридическое обозрение“-ს ნომერებში ბევრ მეთად საინტერესო ცნობას წავაწყდით, მოვიყვანო ზოგიერთ მათგანს:

1. ტერ-შმოვანოვის და სხვათა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი ბრალდებულის, კერძოდ, ყორღანოვის ადვოკატმა შევალიემ განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიების დროს დავაყენე საკითხი, რათა ექსპერტიზის მაღალკვალიფიციტურ დონეზე ჩატარება ეთხოვათ ცნობილ რუს პროკურორ-ქიმიკოს დ. ი. მენდელეევისათვის, მაგრამ არც წინასწარმა გამოძიებამ და შემდეგში არც სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა. ამის შემდეგ, აღნიშნავს შევალიე, მე ერთ-ერთი სასამართლო მოხელის ტურჩანინოვის საშუალებით დავუკავშირდი პროფ. დ. ი. მენდელე-

ევს, გავუზავნე მას ექსპერტიზის დასკვნაში საკითხზე, სხვა საჭირო საბუთებთან ერთად და ვთხოვე თავისი აზრი გამოეთქვა ჩატარებული ექსპერტიზის ირგვლივ. ამჟამად, განაგრძობს ადვოკატი შევალიე, მე მივიღე პასუხი პროფ. დ. ი. მენდელეევისაგან, სადაც იგი სახსვებით თანხმება თბილისში ჰ. ვ. სტრუვეს ლაბორატორიის მიერ მიცემულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ იგი ჩატარებულია „მეცნიერების ყველა წესის“ დაცვით. ამ განცხადების შემდეგ ადვოკატმა შევალიემ სასამართლო პროცესზე წაიკითხა პროფ. დ. ი. მენდელეევის დასკვნა.

ამ ფაქტით, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, კვლავ ვლინდება ის გარემოება, რომ დიდი რუსი მეცნიერი, ქიმიური ელემენტების პერიოდული კანონის აღმოჩენი დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევი (1834—1907) ატარებდა საბუთების ექსპერტიზას სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების თხოვნით.

ეს ფაქტი ლაპარაკობს იმაზეც, რომ დ. ი. მენდელეევის დიდმა ავტორიტეტულმა დასკვნამ დამამტკიცა ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ჰ. ვ. სტრუვეს ლაბორატორიაში მეცნიერულ დონეზე ტარდებოდა საბუთების კრიმინალისტური ექსპერტიზები.

2. ნ. ბალათუროვმა და მელიქ-ნუბაროვმა, რომლებიც მოწმეებად გამოდგოდნენ ტერ-შმოვანოვისა და სხვათა საქმეზე, განაცხადეს, რომ ისინი თანამოწმეებად იყვნენ მიწვეულნი ქიმიურ ლაბორატორიაში ექსპერტიზის ჩატარების დროს, სადაც მათ გარდა იყვნენ გამოძიებელი ერთ-ერთი ბრალდებული ყორღანოვი და პროკურორის ამხანაგი, და რომ მელიქ-ნუბაროვმა გამოძიებლის კარნახით თვითონ დაწერა ექსპერტიზის ოქმი (იხ. „Юридическое обозрение“—№ 224. გვ. 883, 876). ამასვე ადასტურებს მესამე მოწმე ევსეი თავად კონსტანტინე ვაჩნაძე, რომელიც აგრეთვე გამოძიებლის მიერ ყოფილა მიწვეული თანამოწმედ საბუთების დათვალიერებისას ქიმიურ ლაბორატორიაში (იხ. იქვე გვ. 878).

ზემოაღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ იმ დროისათვის ექსპერტიზის ჩატარება არ ითვლებოდა წმინდა საქმესატრო მოქმედებად, როგორც ეს დღეს არის მიღებული. იგი ატარებდა საგამომძიებლო მოქმედების ხასიათს (იხე როგორც, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საბუთების ამოღება და სხვა), რასაც თვით გამოძიებელი, ბრალდებული და თანამოწმენი ესწრებოდნენ და ის, რომ საქსპერტო დასკვნა „ექსპერტიზის ოქმის“ სახელწოდებით ფორ-

მდებოდა, რაც უღაოდ გარკვეულ ინტერესს იწვევს პროცესუალური თვალსაზრისით.

თავისთავად ცხადია, რომ ხელისა და ხელმოწერის ექსპერტიზები, რომელთა შესახებაც უკვე ვალაპარაკეთ ტერ-შმოვანოვის და სხვათა საქმესთან დაკავშირებით, მოკლებულნი იყვნენ წმინდა მეცნიერულ ანალიზსა და გამოკვლევის მეთოდებს და ძირითადად ეყრდნობოდნენ იმ ბურჟუაზიულ თეორიების მონაცემებს, რომლებიც მაშინ არსებობდნენ და გამოიყენებოდნენ ექსპერტთა საქმიანობაში. ასეთი თეორიები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო: კალიგრაფია, გრაფოლოგია და სხვა. საბუთების კრიმინალისტურ ექსპერტიზას კი, როგორც წესი, კიმიკოსები ატარებდნენ ლაბორატორიულ მეთოდებზე დაყრდნობით.

3. ვ. სტრუვეს საქსპერტო მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჩვენ ერთ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება:

XIX საუკუნის ბოლოს აღმოცენდა კრიმინალისტიკის მეცნიერების ახალი დარგი—სასამართლო ფოტოგრაფია, რომლის შემქმნელად აღიარებულია ცნობილი რუსი მეცნიერი ევგენი თედორეს ძე ბურინსკი. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი დამსახურება, რომელიც მიუძღვის ე. თ. ბურინსკის სასამართლო ფოტოგრაფიის განვითარების, დოკუმენტების სასამართლო ფოტოგრაფიული მეთოდებით გამოკვლევის საქმეში, მაგრამ ჩვენ ამ წაშრობაში ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: აღიარებულად ითვლება ის, რომ ე. თ. ბურინსკიმ 1889 წელს პირველად სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენა ფოტოგრაფიული მეთოდები დოკუმენტების გამოკვლევისას. ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ იმ საქმის მოკლე შინაარსი, რომელზეც პირველად იქნა ჩატარებული ასეთი სახის ექსპერტიზა ბურინსკის მიერ:

1889 წლის 11 სექტემბერს პეტერბურგის საოლქო სასამართლოში იჩიოდა ი. და რ. იისხლის სასამართლის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ პეტერბურგის რკინიგზის სასაქონლო სალაროში ყალბი შეტყობინების წარდგენა და თანხის მიღება სათანადო ზედღებულთი ქ. კოზლოვში. საქმის გარჩევისას სასამართლოს წინაშე ორი საკითხი წამოიჭრა, რომელთა გადაწყვეტაც დოკუმენტების სპეციალური გამოკვლევის გარეშე შეუძლებელი იყო. პირველ რიგში უნდა გარკვეულიყო—მოლარის ხელმოწერა შეტყობინებაზე

ყალბი იყო, თუ თვით მოლარის მიერ შესრულებული, შემდეგ კი გადაწყვეტილიყო თუ ვინ მოაწერა ხელი თანხის მიღების შესახებ რკინიგზის ზედღებულის დუბლიკატზე. რადგანაც მიმღების ხელმოწერა ამ დოკუმენტზე მედნის ლაქას დაეფარა.

სასამართლომ დასახელებული დოკუმენტების გამოკვლევა ე. თ. ბურინსკის დაავალა, რომელიც იმ დროისათვის ხელნაწერების გამოკვლევის დიდ სპეციალისტად ითვლებოდა. შეტყობინების ფოტოგრაფირება ბურინსკიმ გადიდებულად მოახდინა, რის შედეგად ფოტოსურათის ნეგატივზე მოლარის ხელმოწერის გვერდით გამოვლინდნენ ძნელად შესამჩნევი მცირე შტრიხები. როგორც შემდგომმა გამოკვლევამ ცხადყო, ისინი წარმოადგენდნენ მოლარის ხელმოწერის ფანქრით წინასწარი მომზადებით გაყალბების შტრიხებს. ამით კი დადასტურდა ის გარემოება, რომ მოლარე არ იყო მონაწილე ყალბი შეტყობინების შედგენაში.

გადაწყვიტა რა პირველი საკითხი ე. თ. ბურინსკი შეუდგა მეორე დოკუმენტის—რკინიგზის ზედღებულის დუბლიკატის გამოკვლევას, რასაც სულ ორი საათი მოხდომა გამოკვლევის შედეგად აღდგენილ იქნა მიმღების ხელმოწერა — მედნის ლაქის ქვეშ აღმოჩნდა ხელმოწერა „შოლცი“, რომელიც შესრულებული იყო ბრალდებულ „ი“-ს მიერ.

ასე რომ პირველი სასამართლო-ფოტოგრაფიული ექსპერტიზა დასახელებულ საქმეზე, რუსეთის და საერთოდ სასამართლო პრაქტიკაში, ჩატარებული იქნა ბურინსკის მიერ 1889 წლის 11 სექტემბერს, რაც დღეისათვის აღიარებულად ითვლება.<sup>1</sup>

ეს კი, ჩვენის აზრით, დაუშუსტებას მოითხოვს, რადგანაც, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ტერ-შმოვანოვისა და სხვათა საქმეზე 3. ვ. სტრუვემ, ჯერ კიდევ 1885 წელს ქ. თბილისში დოკუმენტების გამოკვლევის დროს სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენა ფოტოგრაფიული მეთოდები და ჩაატარა სასამართლო ფოტოგრაფიული ექსპერტიზა, ე. ი. დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა (ცხადია ეს მისი პირველი ექსპერტიზა არ იყო და ის ფოტოგრაფიულ მეთოდებს აღრცე იყენებდა). ასე, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ პირველად სად და ვის მიერ იქნა გამოყენებული სასამართლო ფოტოგრაფია დოკუმენტების გამოკვლევისას სასამართლო პრაქტიკაში—ე. თ. ბურინსკის თუ 3. ვ. სტრუვეს მიერ, ჯერ კიდევ

<sup>1</sup> ეს შემთხვევა ჩვენ აღებული გვაქვს ი. კრილოვის წიგნიდან „Как наука помогает раскрывать преступления“ (Ленинград, 1959 г. стр. 20—21).

გასარკვევია და იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

მე-19 საუკუნის შემდგომ პერიოდში, საქართველოში ოფიციალური კრიმინალისტური დაწესებულებების შექმნამდე, ხელმოწერების კრიმინალისტურ ექსპერტიზებს ატარებდნენ ის პირნი, რომელთაც სპეციალური განათლება არ ჰქონდათ მიღებული ამ დარგში. ესენი იყვნენ ძირითადად მხატვრები.

აღნიშნულის სრული დადასტურება იქნება, თუ გავისხელებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში დიდი დროის განმავლობაში საქსპერტო საქმიანობას ეწეოდნენ მხატვრები: დ. კ. წერეთელი, ბ. ა. ფოგელი, ო. ი. შპერლინგი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი გ. თ. გრინევსკი და სხვა.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ ამ უკანასკნელის საქმიანობაზე:

პროფ. გ. თ. გრინევსკი ხელის და ხელმოწერის ექსპერტიზების ჩამტარებელ კერძო ექსპერტთა ძველი პლეადის წარმომადგენელია და საქართველოში ამ სახის ექსპერტიზის განვითარების ერთ-ერთ ენთუზიასტად უნდა ჩაითვალოს. პროფ. გ. თ. გრინევსკიმ, როგორც ეს მისმა მოწაფეებმა მხატვრმა დ. კ. წერეთელმა და სხვებმა განაცხადეს, 1930 წელს უსტეხინთან (უმაღლესი სამხატვრო ტექნიკური ინსტიტუტი, ასე ეწოდებოდა წინათ სამხატვრო აკადემიას) ჩამოაყალიბა ექსპერტ-კალიგრაფთა სამთვანი კურსები, სადაც თვითონ კითხულობდა ლექციებს ექსპერტიზის სხვადასხვა საკითხებზე. აღნიშნული კურსები დაუმთავრებიათ მხატვრებს: რ. თავაძეს—შემდგომში ცნობილ მოქანდაკეს დ. წერეთელს, იგი ამჟამად სამხატვრო აკადემიაში მუშაობს ერთ-ერთი კათედრის დოცენტად და ე. მელიქიძეს. როგორც აღმოგვცეს იგი დღეისათვის ქ. მოსკოვში ცხოვრობს.

ზემოჩამოთვლილი მხატვრებიდან კურსების დამთავრების შემდეგ მხოლოდ დ. წერეთელმა განაგრძო პრაქტიკული მოღვაწეობა ექსპერტიზების ჩატარების სახით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ცენტრალური არქივში მუშაობისას ჩვენს მიერ ამოღებული იქნა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, სადაც კრიმინალისტური ექსპერტიზები ჩატარებულია დასახელებულ მხატვართა მიერ. ეს საქმეები 1925 წელს ეკუთვნიან. ამ ექსპერტიზების გაცნობით შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება:

1. კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარება, როგორც ასეთი, საგამომიებლო მოქმედებას წარმოადგენდა. მას გამომიებელი ატარებდა ექსპერტთა დახმარებით არა ლაბორატორიაში, არამედ მის სამუშაო ოთახში, თანამოწმეთა

თანდასწრებით. ექსპერტიზის შედეგები, სადაც ნაღო აქტით კი არ ფორმდებოდა, არამედ ოქმით, ისე, როგორც საერთოდ ამჟამად სხვა საგამომიებლო მოქმედებით ფორმდება ხელმე, რომელსაც თვით გამომიებელი აწერს ხელს მასში მონაწილე სხვა პირებთან ერთად.

2. იმ პერიოდის აქტებს არა ჰქონდა აქტის ის ფორმა თავისი სამი ნაწილით, ღრმა ანალიზითა და გამოკვლევით, როგორც ეს დღეისათვისაა დამახასიათებელი. ექსპერტიზებს, როდესაც საჭირო იყო ამა თუ იმ ტექსტისა თუ ხელმოწერის შემოწმების დადგენა ძირითადში მხატვრები — კალიგრაფები ატარებდნენ. ისეთ საკითხთა გადაწყვეტისას კი, რომელიც ქიმიისა და ფოტოგრაფიის მონაცემების გამოყენებას მოითხოვდა, ქიმიკოსებს იწვევდნენ ხოლმე.

ამ პერიოდის კრიმინალისტური ექსპერტიზებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ტექსტისა და ხელმოწერის გამოკვლევისათვის საჭირო ნიმუშებს ექვმიტანილ პირებს გამომიებელი ექსპერტის თანდასწრებით ართმევს და ამ ნიმუშების ჩამორთმევის ოქმს ხელს აწერს გამომიებელი და ექსპერტი.

1930 წელს ქ. თბილისის მილიციის სამქმნეო განყოფილებასთან შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური კაბინეტი (კრიმინალისტიკის კაბინეტი), პირველი ოფიციალური კრიმინალისტური დაწესებულებაა საქართველოში. მის გამგედ პირველად პროფ. ვლადიმერ უდენტის რეკომენდაციით დაინიშნა სასამართლო ექიმი გ. ყ. ასათიანი, ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ამ კაბინეტს ექვემდებარებოდა დაქტილოსკოპიური — სარევისტრაციო ბიურო და სამქმნეო ძაღლების ჯგუფი.

1931 წელს კრიმინალისტიკის კაბინეტი გადაკეთდა სამეცნიერო-ტექნიკურ ქვეგანყოფილებად, სადაც ამავე წელს უფროსად დანიშნული იქნა სასამართლო ექიმი გ. ვ. მათიაშვილი. 1932 წელს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში მუშაობა დაიწყო ვ. ა. სუხოვმა, რომელმაც 1958 წლამდე იმუშავა და მხატვრმა დ. კ. წერეთელმა.

მილიციის სისტემაში კრიმინალისტური დაწესებულების შექმნის პირველ წლებში (1930—33) ექსპერტიზების ჩასატარებლად ხშირად იწვევდნენ პროფ. გ. გრინევსკის, რაც დასტურდება ჩვენს მიერ საარქივო საქმეებიდან ამოღებული ერთ-ერთი აქტით, რომელიც შედგენილია 1932 წელს პროფ. გ. გრინევსკისა და მხატვარ დ. წერეთლის მიერ.

ამ აქტის გაცნობით შემდეგი ირკვევა:  
1. 1932 წელს ექსპერტიზის ჩატარება უკვე აღარ ფორმდება ოქმით და მას გამომიებელი

კი არ ატარებს ექსპერტთა თანდასწრებით, არამედ თავთ ექსპერტი გამოძიების დავალებით.

2. ფოტოგრაფიას იყენებდნენ ექსპერტის შედეგების საილუსტრაციოდ, ექსპერტის აქტს თანდართული აქვს ფოტოსურათი როგორც გამოსაკვლევი დოკუმენტის, ისე ნიშნის, სადაც აღნიშნულია თანდასაზრდის (ან განსხვავების) ხელის ნიშნების მიხედვით.

თავისთავად ცხადია, რომ ამ პერიოდის ექსპერტიზებს არა აქვთ სრული მეცნიერული გამოკვლევის სახე და განიცდიან კალიგრაფიულ და სხვა მიმართულებათა გავლენას.

1948 წელს სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანყოფილება გადაკეთებული იქნა სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებად (ამავე სახელწოდებას ატარებს დღესაც), სადაც 1948-1949 წლებში ჩამოყალიბდა ქიმიური და ბიოლოგიური ლაბორატორიები.

1948 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მილიციის სახაზო განყოფილებასთან შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფი.

მეორე ოფიციალური კრიმინალისტური დაწესებულება საქართველოში, რომელიც მოწოდებული იყო ექსპერტიზების ჩატარებით მომსახურება გაეწია ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებისათვის, იყო 1949-51 წლებში ვ. ვ. მათიაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული კრიმინალისტური ლაბორატორია, რომელიც ძირითადად მხოლოდ საბუთების კრიმინალისტურ ექსპერტიზებს ატარებდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დაწესებულებების არსებობისა, კრიმინალისტური ექსპერტიზების მეცნიერულ დონეზე ჩატარებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი ცენტრი, რომელსაც შეეძლო მთლიანი მომსახურება გაეწია სასამართლო-პროკურატურის ორგანოებისათვის. ამ პერიოდში ხშირი იყო შეზღვევები, როდესაც სასამართლოსა და პროკურატურის დავალებით ექსპერტიზებს კვლავ ეგრეთ წოდებული „კერძო ექსპერტები“ ატარებდნენ (მაგ. მხატვრები, მასწავლებლები და ა. შ.).

კრიმინალისტური ექსპერტიზის ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 დეკემბრის დადგენილებას, რომლის საფუძველზედაც ჩვენი კავშირის თერთმეტ ქალაქში, მათ შორის ქ. თბილისშიც, იუსტიციის სამინისტროებთან შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიები.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანე-

ბის საფუძველზე თბილისის კრიმინალისტური ლაბორატორიის მომსახურების ზონაში შედიოდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის კოლექტივმა (ამჟამად იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაშია) დიდი მუშაობა გასწია კრიმინალისტური ექსპერტიზების სრულყოფისათვის; იგი დიდ დახმარებას უწევდა და უწევს ამიერკასიის სამი რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებს დანაშაულთან ბრძოლის საშუალებად ლაბორატორიის ხელშეწყობა საქმიანობა მეტად მრავალმხრივია და კრიმინალისტური ექსპერტიზების თითქმის ყველა დარგებს მოიცავს. ლაბორატორიის მუშაკები, იყენებენ რათვის პრაქტიკულ საქმიანობაში მათ ხელში არსებულ მრავალფეროვან აპარატურასა და ტექნიკურ საშუალებებს, სასამართლოს, პროკურატურისა და მოკვლევის ორგანოების დავალებით კრიმინალისტურ ექსპერტიზების ყველა სახეებს ატარებენ. 1960 წლიდან ლაბორატორიაში ჩამოყალიბდა ავტო-ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფი და ამჟამად სასამართლო ექსპერტიზის ეს სახეც წარმატებით ტარდება.

თბილისის საკვლევი-სამეცნიერო კრიმინალისტურმა ლაბორატორიამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე შექმნილ კრიმინალისტურ ლაბორატორიებს შორის, პირველმა დაიწყო სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება მის ყველა სახეებში.

ლაბორატორიის ექსპერტთა კოლექტივი წარმატებით იყენებს თავის საქმიანობაში ნივთმტკიცებათა გამოკვლევისას ულტრაიისფერ, ინფრაწითელ და რენტგენის სხივებს და საერთოდ ფიზიკის, ქიმიის და სხვ. მეცნიერებათა მონაცემებს.

თბილისის კრიმინალისტური ლაბორატორია თავისი პრაქტიკული საქმიანობის გარდა გარკვეულ საკვლევი-სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა. 1953 წელს საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო მუშაობის დაწყებას, როდესაც ლაბორატორიის ექსპერტთა კოლექტივის მიერ, ქართულ ენაზე გამოვიდა კრებული № 1 „კრიმინალისტური ექსპერტიზის საკითხები“. 1957 წლის დასაწყისში მეორე კრებული იქნა გამოცემული, 1959 წელს კი მესამე კრებულიც გამოიცა. აღნიშნულ კრებულებში ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გაუშუქებულია კრიმინალისტური ექსპერტიზების რო-

ლისტურმა ლაბორატორიამ, სსრ კავშირის მინიგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხები. პირველმა კავშირის ლაბორატორიებს შორის, რუსულ ენაზე დაიწყო ბიულეტენის „სექსპერტო პრაქტიკა“-ს გამოცემა, რომლის თითო ეგზემპლარი ყოველთვის ეგზავნება ჩვენი კავშირის ყველა კრიმინალისტურ დაწესებულებას. ამ ბიულეტენებში ძირითადად მოთავსებულია ის საინტერესო ექსპერტიზები, რომლებიც ტარდება ჩვენს ლაბორატორიაში, მოცემულია მათი ჩატარების მეთოდები.

თბილისის კრიმინალისტური ლაბორატორიის მიერ გამოცემულმა კრებულებმა და ბიულეტენებმა საერთო მოწონება ჰპოვეს, როგორც სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკების, აგრეთვე სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებების თანამშრომლებს შორის. ბიულეტენების გამოცემას ბევრი ლაბორატორია გამოეხმაურა. მათ შორის კი სამმა, კერძოდ, მოსკოვის და ყაზანის ლაბორატორიებმა და ალმა-ატის სასამართლო-ექსპერტიზის ინსტიტუტმა, თბილისის კრიმინალისტური ლაბორატორიის მაგალითზე დაიწყეს ბიულეტენების გამოცემა.

თბილისის კრიმინალისტური ლაბორატორიის კოლექტივი, აგრეთვე დიდ მეთოდურ მუშაობას ეწევა სასამართლოს, პროკურატურისა და მოკვლევის მუშაკებს შორის. დღიდან ლაბორატორიის დაარსებისა, მისი ექსპერტები სისტემატურად ატარებენ ლექციებსა და მოხსენებებს შემდეგ საკითხებზე: ა) კრიმინალისტური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის შესაძლებლობანი, ბ) მასალების შეგროვება და გაფორმება ავტოტექნიკური და კრიმინალისტური ექსპერტიზებისათვის, გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დ) საგამომძიებლო ჩემოდანი და მისი გამოყენება, ე) საბუთების დათვალიერება და სხვა, რამაც უდაოდ გარკვეული როლი ითამაშა არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

1958 წლის მარტის თვეში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით თბილისის კრიმინალისტური ლაბორატორია გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგებლობაში, სადაც იმყოფებოდა 1960 წლის აგვისტომდე. უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში ლაბორატორიის კოლექტივი თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა სისტემატურად ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან კრიმინალისტური ექსპერტიზის აქტუალურ საკითხებზე. ამავე პერიოდში გამოცემული იქნა „ხელნაწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისათვის მასალების გაცორმების ძირითადი წესები“ სასამართლო-პროკურატურის მუშაკების სამსახურებრივი საჭიროებისათვის.

1954 წელს ქ. თბილისში შეიქმნა სასამართლო ექიმი და კრიმინალისტთა საკავშირო-სამედიცინო საზოგადოების თბილისის ფილიალი.

აღნიშნული საზოგადოება, რომლის წევრებად გაერთიანებულნი არიან ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ექიმთა და კრიმინალისტთა კადრები, გარკვეულ როლს თამაშობს კრიმინალისტური ექსპერტიზის ინსტიტუტის შემდგომი განვითარების საქმეში. საზოგადოების სხდომებზე ხშირად ეწყობა კრიმინალისტური ექსპერტიზის ამა თუ იმ თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვა, რაც თავისთავად კარგ შედეგს გვაძლევს.

ამ წერილის მიზანი იყო მოკლედ გადმოგვეცა კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. ეს არის პირველი ცდა ამ მიმართულებით და თავისთავად ცხადია, რომ იგი ხარვეზებსაც არ იქნება მოკლებული. აქედან გამომდინარე ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყველა შენიშვნასა და შესწორებას მის მიერ გაშუქებული საკითხების ირგვლივ და მათ შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებს.

## „იუკირიული ვაკინომოპიის“ საკარაქსიო კომპიისსაგან\*

ს. ჯაფარიძის წინადადება, რომ **вступление в наследство** ითარგმნოს „სამკვიდროს დაბატონებად“, არ მიგვაჩნის სწორად იმ მოსაზრებათა გამო, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა „მემკვიდრეობაში შეყვანასთან“ (**ввод в наследство**) დაკავშირებით. „მემკვიდრეობაში შესვლა“ ჩვენ იმიტომაც ვამჯობინეთ, რომ აქ მთავარია მითითება იმ მომენტზე, როდესაც მემკვიდრე იქნის უფლებამოსილებას სამკვიდრო მასაზე.

**Вынужденный прогул** ლექსიკონში თარგმნილია როგორც ძალაუნებური გაცდენა, რაც ს. ჯორბენაძეს არ მიაჩნია ზუსტად; იგი გვთავაზობს „იძულებით განაცდურს“, თუმცა არ ასახულებს თავის აზრს. ჩვენის ფიქრით, **прогул**-ს სხვადასხვა კონტექსტში უფრო შეესაბამება მეტყველებაში ცოცხალი „გაცდენა“, ვიდრე „განაცდურის“, რომელსაც ერთგვარად მწიგნობრული ელფერი აქვს. რაც შეეხება განსაზღვრებას „იძულებითი“, არა გვგონია, რომ ამ შემთხვევაში იგი სჯობდეს „ძალაუნებურს“; პირიქით, გარემოებების, თვით პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების მოქმედებას უფრო შეეფერება „ძალაუნებური“, ვიდრე „იძულებითი“, რომელიც ლექსიკონში გამოყენებულია **принудительный**-ს შესატყვისად და მიუთითებს ძალის გამოყენებაზე (შეად. **принуждение** — იძულება და ა. შ.).

**Гласный надзор**-ის ქართულ შესატყვისს „აშკარა მეთვალყურეობას, აშკარა ზედამხედველობას“ ა. გელოვანი აკრიტიკებს იმ არგუმენტით, რომ აშკარა რუსულად **явный, очевидный**-ა და არა **гласный**-ო, და წინადადებას იძლევა „სააშკარაო“ ვისმართო. ჭერ ერთი, ა. გელოვანის არგუმენტი „სააშკარაო“-ს წინააღმდეგაც შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ რაც მთავარია „სააშკარაო“ აზრობრივად არ გამოვადგება: **гласный надзор**-ის შემთხვევაში თვით პირმა იცის, რომ მის მიმართ მეთვალყურეობაა დანიშნული, ე. ი. ეს მეთვალყურე-

ობა მისთვის არის აშკარა. „სააშკარაო“-ს კი ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ მეთვალყურეობა საქვეყნოდ უნდა განხორციელებულიყო, იგი საჭაროდ უნდა ყოფილიყო ცნობილი (შეად. გამოთქმა რისამე „სააშკარაოზე გამოტანა“), რასაც **гласный надзор** არ გულისხმობს.

**Государственно-правовой** ჩვენ ვთარგმნეთ „სახელმწიფო სამართლებრივად“. აკად. გ. ახვლედიანი გვირჩევს ვისმართო „სახელმწიფოებრივსამართლებრივი“. აღნიშნული ზედსართავი წარმოებულია **Государственное право**-საგან, რომლის შესატყვისია „სახელმწიფო სამართალი“ და არა „სახელმწიფოებრივი სამართალი“, რადგან „სახელმწიფო“ არსებითი სახელიცაა და ზედსართავი<sup>1</sup> (სახელმწიფო ბიუჯეტი, სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო მოღვაწე, სახელმწიფო ხელისუფლება და ა. შ.), მაშასადამე, უნდა მივიღოთ „სახელმწიფოსამართლებრივი“.

**Доказательство** გამოქვეყნებულ მასალაში თარგმნილი იყო, როგორც დამამტკიცებელი საბუთი. ა. გელოვანი, აკრიტიკებს რა „საბუთს“, შესატყვისად მიიჩნევს მხოლოდ „მტკიცებას“. ეს სიტყვა ზუსტად იმას ნიშნავს, რასაც **доказывание** (მტკიცება, როგორც პროცესი) და არ გამოდგება **доказательство**-ს შესატყვისად, რომელიც მტკიცების საშუალებაა. მართალია, „მტკიცება“-ში შესაძლებელია ვიგულისხმოთ **доказательство**-ს ერთი ელემენტი, სახელდობრ, მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცების საშუალება, მაგრამ მასში ვერ გავიზრებთ **доказательство**-ს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს (დოკუმენტის მნიშვნელობით). ამიტომ საბოლოოდ **доказательство**-ს შესატყვისად ჩვენ ვამჯობინეთ „მტკიცებულება“. ეს ტერმინი რამდენადმე ხელგაფურია, მაგრამ თუ მას დავამკვიდრებთ **доказательство**-ს შესატ-

\* დასასრული. იხ. ურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1962 წ. № 3.

<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ისტორიულად ზედსართავი „სახელმწიფო“ „ხელმწიფისაგან“ არის წარმოებული, მაგრამ ეს მნიშვნელობა დღეს ისე იშვიათად გვხვდება, რომ იგი ხელს არ გვიშლის „სახელმწიფო“ გავიგოთ, როგორც სახელმწიფოს ხასიათის მატარებელი, სახელმწიფოსათვის განკუთვნილი და ა. შ.

ყვისად იგი ამ ცნების ორივე ელემენტის მომცველი იქნება და მას სხვა მნიშვნელობით ვერც გავიგებთ.

Доказуемость-ისთვის ა. გელოვანს მძიმედ და მცდარად მიაჩნია „დამტკიცებადობა“ და „მტკიცებადობა“ გვთავაზობს. ამ აზრს ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ доказуемость აღნიშნავს იმას, რისი დამტკიცებაც შესაძლებელია, ხოლო „მტკიცებადობა“ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლებელია რისიმე მტკიცება (და არა დამტკიცება); „მტკიცებადობა“ გრამატიკულადაც доказываемость-ის შესატყვისია (წმინს არასრული ფორმიდან — доказывать), რაც იურიდიულ ტერმინს არ წარმოადგენს, და არა доказуемость-ისა, რომელიც სრული ფორმიდან — доказать — არის წარმოებული.

Заведомо краденое-ს შესატყვისად ჩვენ მივიჩნით ნაქურდლად შეცნობილი. ო. მგელაძე ფიქრობს, რომ უფრო სწორი იქნებოდა „განზრახ ნაქურდალი“. ამ წინადადებას ვერ დავეთანხმებით: ჰერ ერთი, ქურდობა ყოველთვის განზრახ ჩადენილი ქმედობაა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ заведомо краденое-ს შეძენაში იგულისხმება ისეთი რაიმეს ყიდვა პირის მიერ, რომლის შესახებ მყიდველმა იცის, რომ იგი ნაქურდალია. ამგვარად, პირი ყიდულობს ნაქურდლად შეცნობილ რაიმეს. „განზრახ ნაქურდალის“ ყიდვაში კი სრულეობით არ ჩანს, მყიდველმა იცოდა თუ არა, რომ სავანი ნაქურდალი იყო, რადგან წმინაშე და „განზრახ“ ქურდობის, როგორც მოქმედების გარემოება და არა ნაქურდალის ყიდვისა, უფრო მეტი. „განზრახ“ კიდევაც რომ ჩავთვალოთ „ყიდვის“ გარემოებად (პირმა განზრახ იყიდა ნაქურდალი ნივთი), ამ შემთხვევაშიც არასწორად იქნებოდა გადმოცემული заведомо краденое-ს ყიდვა: ამას ის აზრი ექნებოდა, რომ პირის მიზანი იყო სწორედ ნაქურდალი ნივთი შეესყიდა და არა სხვა რამ.

დექსიკონში შეტანილია ცალკე заповедный (ნაკრძალი, მამაპაპუელი) და, რა თქმა უნდა ისეთი ცნებებიც, როგორცაა заповедное имение (ნაკრძალი მამული), заповедное имущество (ნაკრძალი ქონება), заповедник (ნაკრძალი). ვერ დავეთანხმებით ს. ჯორბენაძეს, რომელიც წერს, რომ „არსებითი სახელის გარეშე სიტყვას არაფრის ახსნა არ შეუძლია“. ზემოთ უკვე აღნიშნა „იურიდიული ტერმინოლოგიის“ შედგენისას მიღებული წესი, რომლის მიხედვით ზედსართავი სახელები ცალკეც გვაქვს შეტანილი დექსიკონში. რაც შეეხება ს. ჯორბენაძის წინადადებას, რომ „ნაკრძალი

მამულის“ ნაცვლად „დავედრებული მამული“ ვინმართ, ჩვენის ფიქრით მართებული არ იქნებოდა ამ არქაიზმის გაცოცხლება, მით უმეტეს, რომ „ნაკრძალი“ უკვე დამკვიდრებულია заповедник-ის შესატყვისად და, როგორც მსაზღვრელი ისტორიულ ცნებაში „ნაკრძალი მამული“, კარგად გამოხატავს მის შინაარსს, სახელდობრ იმას, რომ მისი განკარგვა აკრძალული იყო (ამას აღნიშნავს ს. ჯორბენაძე).

Земельный-ს შესატყვისებად ჩავთვალეთ: „მიწის“ და „საადგილმამული“. ისეთ არსებით სახელებთან, როგორცაა იჯარა, კომისია, ფართობი, რენტა, საკუთრება, საკითხი, ფონდი და მისთ., განსაზღვრება земельный თარგმნილია, როგორც „მიწის“ (ე. ი. მიწის იჯარა, მიწის რენტა, მიწის საკუთრება და ა. შ.); არსებით სახელებთან — დავა, ცენზი, თემი, ურთიერთობანი, ბანკი, იერარქია — земельный-ს შესატყვისად მივიჩნით განსაზღვრება „საადგილმამული“ (ე. ი. საადგილმამული დავა, საადგილმამული თემი, საადგილმამული ურთიერთობანი და ა. შ.); ზოგ გამოთქმებში земельный თარგმნილია, როგორც „მიწის“, ასევე „საადგილმამული“; მაგალითად, მიწის რეფორმა, საადგილმამული რეფორმა; მიწის ბეგარა, საადგილმამული ბეგარა; მიწის რეგისტრაცია, საადგილმამული რეგისტრაცია.

გარდა ამისა, რამდენიმე შემთხვევაში земельный-ს შესატყვისი აღმოჩნდა „სამიწათმოქმედოც“; земельное управление — საადგილმამული სამმართველო, სამიწათმოქმედო სამმართველო; земельный орган — საადგილმამული ორგანო, სამიწათმოქმედო ორგანო.

ცხადია, земельный-ს თარგმნა სხვადასხვა სიტყვებით გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ქართულად რაც შეიძლება ზუსტად გადმოცეს აღნიშნული ტერმინების ნამდვილი მნიშვნელობა. იქ, სადაც земельный-თ საზღვრული არსებითი სახელი გულისხმობს კერძო საკუთრებაში მყოფ კონკრეტულ მიწის ნაკვეთს, ადგილ-მამულს, ანდა მიწის ამა თუ იმ ნაკვეთზე კერძო საკუთრების კონკრეტულ უფლებას, განსაზღვრებად „საადგილმამული“ უნდა ვინმართ. მაგალითად, ცხადია, რომ „მიწის დავა“ ბუნდოვანია მაშინ როცა „საადგილმამული დავა“ პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ დავაზეა ლაპარაკი. ამ მხრივ „საადგილმამული რეფორმამ“ გამოიწვია ს. ჯორბენაძის დაეჭვება. ჩვენის ფიქრით, თუ „მიწის რეფორმა“ აღნიშნავს სახელმწიფო მასშტაბის ცვლილებებს მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების სფეროში, „საადგილმამული რეფორმაც“

დასაშვებია ამ ცვლილებათა აღსანიშნავად; იგი უფრო კონკრეტულადაც კი მიუთითებს ცნების არსებით შინაარსზე.

Злостный банкрот-ის შესატყვისად მასალაში გამოქვეყნებული იყო „ავბანკროტი, ავკოტრი“. აკად. გ. ახვლედიანმა გვიჩინა „განზრახბანკროტი“. საბოლოოდ ჩვენ ვამჯობინეთ „ავმზრახველი ბანკროტი, ავმზრახველი კოტრი“, რადგან გვინდოდა შეგვენარჩუნებინა „ავის განზრახვის“ ელემენტი, რომელიც ამ ტერმინში მთავარია.

Иск о признании-სათვის ს. ჯორბენაძე ვთავაზობს „დადგენით სარჩელს“, რაც, ჩვენის ფიქრით, უსუსტი არ უნდა იყოს. ამჟამად ამ ტერმინის შესატყვისად მივიჩნიეთ „ადიარებთი სარჩელი“, რომელიც რუსულსაც სავსებით შეესაბამება და ცნების შინაარსსაც სწორად გადმოგვცემს (მასალაში იყო „საადიარებო სარჩელი“).

თანამედროვე რუსული იურიდიული ტერმინოლოგია კარა-ს განსხვავებს наказание-საგან იმით რომ კარა გამოხატავს наказание-ს ერთ მხარეს, სახელდობრ, სასჯელს (დასჯას), დამნაშავესათვის ტანჯვის მიყენებას, მისთვის რაიმე სიკეთის (სიცოცხლის, უფლებების, ქონების, თავისუფლების და ა. შ.) აღკვეთის მნიშვნელობით<sup>1</sup>. სამწუხაროდ, ქართული ენა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სხვა შესატყვისები მოვუძებნოთ ამ ორ ტერმინს. ა. გელოვანის წინადადებაა კარა ვთარგმნოთ არა როგორც სასჯელი და დასჯა, არამედ როგორც რისხვა. სულხან-საბაზე მითითება ამ შემთხვევაში საქმის ვერ შევლის, რადგან თანამედროვე ქართულში რისხვა სხვა არაფერია, თუ არა ძლიერი წყრომა და მას კარა-ს მნიშვნელობას ვერ მივცემთ, ისევე როგორც „დარისხვას“ ვერ ვიხმართ карать-ის შესატყვისად (დარისხვა შერისხვის სინონიშია და ხატის, თუ წმინდანის ძალით საჯაროდ დაწვევლას ნიშნავს). გარდა ამისა карать-ისაგან წარმოებული შედარათვი карательный მაშინ უნდა გვეთარგმნა არა როგორც „დამსჯელი“, არამედ როგორც „დამრისხველი“ (მაგალითად, карательный орган — დამრისხველი ორგანო (?), რაც სავსებით დავაშორებდა შესაბამისი ცნებების ნამდვილ შინაარსს.

Маркировка-ს შესატყვისად ს. ჯორბენაძე თვლის არა „დამარკვას“, როგორც ეს ლექსიკონშია, არამედ „მარკირებას, ნიშანდებას“. ზე-

მოთ უკვე აღინიშნა, რომ, სადაც ეს მოსახერხებელია, ჩვენ გავუბრბით „ირება“-ს ქართულ სიტყვაწარმოებაში. აქ სწორედ ასეთი შემთხვევა გვაქვს. რაც შეეხება „ნიშანდებას“, დამარკვის სინონიმად იგი ზედმეტი უნდა იყოს, რადგან მასში არ ჩანს маркировка-ში მოცემული სპეციალური ნიშნების დასმა საქონელზე (რისთვისაც ეს სიტყვა შესულია იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონში); „ნიშანდებას“ უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს (შეად. ნიშანდებული ატომები — меченые атомы).

ვერ გავიზიარებთ აგრეთვე ო. მეგლიძის წინადადებას, რომ облага ვთარგმნოთ არა „აღყადა“, არამედ „გარემომორტყმად“. ეს უკანასკნელი обвод-ისა და окружение-ს ერთერთი შესატყვისია და облага-ს სპეციფიკაზე არ მიუთითებს. მართალია, აღყა უპირველეს ყოვლისა осада-ს ნიშნავს, მაგრამ სავსებით გამოდგება (აღყის შემორტყმასთან ერთად) облага-ს მნიშვნელობის გადმოსაცემად.

Оброк-ის ქართულ შესატყვისებად ჩვენ მივიჩნიეთ ღალა (натуральный оброк) და სახელური (денежный оброк) დოც. ს. ჯორბენაძე ჩვენს თარგმანს თვისი გაუმართლებელ ვადახვევად „უკვე დამკვიდრებული ტერმინებიდან“ და ამის გამო, ტერმინოლოგიის უნიფიკაციის აუცილებლობის უგულვებელყოფასაც კი მოგვაწერს.

ვფიქრობთ, რომ ამგვარი ბრალდება უსაფუძვლოა. რომელიმე ცნების გამოსახატავად ამა თუ იმ ტერმინის „დამკვიდრებას“, „ადიარებას“, „დადგენას“ მანამდე აქვს მნიშვნელობა, სანამ სათანადოდ დასაბუთებოდეს ამ ტერმინის შეუსაბამობა და მის ნაცვლად სხვა ტერმინის შემოღების მიზანშეწონილობა; იურიდიული თუ სხვა ტერმინოლოგიების შედგენას სწორედ ეს დანიშნულება აქვს.

არც სულხან-საბას ლექსიკონი და არც სხვა რაიმე წყარო არ უარყოფს იმ ქვეშარტებას, რომ ქართველი გლეხი ღალას მხოლოდ ნატურით იხდიდა, მაშინ როცა оброчные крестьяне უპირატესად ის გლეხები იყვნენ, რომლებიც იხდიდნენ денежный оброк-ს. მაშასადამე, ქართულად „ფულადი ღალა“ სრული შეუსაბამობა იქნებოდა. ღალა სავსებით შეესატყვება натуральный оброк-ს. Денежный оброк-ისათვის ჩვენ შევარჩიეთ „სახელური“. ვახტანგ VI-ს ეს სიტყვა ზოგადი მნიშვნელობით, გადასახადის აზრით აქვს ნახმარი, მაგრამ სწორედ

<sup>1</sup> Накзать, რომლის მოქმედების საეელს ვტარებთ (Отец наказал сына).

წარმოადგენს наказание, ნიშნავს აგრეთვე



იმიტომ, რომ მას სხვა რამ კონკრეტული შინა-არსი არ გააჩნია, ახალი სიტყვის გამოგონებას ან денежный аброк-ისთვის გვერდის ავლას ვაშკობინეთ ამ სიტყვისათვის აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა მიგვეცა. ვფიქრობთ, საჭირო არაა იმის მტკიცება, რომ ამგვარი ხერხი ცნობილია ყველა ენისათვის, რომელსაც შემუშავებული აქვს ესა თუ ის მცენიერული ტერმინოლოგია.

საგრძნობ სიძნელეს წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელოვანი იურიდიული ტერმინის თარგმნა, როგორცაა подсудность. იგი აღნიშნავს განსაზღვრულ იურისდიქციას, მიუთითებს იმაზე, თუ სასამართლო ორგანოების სისტემაში რომელი ორგანოა კომპეტენტური განიხილოს ესა თუ ის კონკრეტული საქმე. Подсудность-ის შესატყვისად აქამდე ხმარებული „სასამართლო ქვემდებარეობა“ უმართებულოდ მივიჩნით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორი სიტყვის გამოყენება გარკვეულ უზერხულობას იწვევს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი აზრობრივად არის შეუსაბამო. Подсудность ჩვეულებრივ გეხედება, მაგალითად, ასეთ ფრაზაში: дело подсудно народному суду. ძველი ტერმინოლოგიით ეს ფრაზა ასე უნდა ითარგმნოს: „საქმე ქვემდებარეობს სახალხო სასამართლოს“. ცხადია, სიტყვა „ქვემდებარეობა“ სრულებით არ გამოხატავს იმას, რომ ესაა სახალხო სასამართლოში განსახილველი საქმე; „ქვემდებარეობა“ შესატყვისება подчиняется-ს, ისევე როგორც ქვემდებარეობა ანუ დაქვემდებარებულობა სხვა არაფერია, თუ არა подчиненность, ხოლო დაქვემდებარება — подчинение. რაკი ამ შემთხვევაში შეუძლებელია გამოიყენოთ „განხილვა“ (рассмотрение) და ამ ფუძისეული სხვა სიტყვები, რჩება ერთი შესაძლებლობა: подсудность-ის ქართული შესატყვისი ვაწარმოთ „განხილვის“ იურიდიული სინონიმისაგან, რომელიც სხვა რუსული ტერმინის შესატყვისად არაა გამოყენებული. ასეთია „განჯა“ („სასამართლოში საქმე განსაჯეს...“). მაშასადამე, подсудность-ს აზრობრივად შეესაბამება „განსჯადობა“. ამ ტერმინის გამოყენებით კარგად ითარგმნება შემოთ აღნიშნული ფრაზაც: „საქმე განსასჯელია სახალხო სასამართლოში“.

Покушение-ს შესატყვისად ლექსიკონში შეტანილია როგორც მცდელობა, ასევე ცდა. ა.

გელოვანი, კრიტიკულად განიხილავს „ცდილი“ სურგულაძის არგუმენტებს „ცდის“ სასარგებლოდ, ფიქრობს, რომ покушение-ს ქართულ შესატყვისად სავსებით კმარა მცდელობა. ეს სიტყვა მართლაც შეიძლება ჩაითვალოს დამკვიდრებულად, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით იგი უპირატესად მოქმედების გამოშვებულ კი არ უნდა იყოს (покушение კი სწორედ მოქმედებაა), არამედ არსებითი სახელისაგან წარმოებული თვისებისა თუ საქმიანობისა.

„ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონი“ მცდელობას გვიხსნის, როგორც მცდელობის თვისებას („...თი წარმოებული სახელების ძირითადი ჯგუფის მიხედვით), თუმცა უფრო მართებული იქნებოდა ეს სიტყვა, როგორც იურიდიული ცნება, გაგვეგო მცდელობის ნაშთქმედარის მნიშვნელობით (ისევე როგორც მკვლელობა აღნიშნულ ლექსიკონში განმარტებულია მკვლელობის ნაშთქმედარად), რაზდენდაც მცდელობის პირა, ვინც რაღაც ცდილობს (ან შეეცადა), ამდენად მისი ნაშთქმედარის სწორედ ცდაა. „ცდა“ ამ გაგებით! ცოცხალი, ფრიად გავრცელებული სიტყვაა ქართულ მეტყველებაშიცა და მწერლობაშიც. იურისტის გარდა ქართულად არავინ იტყვის, მაგალითად, „პეტრემ ქალის გაუპატიურების მცდელობა ჩაიდინაო“; ჩვეულებრივ იტყვიან: „პეტრე ქალის გაუპატიურებას შეეცადა“. აქედან: ქართული-სათვის უფრო ბუნებრივია „გაუპატიურების ცდა“ (покушение на изнасилование), ვიდრე „გაუპატიურების მცდელობა“. შემთხვევითი არაა ის, რომ ქართულ ფეოდალურ სამართალში, სახელდობრ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში მკვლელობის მცდელობა აღნიშნულია სიტყვებით „სკუდილობისა ცდა“<sup>2</sup> რაც განმეორებულია აგრეთვე მე-16 საუკუნის ერთ სასისხლო სიგელში<sup>3</sup>.

აი რატომ მივიჩნით покушение-ს შესატყვისად, გარდა „მცდელობისა“ (რომელიც უმართებულო როდია), აგრეთვე „ცდა“. მომავლის საქმეა, რომელ სიტყვას ამჟობინებს ქართული ენა იურიდიულ ტერმინად.

Правоотношение ლექსიკონში თარგმნილია როგორც მართლურთიერთობა. ს. ჯორბენაძე ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ უნდა იყოს „უფლებრივი ურთიერთობა“, ანდა „სამართლ-

<sup>1</sup> „ცდა“ ექსპერიმენტსაც აღნიშნავს, რაც კი არ უპირისპირდება, არამედ გამომდინარეობს „ცდის“ ზოგადი მნიშვნელობიდან: ცდილობს—ცდა. ასევეა რუსულშიც: пытаться—опыт.

<sup>2</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 339.  
<sup>3</sup> ფ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 47.

ბრივი ურთიერთობა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მართლურთიერთობა“ აბსოლუტურად იგივეა, რაც „სამართლებრივი ურთიერთობა“, რომელსაც არავინ უარყოფს. ლექსიკონში იგი შესულია **правовое отношение**-ს შესატყვისად (**Правовое отношение** და **правоотношение** ერთი და იგივეა). ამგვარად, განსახილველად გვჩნება მხოლოდ ის, არის თუ არა უფლებრივი ურთიერთობა **правоотношение**-ს შესატყვისი. ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გვცეთ და აი რატომ: საქმე ის კი არაა, თითქმის „სამართლებრივი“ უპირისპირდება „უფლებრივს“, როგორც ს. ჯარბენაძე წერს. სამართალი (**право в объективном смысле**) ერთობლიობაა ნორმებისა, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ასეთი მოწესრიგების გამო ურთიერთობანი იქცევიან სამართლებრივ ურთიერთობებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მონაწილეებს აქვთ უფლებები (**право в субъективном смысле**) და მოვლეობანი, ამგვარად, სამართლებრივი (ანუ იურიდიული) ურთიერთობა გულისხმობს მათი მონაწილეების უფლებამოვლეობებს.

**Правовое отношение** ანუ **правоотношение** სამართლის ნორმებით რეგულირებული ურთიერთობაა<sup>1</sup> ე. ი. სამართლებრივი და არა უფლებრივი ურთიერთობა. ასევეა ინგლისურად, რადგან ინგლისურში ქართულის მსგავსად ორი სიტყვაა: **law** სამართალი, **right** — უფლება (გერმანული და ფრანგული ორივე ცნებას ერთი სიტყვით გამოხატავს მსგავსად რუსული **право**-სა: **das Recht le droit**); აქედან გამომდინარე, **правоотношение** ინგლისურად არის **law relation, legal relation** და არა **rightful relation**.


შეორე საკითხია, რამდენად მიზანშეწონილია „სამართლებრივი ურთიერთობის“ გარდა ვიხმართ აგრეთვე კომპოზიტი „მართლურთიერთობა“, ისევე როგორც რუსულშია **правовое отношение** და **правоотношение**. აქ ისეთივე შემთხვევა გვაქვს, როგორც „მართლწესრიგის“<sup>2</sup>. **Правовой порядок** სამართლებრივი წესრიგია. უფსტად იგივეა **правопорядок** და მისი ქართული შესატყვისი **მართლ-**

წესრიგი. ანალოგიური და წარმოებული სიტყვებია: **მართლშეგნება** (სამართლებრივი შეგნება, **правосознание — правовое сознание**), **მართლზომიერი** (სამართლის შესაბამისი, **правомерный, ე. ი. соразмерный, соответствующий праву**), **მართლწინააღმდეგი** (სამართლის საწინააღმდეგო, **противоправный, ე. ი. противоречащий праву**), **მართლმსჯულება** (**правосудие**).

ამგვარად იურიდიული მნიშვნელობის ქართულ კომპოზიტიში „მართლ“ იგივეა, რაც სამართლებრივი, სამართლისა. ეს ქართულის სპეციფიკა როდია; შესაბამის კომპოზიტებში რუსულ და სხვა ევროპულ ენებზე „სამართალი“ და „მართალი“ („მართლ“) ერთი ძირის სიტყვებია. ჩვენ მხოლოდ სამ შემთხვევაში დავუშვით ოდნავ გადახვევა: **правонарушение** ვთარგმნეთ არა როგორც „მართლდარღვევა“, არამედ როგორც „სამართალდარღვევა“ იმიტომ, რომ გამორიცხული იყოს შესაძლებლობა მცდარი შთაბეჭდილებისა, თითქოს ეს ცნება გულისხმობდეს მართალ, სწორ დარღვევას და არა სამართლის დარღვევას, ხოლო **правоведение — სამართალმცოდნეობა**დ, რადგან ამ შემთხვევაში „**право**..“ **правовой**-ს შემოკლება კი არაა, არამედ აღნიშნავს მოძღვრებას **о праве** ანუ უფსტად — **სამართალმცოდნეობას**. ასევე **правосубъектность** ქართულად იქნება „სამართალსუბიექტობა“.

**Соучастие**-ს შესატყვისად ა. გელოვანი გვიჩვენებს „წილჩადებულობას“. მისი აზრით „თანამონაწილეობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თითქოს გულისხმობს თანამონაწილის ყოფნას დანაშაულის აღსრულებისას, ხოლო ეს ყოფნა თითქოს არ მოითხოვს მის თანამზარახველობას“. ამ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით: „თანამონაწილეობა“, რა მნიშვნელობითაც უნდა ვიხმართ ეს სიტყვა, ნიშნავს მონაწილეობას სხვასთან ერთად რაიმე მოქმედებაში. სიტყვაში „თანამონაწილეობა“ არაფერი არ მითითებს იმაზე, რომ საერთო მოქმედება უსათუოდ დანაშაულიც აღსრულება უნდა იყოს, რადგან დანაშაულის ყველა სტადია, კერძოდ

<sup>1</sup> ადგილს ეკონომისათვის ჩვენ ციტატებს არ მავმართავთ, მიუფთითებთ მხოლოდ რამდენიმე კომპ ნტენტურ ავტორზე: Г. Ф. Шершневич, *Общая теория права*, т. III, стр. 563; М. П. Карева, С. Ф. Кечекьян, А. С. Федосеев, Г. И. Федкин: *Теория государства и права*, 1955, стр. 405; С. Ф. Кечекьян, *Правоотношение в социалистическом обществе*, 1958, стр. 5; Н. Г. Александров, *Законность и правоотношение в Советском обществе*, 1955, стр. 97; А. Энекцерус, *Курс Германского гражданского права*, полутом 1. 1949, стр. 238.



დანაშაულის მომზადებაც (რომელსაც შეიძლება სხვადასხვა საფეხური ჰქონდეს) გარკვეულ მოქმედებას წარმოადგენს და ამიტომ შესაძლებელია, რომ იგი ორი ან რამდენიმე პირის მიერ იქნას შესრულებული. მაშასადამე, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ „თანამონაწილეობაში“ თანამონაწილის მარტოოდენ ყოფნა ვიგულისხმობთ დანაშაულის აღსრულებისას. რაც შეეხება თანამზრახველობას, უნდა აღინიშნოს, რომ соучастие-ს დანაშაულებრივ ხასიათს განსაზღვრავს პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართულ საერთო მოქმედებაში. ცხადია, რომ რაკი ეს საერთო მოქმედება დანაშაულის ჩადენისაკენაა მიმართული, იგი სრულდება საერთო დანაშაულებრივი განზრახვით; მოქმედებაში მონაწილეობა, თუ მას თან არ ახლავს დანაშაულებრივი განზრახვის ერთობლიობა, არ წარმოადგენს соучастие-ს, კერძოდ, არც მაშინ, როდესაც ასეთი მონაწილეობა დამოუკიდებელი განზრახვით, საკუთარი მიზნით სრულდება (ამ შემთხვევაში საქმე გვექნება ცალკე დანაშაულთან).

რაც მთავარია, როდესაც соучастие-ს ზოგადად ვხსნი, როგორც მონაწილეობას სხვასთან ერთად მოქმედებაში, აუცილებელი არაა, რომ ეს მონაწილეობა უშუალოდ ფიზიკური მოქმედების მნიშვნელობით გავიგოთ. ფსიქიკური შემოქმედებაც, რომელიც გამოხატავს წაშქვინებისა და ე. წ. „ინტელექტუალური დამხმარის“ როლს, დანაშაულებრივ მოქმედებაში მონაწილეობას ნიშნავს, ე. ი. თანამონაწილეობას.

ამიტომ соучастие-ს ქართულ შესატყვისს ვერ მოვთხოვთ სახოს თანამზრახველობის მომენტი. ყოველ შემთხვევაში „წილჩადებულობა“ ვერც ამ მხრივ სჯობს „თანამონაწილეობას“. გარდა ამისა, „წილჩადებულობა“ იმდენად ფართო შინაარსისაა, რომ იგი სულ სხვა მნიშვნელობით უფრო იქნება გაგებული, ვიდრე საერთო მოქმედებაში მონაწილეობის აზრით. მაგალითად, პირს შეიძლება წილი ედოს საკუთრებაში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დამკვიდრებული „თანამონაწილეობის“ სპეციფიკას „წილჩადებულობა“ ვერ გადმოგვცემს.

Смирительный дом ითარგმნა, როგორც მორჩულების სახლი, მოსარჩულებელი სახლი. აკად. გ. ახვლედიანი ამკობინებს „სადამშვიდებლო სახლს“, ხოლო ს. ჯორბენაძე დარწმუნებულია, რომ ჩვენ შევცდით, და აცხადებს: „Смирительный дом დამნაშავეებთან კი არ

იყო დაკავშირებული, არამედ სულით ავადმყოფებთან“. ამავე დროს ავტორი თავს იკავებს რაიმე სახუთის მოტანისაგან; მისი განცხადება ალბათ ყალბი ანალოგიის შედეგია (Смирительная рубашка — დამაწყნარებელი პერანგი, რომელსაც საშიშად აგზნებულ სულით ავადმყოფს ჩაცვამენ ხოლმე უვნებელსაყოფად და დასაწყნარებლად). სინამდვილეში კი Смирительный дом, როგორც ვ. დალი გამოატყვის, აღნიშნავდა სატუსაღოს, სადაც დამნაშავენი ფიზიკური შრომით იხდიდნენ სასჯელს, ე. ი. სადაც დამნაშავეს „მორჩულება“ ხდებოდა!.

\* \* \*

ს. ჯორბენაძის წერილში დასახელებულია 37 რუსული ტერმინი, რომელთა ქართულ შესატყვისებს (მასალებში გამოქვეყნებულთ) ავტორი არ იწუნებს, მაგრამ სასურველად თვლის მათ სხვა შესატყვისებიც დამატოს. სამი მათგანი დამატებული იყო „ტერმინოლოგიის“ საბოლოო რედაქტირებისას (სარფა-выгода-სათვის, кривая держание-სათვის და წამყრუებლობა попустительство-სათვის). რაც შეეხება დანარჩენ ქართულ სიტყვებს, რომლებსაც ს. ჯორბენაძე გვთავაზობს, მათი უმრავლესობა ლექსიკონში გამოყენებულია სხვა რუსული ტერმინების შესატყვისებად და ამიტომ ს. ჯორბენაძის წინადადებათა მიღება გამოიწვევდა ტერმინთა აღრევას ნაცვლად მათი დაზუსტებისა. მაგალითად, арест ლექსიკონში თარგმნილია, როგორც 1. (ვისიმე) პატიმრობა, დაპატიმრება; 2. ყადაღა (რისამე). შესაბამისად арестант პატიმარია. ს. ჯორბენაძე ამ რუსული ტერმინებისათვის დამატებით გვთავაზობს დატუსაღებას, დაჭერას და ტუსაღს. იურიდიულად განსხვავებული ცნებებია арест და заключение, ისევე როგორც арестант და заключенный. აუცილებელია მათი ქართული შესატყვისების გამიჯვნაც, როგორც ეს ჩვენს ლექსიკონშია. რაკი ს. ჯორბენაძეს არ დაუწუნებია заключение-ს თარგმნა (ერთი მნიშვნელობით) ტუსაღობად და დატუსაღებად, ხოლო заключенный-სა ტუსაღად, ამიტომ შედმეტად მიგვაჩინა მტკიცება იმისა, რომ ტუსაღობა, დატუსაღება და ტუსაღი მხოლოდ заключение-სა заключенный-ს შესატყვისებად უნდა ვიხმაროთ. ამავე მიზეზით მიუღებელია ს. ჯორბენაძის მიერ შემოთავაზებული დამატებანი ქართული შესატყვისებისათვის ისეთი რუსული ტერმინებისა, როგორცაა аксессуарный договор, безвозмездная сделка, взаимная

1 В. Даль, Толковый словарь. том четвертый, стр. 241, აგრეთვე Акты управления Екатерины II, 1907, გვ. 63.

сделка, дом призрения, завладение, законный преступник, истязание, легитимировать, нанесение ущерба, обладание, отлучение от церкви, пайщик, погашение задолженности, расточительство, родительская власть, социальное пособие, увечье, ущерб.

რამდენიმე რუსული ტერმინისათვის ს. ჯორბენაძე დამატებით გვთავაზობს ისეთ სიტყვებს, რომლებიც აზრობრივად არიან შეუსაბამო. მაგალითად, **невозвращенец** ის კირია, რომელიც თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოში აღარ ბრუნდება (არ დაბრუნებული) და არა „მნიშვნელოვანი“; ანდა როგორ უნდა გავიგოთ „პატივსაცემი შეცდომა“? **Простительное заблуждение** ისეთი შეცდომა თუ ცდომილებაა, რომელიც მისატყვევებელია (которое можно и нужно простить) და არა „პატივსაცემი“ (საერთოდ წარმოუდგენელია, რომ პატივი დასდონ... შეცდომას!). ამიტომ ლექსიკონში მოცემული შესატყვისები—„მისატყვევებელი შეცდომა, ცდომილება“ ამგვარ დამატებას არ სპირიონებენ.

ზოგ შემთხვევაში ს. ჯორბენაძის მიერ შემთავაზებული დამატებანი ზედმეტ პარალიზს შექმნიდა. მაგალითად, **первичное приобретение** თარგმნილია, როგორც პირველადი შეძენა. არა გვგონია, გამართლებული იყოს ამ შესატყვისის გვერდით „თავდაპირველი შეძენა“, რადგან „პირველადსა“ და „თავდაპირველს“ ერთი ძირი აქვთ და ამ შემთხვევაში ტოლფასოვანიც არიან. ჩვენის ფიქრით, ასევე საკმარისია **незотзывный акредитив** ისათვის „უკუუხმობი აკრედიტივი“ და საჭირო აღარაა „გამოუთხოვი აკრედიტივი“, მით უმეტეს, „გამოუთხოვი“ უფრო იმას აღნიშნავს, რომ აკრედიტივი უკან არ გამოუთხოვიათ, ვიდრე იმას, რომ მისი უკან გამოთხოვა არ შეიძლება (სწორედ ეს შეადგენს ცნების შინაარსს). იგივე უნდა ითქვას **ненормированный** სათვის, „დაუნორმავის“ გვერდით, „უნორმოს“ ან „არანორმირებულის“ შეტანაზე და ა. შ.

ს. ჯორბენაძე დამატებით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეორე, განსხვავებული მნიშვნელობის მიცემას მოითხოვს ცნებისათვის **право собственности**, რომლის შესატყვისად ჩვენ მიგვაჩნია „საკუთრების უფლება“. ეს მეორე მნიშვნელობა, მისი აზრით, უნდა იყოს „საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტი“, ანდა თუნდაც სხვა რომელიმე ტერმინი, რომელიც საკუთრების შესახებ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის გამომხატველი იქნებოდა“.

ამ საკითხის დაყენება უთუოდ სწორია: **право собственности** ობიექტური მნიშვნელობითაც უნდა გავიგოთ, როგორც ერთობლიობა გარკვეული სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც აწესრიგებენ საკუთრების საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ე. ი. საკუთრების სამართალი, მაგრამ უმართებულო იქნებოდა **право собственности** გვეთარგმნა „საკუთრების სამართლებრივ ინსტიტუტად“, რომელსაც რუსულად შეესაბამება **правовой институт собственности**. მაშასადამე, **право собственности**-ს ქართული შესატყვისები იქნება „საკუთრების უფლება“ და „საკუთრების სამართალი“ (ასევე ინგლისურადაც: **right of property** და **law of property**).

ა. გელოვანის წერილში დაწუნებულია რამდენიმე რუსული ტერმინის ქართული შესატყვისები, რომლებიც ლექსიკონის მასალებში გამოქვეყნდა. ესენია: იურიდიული სარწმუნობა (**юридическая достоверность**), გაკანონიერებული შვილები (**узаконенные дети**), კრიზის შეპყრობა (**захват приза**) და მიკვლევა (**дознание**). რაკი ავტორი არც დაწუნებულ ასახულებებს და არც სხვა შესატყვისებს გვთავაზობს მათ მაგიერ, ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია აღნიშნული სიტყვა-გამოთქმების დაცვა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლექსიკონზე მუშაობისას „კრიზის შეპყრობა“ შევცვალეთ „კრიზის ხელში ჩაგდება“; ხოლო „მიკვლევა“ — „მოკვლევი“; ს. ჯორბენაძე მსჯელობს **акт крепостной**-სა და **акт укрепления**-ს შესახებ, ციტატიც მოაქვს ტრეპიცინის წიგნიდან, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი დაარჩა მიზანი ამ მსჯელობისა, რომელშიც ნახსენებია ცი არაა აღნიშნული ტერმინების ქართული შესატყვისები.

აკად. გ. ახვლედიანისა და ს. ჯორბენაძის ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა გამოიწვია რამდენიმე რუსული ტერმინისა თუ გამოთქმის ქართულ შესატყვისებში გაპარულმა ტექნიკური ხასიათის შეცდომებმა და შეუსაბამოებამ. მაგალითად, „სამიწათმოქმედოს“ ნაცვლად მასალაში დაიბეჭდა „სამიწადმოქმედო“, **толкование**-ს სწორი თარგმანი „განმარტება“ ზოგიერთ მაგალითში შეცდომით ძველი „ახსნა-განმარტებით“ არის შეცვლილი, კორექტურული შეცდომია **опека законная**-ს მეორე მნიშვნელობაში: „კანონის მიერ მეურვეობა“; უნდა იყოს „კანონისმიერი მეურვეობა“ და სხვ.

ამ წერილში ჩვენ გვერდი ავუარეთ კრიტიკულ შენიშვნებს რუსული იურიდიული ტერმინების იმ თარგმანთა გამო, რომლებიც უფრო ზუსტი შესატყვისებით შევცვალეთ მასალის



გამოქვეყნების შემდეგ. ასეთებია: პროცესის მიმდინარეობა (движение процесса) ნაცვლად კროცესის მოძრაობისა; მოღალეობა (издольщина) ნაცვლად მოზიარობისა; საღსრულებო ფურცელი (исполнительный лист) ნაცვლად აღსრულების ფურცლისა; ანდერძანაკისრის მიმღები (отказополучатель, отказоприиматель) ნაცვლად ანდერძით ნაბოძების მიმღებისა; ხანდაზმულობის მიმდინარეობა (течение давности) ნაცვლად ხანდაზმულობის დინებისა.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელი არაა პასუხი გავცეთ აგრეთვე იმ შენიშვნებს, რომლებიც სადაოდ ხდიან უმნიშვნელო ნიუანსებს რამდენიმე რუსული ტერმინის ქართულ შესატყვისებში. მაგალითად, გამოთქმაში воспрещение занимать (определенную) должность სადაო არ უნდა იყოს სიტყვა занимать ითარგმნოს „დაჭერად“ (როგორც ჩვენ გვაქვს), თუ „დაკავებად“ (როგორც ს. ჯაფარიძე მოითხოვს);

ასევე ნაკლებმნიშვნელოვანია საკითხი სიტყვებისა — რომელს ვამჯობინებთ: მემკვიდრეობით წილს და სამკვიდრო წილს, თუ მემკვიდრეობის წილს; მემკვიდრეობის სამართალს, თუ სამემკვიდრეო სამართალს და ა. შ.

დასასრულ, „იურიდიული ტერმინოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიას სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია მადლობა მოახსენოს კრიტიკული შენიშვნების ავტორებს, რომელთა გამოსმაურებამ უთუოდ ხელი შეუწყო ცალკეული იურიდიული ცნებების ადეკვატურ გაღმოცემას ქართულ ენაზე. იმედია, რომ „იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი)“ ამ წლის ბოლომდე გამოქვეყნდება; მისი საბოლოო შეფასებისათვის მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად მოიკიდებს ფეხს ქართულ ენაში, კერძოდ, ჩვენს იურიდიულ პრაქტიკასა და სამართლის მეცნიერებაში ტერმინოლოგიური სიანზღენი, რომელთა დამკვიდრება მიზანშეწონილად მივიჩნით.



## სამედიცინო სასამართლოების შესახებ

საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სამეურნეო დავის გადაწყვეტის საქმეში დემოკრატიული საწყისების გაძლიერების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 23 ივლისის დადგენილებით № 824, მიზანშეწონილად ჩათვალა ცალკეულ დიდ და რთულ საქმეებზე წამოჭრილი დავის განხილვა სამედიცინო სასამართლოს მიერ, რომელსაც მხარეები აირჩევენ კონკრეტულ საქმის განსახილველად. სამედიცინო სასამართლოს მიერ დავების განხილვის წესების შემუშავება და დამტკიცება დაევალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს.

ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 28 სექტემბერს.

სამეურნეო დავების განხილვის ამ ახალ ფორმას უთუოდ აქვს მეტად დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ იგი მიმართულია სამეურნეო დავების გადაწყვეტის საქმეში დემოკრატიულ საწყისების გაძლიერებისაკენ, აგრეთვე დიდ როლს შეასრულებს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში, ხელს შეუწყობს გეგმით და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების დროულად შესრულებას, ნაწარმის მაღალი ხარისხისა და დაკომპლექტებისათვის ბრძოლას, საწარმოებსა და ორგანიზაციების ურთიერთობაში კოოპერაციის და ამხანაგური თანამშრომლობის პრინციპის განმტკიცებას.

მთავრობის დავალების შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა 1960 წ. 31 აგვისტოს დაამტკიცა

სამედიცინო სასამართლოს მიერ დავების განხილვის დროებითი წესები, რომლებიც მოქმედებენ მათი დამტკიცების დღიდან. ამ წესების თანახმად, საკითხი, გადაეცეს თუ არა ესა თუ ის წამოჭრილი სამეურნეო დავა სამედიცინო სასამართლოს, თუ წარიმართოს ჩვეულებრივი გზით — სახელმწიფო ან საუწყებო არბიტრაჟის ორგანოებში წყდება თვით მოდავე მხარეების ხელმძღვანელების შეთანხმებით. ამ შემთხვევაში არ არის ისე დაზუსტებული დავის ქვემდებარეობა, როგორც ამას ითვალისწინებს სახელმწიფო არბიტრაჟის დებულება; დავა შეიძლება მხარეების შეთანხმებით გადაეცეს სამედიცინო სასამართლოს, დამოუკიდებელი მათი დაქვემდებარებისა და ადგილმდებარეობისა. ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც ითვალისწინებს წესები, ეს არის ის პირობა, რომ მოცემული დავა უნდა შედიოდეს არბიტრაჟის კომპეტენციაში. გამომდინარე აქედან, მაგალითად დავები 100 მან. ნაკლები თანხის, რომელთა განხილვის წესი დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულებით, ან თუ დავები გამომდინარეობენ საერთაშორისო მომოსვლებიდან, სამედიცინო სასამართლოს ვერ გადაეცემა.

გარდა მოდავე მხარეების შეთანხმებისა საჭიროა აგრეთვე იმ პირის, ან პირების თანხმობა, რომელსაც მხარეები აირჩევენ მედიატორად. მედიატორები აირჩევიან დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების რიცხვიდან, ანდა საინჟინერო-ტექნიკური მუშაკებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკებისაგან და სხვა პირებისაგან, რომლებიც იქნებიან მიჩნეული კომპეტენ-

ტურად სადაო საკითხის გადაჭრაში, სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართვა შეიძლება მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, ხოლო სამედიატორო სასამართლოზე დავის გადაცემა წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის და არ გასაჩივრდება. დამთავრებული საქმეები ბარდება შესანახად სახელმწიფო არბიტრაჟს, რომელიც იმყოფება იმ ადგილას, სადაც გაირჩა საქმე; თუ მხარე აარიდებს თავს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას შესრულებას, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს იმ სახელმწიფო არბიტრაჟს, სადაც ინახება საქმე, და მოითხოვოს ბრძანების გაცემა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი წესით სისრულეში მოყვანისათვის. სახელმწიფო არბიტრაჟი გასცემს ბრძანებას იმ შემთხვევაში, თუ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონს.

სამედიატორო სასამართლოში წარმოებულ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება არ წარმოებს.

ასეთია სამედიატორო სასამართლოს მიერ დავების განხილვის დროებითი წესების მოკლე შინაარსი, რომლებიც გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა შეიცავენ კიდევ მთელ რიგ სხვადასხვა პირობებს, რომელთა მიზანია მოაწესრიგოს და განამტკიცოს სამედიატორო სასამართლოს მუშაობა.

პრაქტიკულად სამედიატორო სასამართლოები უკვე იხილავენ საქმეებს რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ ოლქებში, ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში, ყაზახე-

თის სსრ-ში, ბაშკირეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. არსებული ცნობები მოწმობენ, რომ დავების განხილვის ამ ფორმამ საკლებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში მიუხედავად აშკარა პრაქტიკული მიზანშეწონილობისა ჯერჯერობით არ შეკრებილა არც ერთი სამედიატორო სასამართლო.

ჩვენი აზრით, ეს უნდა მივაწეროთ სათანადო განმარტებითი მუშაობის ჩატარებლობას, და იმას, რომ მთავრობის დადგენილება სამედიატორო სასამართლოების შესახებ და დავების განხილვის დროებითი წესები არ არის დაყვანილი საწარმოებსა და ორგანიზაციებამდე.

სამედიატორო სასამართლოებს უთუოდ დასჭირდება დახმარება იმ მხრივ, რომ დავები, რომლებიც განიხილება ამ წესით უნდა იქნენ გადაწყვეტილი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად; ამიტომ მედიატორებად არჩეულ პირებს დასჭირდებათ გაცნობა მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციებისა და არბიტრაჟის პრაქტიკისა; ასეთ დახმარებას განახორციელებს სახელმწიფო არბიტრაჟი, რომელიც მზად არის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამედიატორო სასამართლოებს მათ ნაყოფიერ მუშაობაში.

## თ. ღაღინი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან  
 არსებული არბიტრაჟის უფროსი  
 კონსულტანტი.



# სახელმწიფო არბიტრაჟის დახელების ნაწილობრივ შეწყვეტილი საკითხისათვის

პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი პერიოდის ღონისძიებებმა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ, განაპირობეს სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებების შემდგომი გადიდების, მისი სტრუქტურის გარდაქმნისა და მართვის დემოკრატიზაციის აუცილებლობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 ივლისის დადგენილების შესაბამისად „სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის უფლება მიეცა პროდუქციის მიწოდების განსაკუთრებული პირობების დამტკიცებისა, რის უფლებაც ადრე მინიჭებული ჰქონდათ ცალკეულ სამინისტროებსა და მინისტრთა საბჭოებს. სახალხო სასამართლოების წარმოებიდან ამოღებული იქნა და განსახილველად გადაეცათ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს რკინიგზის გადაზიდვებთან დაკავშირებული დავები, სოცუზრუნველყოფის განყოფილებების რეგრესიული საჩივლების განხილვა და სხვა.


გაიზარდა რესპუბლიკური არბიტრაჟის ფუნქციები. საკავშირო არბიტრაჟის ქვემდებარეობიდან ამოღებული იქნა და რესპუბლიკურ არბიტრაჟის განხილვას დაექვემდებარა დავები 10000 მანეთამდე თანხაზე, ნაცვლად ადრე არსებული 5000 მანეთისა, წინასახელმეკრულებო დავები 1 მილიონ მანეთამდე თანხაზე, აგრეთვე ის დავები, რომლებსაც რესპუბლიკის არბიტრაჟს განსახილველად დაუქვემდებარებს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი.

არბიტრაჟის ორგანოების კომპეტენ-

ციათა ასეთმა გაზრდამ თავისთავად გამოიწვია ამ ორგანოთა სტრუქტურის გარკვეული ცვლილება და არბიტრაჟის მართვის შემდგომი დემოკრატიზაცია.

ეს ცვლილება უპირველეს ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1960 წლის 17 აგვისტოს დამტკიცებული დებულების მიხედვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღარ წარმოადგენს აღნიშნული არბიტრაჟისათვის სახელმწიფო ინსტანციას, როგორც ეს აქამდის არსებული დებულებით იყო დადგენილი.

ახალი დებულების 21 მუხლით კი გათვალისწინებულია სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის შექმნა მთავარი არბიტრის, მისი მოადგილეებისა და არბიტრაჟის სხვა კვალიფიციური მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიას მინიჭებული აქვს ფართო უფლებები: იგი თავის სხდომებზე განიხილავს სსრ კავშირის მთავრობის იმ დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულების საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის მიწოდებასთან, მის ხარისხსა და კომპლექტურობასთან, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება კუთხურობისა და ვიწრო — უწყებრივი ტენდეციების გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან და საწარმოთა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობაში არსებული სოციალისტური კანონების დარღვევის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებთან. გარდა ამისა, განიხილავს პროდუქციისა და საქონლის მიწოდების დებულების გამოყენების შესახებ განმარტებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, აგრეთვე არბიტრაჟის ორგანიზა-



ციის განსაკუთრებულ საკითხებს და მოისმენს სახელმწიფო არბიტრების ანგარიშებს დავების გარჩევაზე მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დებულების ამ მუხლში ნათლად არის ნათქვამი ყველა იმ უფლების შესახებ, რაც არბიტრაჟს მიენიჭა მისი რეორგანიზაციის შედეგად და ჩვენს მიერ კომენტარიებს არ მოითხოვს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟების დებულებების შესწავლამ გვაჩვენა, რომ აღნიშნულ დებულებები ძირითადად გამოდიან იმავე პრინციპებიდან, რაც მოცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის დებულებაში. კერძოდ, თითქმის არც ერთმა დებულებამ არ გაითვალისწინა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის საზედამხედველო ინსტანციას წარმოადგენს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. დებულებების უმრავლესობამ კი გაითვალისწინა სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიების შექმნა შესაბამისად საკავშირო არბიტრაჟის ზემოთ მოხსენებული სტრუქტურისა.

ერთადერთი დებულება, რომელმაც არ გაითვალისწინა სახელმწიფო არბიტრაჟის გარდაქმნა ახლებურად, არის დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის შესახებ. აღნიშნული დებულება არ ასახავს იმ ახალს, რაც არბიტრაჟის ორგანოების მუშაობაში შეიტანა საკავშირო მთავრობის ზემოთ მოხსენებულმა დადგენილებებმა. დებულების მე-19 მუხლის მიხედვით, განცხადებანი არბიტრაჟის გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესახებ შეიძლება შეტანილი იქნას დაინტერესებული საწარმოებისა, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მათი ზემოდადგომი ორგანოების მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის მთავარი არბიტრის სა-

ხელზე 1 თვის ვადაში გადაწყვეტილების გამოტანიდან. მაშასადამე, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ სახარბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საჩივრდება მთავარი არბიტრის წინაშე და ეს უკანასკნელი წარმოადგენს საზედამხედველო ინსტანციას.

ამავე დებულების მე-20 მუხლი კი განმარტავს, რომ „ზედამხედველობას სახარბიტრაჟის საქმიანობაზე ანხორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრთა საბჭოს წინაშე საკითხების დაყენების უფლება მინიჭებული აქვთ იმ პირებს, წარმოებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც საერთოდ აქვთ მინიჭებული მინისტრთა საბჭოში საკითხის უშუალოდ დაყენების უფლება. გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნას სახარბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანისა ანდა მთავარი არბიტრის მიერ გადაწყვეტილების გადასინჯვიდან 1 თვის განმავლობაში“.

გამოდის, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებისადმი ზედამხედველობა ორსაფეხურიანია, ამასთანავე უნებლიედ ხანგრძლივდება გასაჩივრებისათვის დაწესებული ვადები 2 თვით: ერთი თვე მთავარი არბიტრის წინაშე და 1 თვე მთავრობის წინაშე გასაჩივრებისათვის. რატომ მოხდა ასე? ჩვენი აზრით, ახალმა დებულებამ სცადა გადმოეღო ის ახალი, რაც გათვალისწინებულია საკავშირო არბიტრაჟის დებულებაში ე. ი. ზედამხედველობის ფუნქციები გადაეცა მთავარი არბიტრისათვის. ამავე დროს კი ვერ გამოიჩინა თანმიმდევრობა და გამბედაობა და მინც გაითვალისწინა მინისტრთა საბჭოს ზედამხედველობა არბიტრაჟის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

ისმის კითხვა, საჭიროა თუ არა საქართველოს არბიტრაჟის რეორგანიზაცია და მაშასადამე დებულების ზემოაღნიშნული მუხლების შესწორება?

კითხვაზე უეჭველად დადებითად უნდა უბასუხოთ მრავალი მოტივების გამო:

მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ ის გარემოება, რომ ასეთი რეორგანიზაცია მოახდინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახარბიტრაჟო და ყველა რესპუბლიკის არბიტრაჟებმა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეორგანიზაციის აუცილებლობა ნაკარნახევი ცხოვრების მიერ, თვით არბიტრაჟის ყოველდღიური საქმიანობით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ საკავშირო არბიტრაჟში (და ზოგიერთი რესპუბლიკების არბიტრაჟებში: რუსურ, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი) შეიქმნა კოლეგიები მთავარი არბიტრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილისა და კვალიფიციური სახელმწიფო არბიტრების შემადგენლობით. აღნიშნული კოლეგიები უაღრესად სასარგებლო მუშაობას აწარმოებენ: ანხორციელებენ არბიტრაჟის მუშაობის კოორდინაციას, ღებულობენ ყველა ზემდგომი ორგანიზაციების მიერ გამოცემული დადგენილებებს პრაქტიკულად განხორციელების ღონისძიებებს, მოისმენენ ცალკეული სახელმწიფო არბიტრების ანგარიშებს, რითაც ხელს უწყობენ ცალკეული ხასიათის დავებზე ერთნაირი პრაქტიკის გამოქვეყნებას და სხვა.

კოლეგიის შექმნა არბიტრაჟის მართვის დემოკრატიზაციის საუკეთესო ღონისძიებაა, რადგან თუ კი ადრე ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და არბიტრაჟის მუშაობის კოორდინაციის ღონისძიებებს ღებულობდა მხოლოდ მთავარი არბიტრი ერთპიროვნულად, კოლეგიის შექმნის შემდეგ აღნიშნულ ფუნქციებს განხორციელებს ეს უკანასკნელი და რადგან კოლეგიაში გაერთიანებული იქნებიან არბიტრაჟის კვალიფიციური, წამყვანი მუშაკები ვასაგებია, რომ ყველა მიღებული ღონ-

ისძიება შეუდარებლად სრულყოფილი იქნება. რით შეიძლება დავასაბუთოთ ასეთი მოთხოვნისადმი წინააღმდეგობა? აბსოლუტურად არაფრით. კოლეგიის შექმნა არ მოითხოვს რაიმე დამატებით ხარჯებს.

ჩვენი მოსაზრებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებულო, როგორც არბიტრაჟის საქმიანობისადმი მინისტრთა საბჭოს ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის გაუქმების მოთხოვნა. მინისტრთა საბჭო აუცილებლად დარჩება, როგორც საერთო ზედამხედველი სახელმწიფო არბიტრაჟისადმი, რადგან სახელმწიფო არბიტრაჟი მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ორგანოს წარმოადგენს. ჩვენი წერილის აზრი გამოიხატება იმაში, რომ აღარ იქნეს მინისტრთა საბჭო მიჩნეული ე. წ. საზედამხედველო ინსტანციად სახარბიტრაჟისადმი და მთავრობის განხილვის საგნად მომავალში გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი განსაკუთრებულად პრინციპიული საკითხები, რომლებსაც მინისტრთა საბჭოში განსახილველად სახალხო მეურნეობის საბჭო და ცალკეული დაინტერესებული სამინისტროები შეიტანენ.

პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი პერიოდის ყველა გადაწყვეტილება ჩვენს მიერ მოყვანილი არგუმენტების სასარგებლოდ ლაპარაკობს, სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებების გაფართოებისა და მისი მართვის შემდგომი დემოკრატიზაციის მოთხოვნა საკავშირო და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან გამომდინარეობენ, ისინი თვით ცხოვრების მიერაა ნაკარნახევი და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ.

**ზ. მამისაშვილი,**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრი.

# სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მაისის

## დადგენილება № 5

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე  
სასამართლო პრაქტიკის შესახებ

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება არის ხელყოფა სოციალისტური საკუთრებისა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს. გადამწყვეტი ბრძოლა ამ საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიში დანაშაულის წინააღმდეგ სასამართლო ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგები მოწმობენ, რომ სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად წყვეტენ ამ საქმეებს. ამასთან ერთად, სასამართლოების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ასუსტებენ ამ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებისა, არ უფარდებენ სისხლის სამართლის სასჯელის მკაცრ ზომებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში დამნაშავე პირებს, დატაცების ორგანიზატორებსა და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს.

ჭერ კიდევ ყოველთვის არ ხდება საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა სასამართლო პროცესებისადმი ამ საქმეებზე. ზოგჯერ ისეთი საქმეებიც კი, რომლებიც შეეხება დიდი ოდენობითა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას და მოითხოვენ ფართო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას, იხილება იმ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ვასკლის გარეშე, სადაც ჩადენილი იქნა ეს დანაშაულობანი. სასამართლოები ჭერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ დანაშაულობათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოაშკარა-

ვებას. იშვიათად ხდება კერძო განჩინებების გამოტანა იმ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ხელს უწყობდენ ამ დანაშაულთა ჩადენას. სასამართლოები არასაკმარისად იყენებენ დატაცების თავიდან აცილებისაკენ მიმართულ მუშაობის ისეთ ფორმასაც, როგორცაა გადაცემა საქმეთა განხილვის დროს დადგენილი მონაცემებისა აღრიცხვიანობის ჩაშლის, უყაირათობის სხვადასხვა გამოვლინებათა და დატაცების ხელშემწყობ სხვა გარემოებათა შესახებ იმ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების მშრომელთა კოლექტივების განსახილველად, სადაც ჩადენილი იქნა ეს დანაშაულობანი. შედეგები სასამართლო პროცესებისა საქმეებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შესახებ ჭერ კიდევ არასაკმარისად უქმდება პრესაში, და რადიოში. ამის გამო, სასამართლოების მუშაობა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მუშაყენარებლობის გარემოს შექმნას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას.

სასამართლოები ყოველთვის არ აქცევენ ყურადღებას წინასწარი გამოძიების მასალების არასისრულეს და არ ახდენენ იმ საქმეთა გადაცემას დამატებითი გამოძიებისათვის, რომელთა განხილვისას ღვინდება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არ არის მიცემული დატაცებაში დამნაშავე ყველა პირი და არ არის გამოაშკარავებული სამართალში მიცემულთა დანაშაულებრივი საქმიანობის ყველა ეპიზოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეები უბრუნდება დამატებით გამოძიებას შეგროვილი მასალების არასისრულის ან ცალმხრივობის გამო, ზოგჯერ დაწვრილებით არ ხდება იმაზე მითითება, თუ კონკრეტულად რა უნდა იქნეს გამორკვეული.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დამოუკიდებელ შემაღგენლობათა

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო

სახით ითვალისწინებს დატაცების სხვადასხვა ფორმებს, აგრეთვე ახლებურად წყვეტს თანამონაწილეობის, დატაცების დამამძიმებელ გარემოებათა და სხვა მისთ. საკითხებს. ეს მოითხოვს ყურადღების გაზრდას იმ პირთა მოქმედებების სამართლებრივი შეფასებისადმი, რომლებსაც ბრალი ედებათ დატაცებაში. ზოგერთი სასამართლო არ ითვალისწინებს ამას და არ ირკვევს თუ რა ფორმით იქნა ჩადენილი დატაცება, მხედველობაში არ ღებულობს ამ დანაშაულის დამამძიმებელ ნიშნებს, ან შეცდომით აკვალიფიცირებს დატაცებას, როგორც ხელისუფლების თუ სამსახურებრივი მფლობელების ბოროტად გამოყენება, დაუღებლობა, წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, თვითნებობა და სხვა. კვალიფიკაციის საკითხისადმი არასაკმაო ყურადღების მიქცევას რიგ შემთხვევებში იქამდეც მივყევართ, რომ კანონებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას დატაცებისათვის, მსჯავრი ედებათ თანამდებობრივი ან სხვა დანაშაულის ჩამდენ პირებს.

მრავალი შეცდომა, რომლებიც გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში, დაკავშირებულია დატაცების ცალკეულ ფორმათა არასწორ გამიჯვნასთან. მითვისების ან გაფლანგვის ნიშნების დადგენისას სასამართლოები ზოგჯერ მხედველობაში არ ღებულობენ, რომ განსაკუთრებული ხასიათი ამ დანაშაულისა გამოიხატება იმაში, რომ ქონება, რომლის დატაცებაც ხდება, იმყოფება დამნაშავეს მართლწოდებით მფლობელობაში. ამის შედეგად ზოგერთი სასამართლო დაუსაბუთებლად აკვალიფიცირებს როგორც — მითვისება ან გაფლანგვა — ისეთ პირთა მოქმედებებს, რომელთათვისაც თუმცა ხელმისაწვდომი იყო ქონება, რომლის დატაცებაც ხდება, ან რომლებიც იყენებდნენ ასეთი თავიანთი საწარმოო საქმიანობის დროს, მაგრამ არ გააჩნდათ არავითარი უფლებაშეიძლება ამ ქონების განკარგვის, გამგებლობის, დაცვისა და სხვა მისთ. საქმეში, რის გაჩემუდაც არ შეიძლება ცნობილი იქნეს, რომ ეს ქონება დამნაშავეს მართლწოდებით მფლობელობაში იმყოფებოდა (მინდობილი ჰქონდა მას ან იმყოფებოდა მის გამგებლობაში). ადგილი აქვს სხვა ისეთი ხასიათის შეცდომებსაც, როცა დამნაშავესათვის მინდობილი, ან მის გამგებლობაში იმყოფი ქონების დატაცება უსაფუძვლოდ კვალიფიცირდება არა როგორც მითვისება ან გაფლანგვა, არამედ როგორც ქურდობა.

სხვადასხვანაირად წყდება აგრეთვე საკითხი იმ პირთა მოქმედებების კვალიფიკაციის შესახებ, რომლებიც არ ეკუთვნიან რსუხარ სსკ მშხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა


სუბიექტების წრეს, მაგრამ მონაწილეობდნენ დანაშაულთა ჩადენაში იმ პირებთან ერთად, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებოდა ქონება, რომლის დატაცებაც ხდება.

ადგილი აქვს შეცდომების დაშვებას იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ საქმეების განხილვისას, რომლებმაც თავიანთ საკუთრებად აქციეს ქირით აღებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება. სასამართლოები ზოგჯერ მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ უკეთეს დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო ქირით აღებული ქონების უსაყიდლოდ დაპატრონებისაკენ, მაშინ ასეთი მოქმედებები წარმოადგენენ ამ ქონების დატაცებას. ამასთანავე ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლოები მხედველობაში არ ღებულობენ იმას, რომ ქირით აღებული ქონების დაუბრუნებლობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან თავის არიდების განზრახვის გარეშე, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობას, არამედ არის ხელშეკრულების პირობათა დარღვევა და იწვევს სათანადო ინსტრუქციებით სტელიურად გათვალისწინებულ სამოქალაქო-სამართლებრივ სანქციათა გამოყენებას.

ჯერ კიდევ გვხვდება შეცდომები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების საქმეებზე. წვრილმანი დატაცებაშირად კვალიფიცირდება; როგორც დატაცება მნიშვნელოვანი ოდენობით, ხოლო ეს უკანასკნელი — როგორც წვრილმანი.

სხვადასხვანაირად წყდება საკითხი არაერთგზის ან სისტემატიურ წვრილმან დატაცებათა კვალიფიკაციის შესახებ ისეთ შემთხვევაში, როცა დატაცებული ქონების საერთო ოდენობა მნიშვნელოვანია. რიგი სასამართლოებისა ასეთ მოქმედებებს ყველა შემთხვევაში აკვალიფიცირებენ, როგორც არაერთგზისი წვრილმანი დატაცება, მეორენი — როგორც ერთი დატაცება მნიშვნელოვანი ოდენობით. ზოგერთი სასამართლო მსგავს დანაშაულებებს აკვალიფიცირებს როგორც განუყოფელი დატაცება მნიშვნელოვანი ოდენობით.

ასეთი წინააღმდეგობანი იმით არის განპირობებული, რომ არაერთგზისი წვრილმან დატაცებათა შესახებ საქმეების განხილვისას სასამართლოები ხშირად გამოდიან დატაცებული ქონების მხოლოდ საერთო ოდენობიდან დაღირებულებიდან, უგულვებელყოფენ რა იმის აუცილებლობას, რომ გულმოდგინედ იქნეს გამოაშკარავებული — ერთიან განკრძობით დანაშაულს შიადგენდა დამნაშავეს მოქმედებანი, თუ ჩამდენიმე დამოუკიდებელ წვრილმან დატაცებას, რომლებიც ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული ერთიანი განზრახვით.



სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზედაც, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არაერთგზისი დატაცება, რომელთა გამოც არ ყოფილა გამოჩანილი განაჩენი, უკეთეს საბოლოო ჯამში დატაცებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება.

ზოგჯერ სასამართლოები შეცდომით აკვალიფიცირებენ როგორც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონების შეძენა, ისეთ მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია დატაცებისათვის წაქეზებასთან ან შენახვის ადგილიდან იმ ქონების ამოღებაში დანაშაულის ამსრულებლისათვის ხელის შეწყობასთან, რომლის დატაცებაც ხდება, აგრეთვე ისეთ მოქმედებებს, რომლებიც შეიცავენ წინასწარ შეუპირებული დაფარვის ნიშნებს. სასამართლოები ზოგჯერ არც იმას ითვალისწინებენ, რომ წინასწარ შეპირებული რეალიზაცია წინასწარი შეცნობით დატაცებული ქონებისა წარმოადგენს დატაცებაში თანამონაწილეობას.

სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილია აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის კანონის გამოყენებას სოციალისტური ქონების დატაცების საქმეებზე. ზოგიერთი სასამართლო მხედველობიდან უშვებს იმას, რომ მოთხოვნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების შესახებ არ გამორიცხავს სასჯელის ზომების დანიშვნისადმი დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას საქმის კონკრეტულ გარემოებათა, დანაშაულის პიროვნების შესახებ მონაცემებისა და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების §2-ე მუხლი). ამის გამო, საშიშ დანაშაულებათა მიმართ სასჯელის მკაცრი ზომების სწორად გამოყენებასთან ერთად სასამართლოები ზოგჯერ საკმაოდ აუცილებლობის გარეშე უსჯიან თავისუფლების აღკვეთას იმ პირებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დატაცება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, რომლის ღირებულება არ შეადგენს დიდ თანხას. ამასთანავე სასამართლოები მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ გამოსწორება პირებისა, რომელთაც ბრალი მიუძღვით ასეთ დანაშაულთა ჩადენაში, შესაძლებელია მათ მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენების ან სასჯელის ისეთ დონისძიებათა დანიშვნის გზით, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე მათ მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისა და ხელახლა აღსაზრდელად და გამოსწორებლად

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისადმი გადაცემის გზით.

ზოგიერთი სასამართლო მხედველობიდან უშვებს იმას, რომ დატაცების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შესახებ საქმეთა განხილვისას. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა სასამართლოები არ ანწორებენ მოკვლევისა და გამოძიების ორგანოთა მიერ დაშვებულ დარღვევებს, არ ღებულობენ დონისძიებებს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად. ზოგჯერ დატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოვალეობა არ ეკისრება ამ დანაშაულის ისეთ მონაწილეებს, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა პირობითი მსჯავრი. წინააღმდეგ იმ განმარტებისა, რომელსაც შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1955 წლის 29 სექტემბრის დადგენილება „ქონების კონფისკაციის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, ხშირად სასამართლოების უსწორო მითითების საფუძველზე პირველ რიგში ხდება აღსრულება განაჩენისა ქონების კონფისკაციის ნაწილში, მაშინ, როცა დატაცებით მიყენებული ზარალი აუნაზღაურებელი რჩება. ბევრი მოსამართლე უსუსტად აზორციელებს კონტროლს სასამართლო აღმასრულებლების საქმიანობისადმი დატაცების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად თანხების ამოღების დარგში.

იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილ იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებანი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში აღაგენს მიეცეს სასამართლოების შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ დანაშაულს, რის გამოც ბრძოლა მის წინააღმდეგ შეადგენს სასამართლო ორგანოების მნიშვნელოვან ამოცანას. სასამართლოების მუშაობა ამ საქმეთა განხილვისას მიმართული უნდა იქნას შეუწყნარებლობის გარემოს შექმნისაკენ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას; იგი უნდა ემყარებოდეს სოციალისტური კანონიერების უსუსტად დაცვას, რათა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ყოველი დამტაცებელი დაისაჯოს კანონის შესაბამისად და ადგილი არ ექნას ისეთ პირთა დასჯის შემ-

თხვევებს, რომლებსაც ბრალო არ მიუძღვით ამ დანაშაულში.

2. იმის მხედველობაში მიღებით, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს რამდენიმე პირის ხანგრძლივ დანაშაულებრივ საქმიანობას, სასამართლოებმა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას განსაკუთრებული გულშემატკივრობით უნდა გამოიკვლიონ ჩადენილი დანაშაულის გარემოებანი, რათა მხილებულ იქნეს ყველა დანაშაულებრივი პირი, გამოყვანილად მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ყველა ეპიზოდი, აგრეთვე დადგინდეს ყველა სხვა გარემოება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ესეთ შემთხვევაში, როცა წინასწარი გამოძიება არასრულია და იგი არ შეიძლება შევსებულ იქნეს სამსჯავრო სხდომაზე, საქმე უნდა გადაეცეს დამატებით გამოძიებას და განჩინებაში აღინიშნოს, თუ კონკრეტულად რომელი გარემოების გამოკვლევა საჭიროა.

3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შესახებ საქმეთა განხილვამ უნდა უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლის სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში დამნაშავე პირთა, დატაცების ორგანიზატორთა, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა მიმართ.

იმ პირთა მიმართ სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნის დროს, რომლებსაც ბრალო მიუძღვით განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილებაში მოცემული განმარტებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების გამოყენების შესახებ.

ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის კანონი ითვალისწინებს ქონების კონფისკაციის დანიშვნის შესაძლებლობას, აგრეთვე როცა ეს დანაშაული დამნაშავე პირთა მიერ ჩადენილია თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გაოყენებით ან განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სასამართლოები მოვალენი არიან იმსჯელონ ქონების კონფისკაციის შეფარდებისა და დამნაშავე პირთათვის გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის საკითხის ირგვლივ.

უკეთეს კანონი, რომლითაც კვალიფიცირდება ჩადენილი დატაცება, ითვალისწინებს დამატე-

ბითი სასჯელის ღონისძიების სავალდებულო შეფარდებას, სასამართლოს, ნიშნავს რა იგი ძირითადად სასჯელს, შეუძლია გაათავისუფლოს მსჯავრდებული დამატებითი სასჯელისაგან მხოლოდ იმ პირობების არსებობისას, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 87 მუხლში, ამასთან მან აუცილებლად უნდა მიუთითოს მიღებული გადაწყვეტილების მოტივებზე.

4. დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის უფრო ფართოდ ჩაბმისა და სასამართლოს პროცესების აღწერდლობითი მნიშვნელობის გაზრდის მიზნით საჭიროა, რომ სასამართლოებმა უფრო ხშირად ჩაატარონ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვა იმ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში გახვლით, სადაც ჩადენილია ეს დანაშაულობანი; უფრო ფართოდ ჩააბან ასეთ საქმეთა განხილვაში საზოგადოებრივი ბრალდებლები და საზოგადოებრივი დამცველები, აგრეთვე გააშუქონ პროცესების შედეგები პრესაში და რადიოში.

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შესახებ საქმეთა განხილვისას სასამართლოები რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად, მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ დანაშაულობათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოკვლევას. ასეთ გარემოებათა დადგენის შემთხვევაში სასამართლოებმა მათ შესახებ კერძო განჩინებით უნდა აცნობონ სათანადო სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხოლო საჭირო შემთხვევაში უნდა დასვან საკითხი დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიცემის ან მათ მიმართ სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. საქმეთა განხილვის დროს დადგენილი მონაცემები აღრიცხვის მიშვებულობის, უყარათობის სხვადასხვა გამოვლინებათა და სხვა ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყო დატაცებას, საჭიროა განსახილველად გადაეცეს იმ საწარმოს, კოლმეურნეობისა და დაწესებულების მშრომელთა კოლექტივს, საოჯარო ჩაოინილი იქნა დატაცება.

6. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დამოუკიდებელ დანაშაულთა შემადგენლობების სახით ითვალისწინებს დატაცების სხვადასხვა ფორმებს და აგრეთვე ახლებურად წყვეტს თანამონაწილეობის, დატაცების მკვალიფიცირებელი ნიშნებისა და

სხვა მისთ. საკითხებს სასამართლოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ დატაცების ფორმებისა და ხერხების გამორკვევას და სხვა ისეთ გარემოებათა დადგენას, რომლებზედაც დამოკიდებულია დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაწყვეტა, მის მოქმედებათა კვალიფიკაცია და სასჯელის ზომის დაწინაშე.

სასამართლო პრაქტიკაში გამოირიცხული უნდა იქნეს შემთხვევები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების დაკვალიფიცირებისა სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებით, რომლებიც სხვა დანაშაულობებისათვის ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას, აგრეთვე დატაცებისათვის იმ პირთა უსაფუძვლოდ დასჯის შემთხვევები, რომლებმა ჩაიდინეს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, დაუდევრობა, თვითნებობა, დაფარვა წინასწარი შეპირების გარეშე ან სხვა დანაშაულობანი.

7. განემარტოს სასამართლოებს, რომ ქურდობისაგან განსხვავებით მითვისება ან გაფლანგვა ხასიათდება იმით, რომ დამნაშავე იყენებს თავის უფლებამოსილებას იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მიმართ, რომლის დატაცებაც ხდება.

როგორც მითვისება ან გაფლანგვა მინდობილი თუ გამგებლობაში მყოფი ქონებისა, უნდა დაკვალიფიცირდეს ანგარების მიზნით იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ გადაქცევა თავის ან სხვის საკუთრებად, რომელიც დამნაშავის მართლწოდებულ მფლობელობაში იმყოფებოდა. ასეთი ქვემოთ აღუთმისებმა ქონება, რომლის მიმართაც პირი თანამდებობრივი მოვალეობების, ხელშეკრულებითი ურთიერთობების თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სპეციალური დავალების გამო ასრულებს განსაზღვრულ უფლებამოსილებას განკარგვის, მართვის, შენახვისა და სხვ. საქმეში (მაგალითად, ქონება, რომელიც იმყოფება საწყობის გამგის, მომარაგების აგენტის, გამყიდველის, მოლარის და სხვათა მფლობელობაში).

დატაცება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც არ გააჩნია განსაზღვრული უფლებამოსილება ქონების მიმართ, რომელსაც ის იტაცებს, არამედ შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ამ ქონებით დავალეული სამუშაოს შესრულების დროს (მაგალითად, მუშის მიერ ნედლეულის ან მზა პროდუქციის დატაცება წარმოებაში, კოლმეურნის ან საბჭოთა მეურნეობის მუშის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცება), აგრეთვე იმ პირის მიერ, რომლისთვისაც მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ბელმისაწვდომია უშუალოდ სხვისთვის მინ-

დობილი ქონება (მაგალითად, დატაცება ჩადენილი კომენდანტის, სახანძრო-საგუშაგო დატაცის უფროსისა და სხვათა მიერ), დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს არა როგორც მითვისება ან გაფლანგვა, არამედ როგორც ქურდობა.

8. თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რაც გამოიხატება ანგარების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების თავის საკუთრებად უკანონო გადაქცევაში უნაცვალგებოდ ან იმავე მიზნით სხვის საკუთრებად გადაქცევაში, განხილული უნდა იქნეს როგორც დატაცება და დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ 92 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით.

სასამართლოებმა დანაშაულის ამ შემადგენლობისაგან უნდა განასხვავონ სამსახურებრივი მდგომარეობის ისეთი ბოროტად გამოყენება, რომელიც თუმცა ანგარების მოტივით არის ჩადენილი და მატერიალურ ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგრამ დაკავშირებული არ არის სოციალისტური ქონების ან სხვის საკუთრებად გადაქცევასთან (მაგალითად, თავისთვის ანგარების შეტანის გზით იმ დანაკლისის დაფარვა, რომელიც დაუდევრობის შედეგად წარმოიშვა).

9. თანამდებობის პირის მიერ პრემიის, ხელფასის წანამატის, აგრეთვე პენსიის, დახმარებისა და სხვა განაცემის სახით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების განწარხ უკანონოდ მიღება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, რაც ამ მიზნით იყო ჩადენილი, დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს რსფსრ სსკ 92 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით.

ამავე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანხების წინასწარი შეცნობით უკანონოდ დანიშვნა ან გაცემა ანგარების მიზნით იმ პირებზე, რომლებსაც არა აქვთ ამ თანხების მიღების უფლება.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლის მიზანს არ შეადგენდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების უნაცვალგებოდ მიღება ან გაცემა, მაგრამ რომელსაც შემდგომ შედეგად მოჰყვა პრემიის, ხელფასის წანამატისა და სხვა ფულადი თანხის მიღება ან გაცემა (მაგალითად, სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატების, გეგმების შესრულების შესახებ ყალბო საანგარიშო მონაცემების წარდგენისა და სხვ. გზით), საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს იმ კანონებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას თანამდებობ-

რივი ან სამეურნეო დანაშაულისათვის. ამასთანავე, მატერიალური ზარალი ანაზღაურებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით.

10. კერძო პირის მიერ მოტყუების ან ნღობის ბოროტად გამოყენების შედეგად სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების განწარახ უკანონოდ მიღება პენსიის, დახმარების ან სხვა გასაცემი თანხის სახით, დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება თაღლითობის გზით. ამასთანავე, იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც ამ მიზნით გასცეს კერძო პირებზე წინასწარი შეცნობით ყალბი საბუთები, პასუხი უნდა აკონ ადნიშნულ დატაცებაში დახმარებისა და თანამდებობრივი სიყალბისათვის.

11. განმარტებული იქნეს, რომ არათანამდებობის პირები, აგრეთვე ის პირები, რომელთათვისაც ქონება არ მიუხდევიათ ან არ გადაუციათ გამგებლობაში, რსფსრ სსკ 92 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში პასუხს აგებენ ამ მუხლებით. ამასთანავე, უკეთუ აღნიშნული პირებმა დატაცება ჩაიდინეს რსფსრ სსკ 92 მუხლში მითითებულ პირებთან წინასწარი შეთანხმებით, მათი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დატაცებული ქონება დიდი ოდენობისაა—მე-3 ნაწილით. თანამონაწილეობის დანარჩენ შემთხვევაში ამ პირთა პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს რსფსრ სსკ 17—92 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებით.

12. წინასწარი შეცნობით ფიქტიური შრომითი შეთანხმების ან სხვა ხელშეკრულების დადების გზით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების თავის საკუთრებად გადაქცევა იმ სამუშაოსა და მომსახურებისათვის ხელფასის საფარქვეშ, რომელიც ფაქტიურად არ შესრულებულა ან შესრულებული იქნა არასრული მოცულობით, რაც ჩადენილია თანამდებობის პირსა და იმ პირებს შორის წინასწარი შეთანხმებით, რომლებმაც ეს ხელშეკრულება დადეს, დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც სოციალისტური ქონების დატაცება, რომლისთვისაც პასუხს აგებს როგორც თანამდებობის პირი, ისე ის კერძო პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინასწარი შეთანხმებაში და მიიღეს ეს სახსრები. დამნაშავე პირთა აღნიშნული მოქმედებანი უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ 92 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლების მე-2 ნაწილით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დატა-

ცებული თანხა დიდი ოდენობისაა—ამ მუხლების მე-3 ნაწილით.

ამასთან ერთად, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ შრომითი შეთანხმებით ან სხვა ხელშეკრულებით სამუშაოსათვის ან მომსახურებისათვის საზღაურის გაზრდილი ოდენობის დაწესება თავისთავად არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. უკეთუ თანამდებობის პირის მიერ ანაზღაურება მოხდენილია თუნდაც ნიხრის გაზრდით, მაგრამ მის მხრივ ანგარებითი დანტერგების გარეშე, სამუშაოსა და მომსახურების შემსრულებლის მოქმედებანი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება განხილული იქნეს, როგორც კერძო მეწარმეობითი საქმიანობა ან კომერციული შუამავლობა, ხოლო თანამდებობის პირის მოქმედებანი — როგორც თანამდებობრივი დანაშაული.

13. წინასწარი შეცნობით ყალბი დოკუმენტების გამოყენების გზით გადასახადის ან სხვა საკვალდებულო ფულადი სახდურისაგან თავის არიდების შედეგად სახელმწიფოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენება უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ 94 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ასეთ მუხლს,—როგორც წინასწარი შეცნობით ყალბი დოკუმენტის გამოყენება ანგარების მიზნით.

14. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, რომელიც ჩადენილია ბანდიტიზმის ნიშნების არსებობისას, მოიცავს რსფსრ სსკ 77 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. ერთობლიობის მიხედვით, როგორც ბანდიტიზმი და დატაცების სათანადო ფორმა, დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს ბანდის მონაწილეთა მიერ ქონების დატაცების მხოლოდ ისეთი შემთხვევები, რომლებმაც ადგილი ჰქონდა ბანდის მიერ ჩადენილი თავდასხმის გარეშე.

15. დაუბრუნებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც მიღებული იყო ქირავნობის ხელშეკრულებით, იმ შემთხვევაში იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როცა დამნაშავეს განწარახული ჰქონდა ამ ქონების თავის საკუთრებად გადაქცევა მოტყუების ან ნღობის ბოროტად გამოყენების გზით. ასეთი მოქმედებები დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს რსფსრ სსკ 93 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით.

უკეთუ აღნიშნული მოქმედებანი არ შეიცავს ამ მუქლების ნიშნებს, პასუხისმგებლობა ქონების დაუბრუნებლობისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის წესით.

16. სასამართლოებმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების შესახებ საქმეთა განხილვისას მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ საკითხი იმის შესახებ — წვრილმანია თუ არა დატაცება, გადაწყვეტილი უნდა იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არა მარტო იმის გათვალისწინებით, თუ რა ღირებულებისაა დატაცებული ქონება, არამედ აგრეთვე, იმის მიხედვით, თუ როგორია ოდენობა ამ ქონებისა ნატურალური სახით (წონა, საგნების რაოდენობა და სხვ.).

წვრილმანი დატაცების ჩადენის შესახებ წინასწარი შეთანხმების არებობა, აგრეთვე დანაშაულის შესრულების ხერხი (ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება და სხვ.) არ წარმოადგენენ ისეთ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს წვრილმანი დატაცების დაკვალიფიცირებას, როგორც დატაცება მნიშვნელოვანი ოდენობით, უკეთუ განზრახვა არ იყო მიმართული ასეთ დანაშაულზე.

ისეთ შემთხვევაში, როცა ჩადენილია წვრილმანი დატაცება, მაგრამ საქმის მასალებით დადგენილია, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო მნიშვნელოვანი ოდენობით დატაცებაზე და ეს განზრახვა არ იქნა განხორციელებული დამნაშავისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მცდელობა მნიშვნელოვანი ოდენობით დატაცებისა.

17. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არაერთგვისი წვრილმანი დატაცება, ჩადენილი ერთსადამივე წყაროდან ან სხვა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოწმობენ დამნაშავის ერთიან განზრახვას, უკეთუ დატაცებული ქონების საერთო ოდენობა ჰარბობს იმ ფარგლებს, რაც დამახასიათებელია წვრილმანი დატაცებისათვის, განხილული უნდა იქნეს როგორც ერთიანი განგრძობითი დანაშაული და დაკვალიფიცირდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით როგორც ქურდობა, მითვისება ან სხვა ფორმა დატაცებისა მნიშვნელოვანი ან დიდი ოდენობით.

ვინაიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულება და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ ვაზრდილ პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის, მიუხედავად მისი ჩადენის ფორმებისა და ხერხებისა, ასეთი პა-

სუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ შემთხვევაში აც, როცა სხვადასხვა ფორმით იქნა დატაცებული განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება.

18. წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დატაცების ქვეშ გაგებული უნდა იქნეს ისეთი დატაცება, რომლის ჩადენაში მონაწილეობდა ორი ან მეტი პირი, რომლებიც წინასწარ, ე. ი. დატაცების დაწყებამდე შეთანხმდნენ ამ დანაშაულის ერთად ჩადენაზე.

19. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც განმეორებითი ყველა შემთხვევაში, როცა პირმა წინათ ჩადენა რსფსრ სსკ 89 მუქლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების შენიშვნებში მითითებული დანაშაულობანი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი გასამართლებული ამ დანაშაულთა ჩადენისათვის. დატაცება განმეორებითად უნდა იქნეს ცნობილი მიუხედავად იმისა, ერთსადამივე წყაროდან იყო ქონება დატაცებული თუ სხვადასხვა წყაროდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩადენილი ქმედობანი განხილული უნდა იქნეს როგორც ერთიანი განგრძობითი დანაშაული.

დატაცება არ შეიძლება დაკვალიფიცირებული იქნეს როგორც განმეორებითი, თუ დამნაშავეს ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის მოხსნილი აქვს ამნისტიით ან პატიების წესით, ან უკეთუ იგი (ნასამართლობა) გაქარწყლებულია ან მოხსნილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ დატაცების ჩადენის მომენტისათვის გასული იყო წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის დევნის ხანდაშულობის ვადა.

20. ისეთ შემთხვევაში, როცა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა დაკავშირებული იყო დატაცებისათვის წაქეზებასთან, დამნაშავის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ამ დანაშაულში თანამონაწილეობა. როგორც დატაცებაში თანამონაწილეობა უნდა დაკვალიფიცირდეს აგრეთვე წინასწარ შეპირებული შექმნა წინასწარი შეცნობით დატაცებული ქონებისა და ამ ქონების წინასწარ შეპირებული რეალიზაცია.

21. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სოციალისტური ქონების დატაცებელთა წინააღმდეგ გადაწყვეტი ბრძოლა გულისხმობს ლიფერენცირებულ მიღგომას სასჯელის ზომების დანიშვნისადმი საქმის კონკრე-

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

ტულ ვარემოებათა, დამნაშავეს პიროვნების შესახებ მონაცემების და იმ ვარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მ-2-ე მუხლი). სოციალისტური ქონების ბოროტ დამტაცებელთა მიმართ სასჯელის მკაცრი ზომების დანიშვნასთან ერთად, სასამართლოებმა იმ მიუთებიათ შესაბამისად, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილება „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა შეფარდების პრაქტიკის შესახებ“, იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დატაცება არა დიდი ოდენობით და რომლებსაც უნარი შესწევთ საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე დაადგენენ გამოსწორების გზას, უნდა გამოიყენონ ისეთი სასჯელის ზომები, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა ჩააბან საზოგადოებრიობა პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საქმეში და გადასცენ ისინი ამ მიზნით საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს ამის შესახებ შუამდგომლობათა არსებობის შემთხვევაში.

ამასთან ერთად, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ უკეთეს დატაცება თავისი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას, ჩანადენი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ უნდა იქნეს განხილული დანაშაულად.

22. მივითოს სასამართლოებს იმაზე რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხს და იმ მოთხოვნათა შესტად დაცვას, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის № 6 დადგენილება „დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის გადასდგენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნივთმტკიცების სახით ამოღებული ფული ან სხვა ფასეულობანი, რაც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მთლიანად არ ყოფილა მიქცეული დატაცებით მიყენებული ზარალის დასაფარავად, სასამართლოებმა რსფსრ სსსკ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად ისინი (ფული ან ფასეულობანი) უნდა ჩარიცხონ სახელმწიფო შემოსავალში.

23. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის დადგენილება № 5 „სასამართლოს პრაქტიკის თაობაზე „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების გამოყენების საქმეში“ და 1957 წლის 18 ივნისის დადგენილება № 9 „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორაკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. გრიშანინი



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტი  
და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის

# დადგენილება

1961 წ. 22 დეკემბერი № 483/25

ქ. მოსკოვი

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალის ანაზღაურების წესების დამტკიცების შესახებ, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მოუვიდათ დაშავებულობით ან ჯანმრთელობის რაიმე სხვა დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათს მუშაობასთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წ. 9 ოქტომბრის № 921 დადგენილების შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტი და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

დამტკიცებულ და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1962 წლის 1-ლ იანვრიდან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალს ანაზღაურების წესები, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მოუვიდათ დაშავებულობით, ან ჯანმრთელობის რაიმე სხვა დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათს მუშაობასთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
შრომისა და ხელფასის საკითხების  
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე  
ა. ვოლკოვი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო  
ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე  
ბ. ბრიზინი



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შიდა საქმეების განყოფილება და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კონტროლისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წ. 22 დეკემბრის № 483/25 დადგენილებაზე.

# წ ე ს ე ბ ი

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მოუვიდათ დაშავებულობით ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათ მუშაობასთან.

## ზოგადი დებულებანი

1. საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს ეცისრებათ ნატურალური პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მოუვიდათ დაშავებულობით ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათ მუშაობასთან:

- ა) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ტერიტორიაზე;
- ბ) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ტერიტორიის გარეშე მათ მიერ თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას, ასევე როცა ისინი მიემგზავრებიან სამუშაო ადგილას და სამუშაოდან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ტრანსპორტით.

ასეთი პასუხისმგებლობა დგება, თუ მუშის ან მოსამსახურის დაშავებულობას ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებას ადგილი ჰქონდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიზეზით.

2. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიზეზი მუშისა ან მოსამსახურისათვის ისეთი დაშავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანების მიყენების გამო, რაც დაკავშირებულია მის მუშაობასთან, დგინდება თვითი მუშის მიერ კონკრეტულ გარემოებათა და არსებულ მტკიცებათა მხედველობაში მიღებით. ასეთ მტკიცებებს, კერძოდ, წარმოადგენენ:

- ა) აქტი უბედურ შემთხვევაზე, რაც დაკავშირებულია წარმოებასთან;
- ბ) სასამართლოს გამამყენებელი განაჩენი;
- გ) საჯამომძიებლო ორგანოებისა და სასამართლოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის მოსაბოძაზე მცირემნიშვნელობის გამო ან ამნისტიის აქტთან დაკავშირებით;
- დ) დადგენილება ადმინისტრაციულ სასჯელის (ჯარიმის) აღდებაზე იმ ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს ან ზედამხედველობას

შრომის დაცვის მდგომარეობაზე, ან ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) დასჯენა დაშავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანების შესახებ;

ე) ბრძანება მოცემულ დაშავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებისათვის კონკრეტულ დამნაშავეებზე დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ;

ვ) პროფკავშირის საფარბაეო, საქარბნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რაც უნდა გაეცეს მუშას ან მოსამსახურეს დროებით შრომისუუნარობის გამო შრომით დაშავებულობასთან ან პროფესიულ დაავადებასთან დაკავშირებით.

3. ზარალს ანაზღაურება გამოიხატება დაზარალებულისათვის გამოქმედი იმ ოდენობით ფულადი თანხების გადახდაში, რაც მას დააკლდა შრომის უნარის დაკარგვის გამო მოცემული დაშავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად.

იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული დაშავებულობასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან დაკავშირებით დროებით ვადაყვანილ იქნება ნაკლებ ხელფასიან სამუშაოზე, მას შრომის უნარის აღდგენისა ან ინალიფობის დადგენის მომენტამდე მიეცემა განსხვავება უწინდელ ხელფასსა და ახლანდელ ხელფასს შორის ნაკლებ ხელფასიან სამუშაოს მიხედვით.

4. გარდა დაკარგული ხელფასისა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია დაზარალებულს აუნაზღაურებს აგრეთვე მისი მოვლის, დაპატრონობითი კვების, პროტეხის გაკეთების და სანატორიუმ-საკუროტო მკურნალობის (სამგზავრო ხარჯის ჩათვლით) და სხვა ხარჯებს, თუ საქვიმო-შრომითი საქმეებზე კომისია ცნობს, რომ მას ესაჭიროება დაზარალების ასეთი სახეები



ჯანმრთელობის მოცემულ დაზიანებასთან დაკავშირებით, და თუ ეს არ მიუღია ასეთი დაზიანება უფასოდ სათანადო საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან.

იმ დაზარალებულებს, რომლებიც ცნობილი არიან საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიების მიერ 1 ჯგუფის ინვალიდებად, დასკვნა მოვლის აუცილებლობაზე არ დასჭირდება.

5. ისეთ შემთხვევებში, როცა მუშავის დამავებულობა ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება შედეგი იყო არა მარტო იმისა, რომ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფდა შრომის უშიშროების პირობებს, არამედ თვით მუშავის ობიექტი გაუფრთხილებლობისა (ძველითა, სკაიკის მიერ მისთვის ცნობილი უშიშროების ტექნიკის წესების უხეზად დარღვევა), შეეფარდებოდა სერეული პასუხისმგებლობა.

სერეული პასუხისმგებლობის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საქმის კონკრეტულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, ადმინისტრაციისა და დაზარალებულის დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ამასთანავე დაზარალებულის დანაშაულის სიმძიმეს (პროცენტებში) დაადგენს ადმინისტრაცია პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის შრომის დაცვის კომისიის დასკვნის მხედველობაში მიღებით.

6. საწარმო, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია დაზარალებულის ან სხვა დაინტერესებულ პირთა განცხადების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რათა გადაუხადონ მუშას ან მოსამსახურეს, ხოლო მისი სიკვდალის შემთხვევაში, — შრომისუუნარო პირთ, რომლებსაც აქვთ ანაზღაურების მიღების უფლება (ამ წესთა მე-10 პუნქტი), სათანადო ფულადი თანხა.

უკეთეს დაზარალებული ან სხვა დაინტერესებული პირი არ დაეთანხმება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, დავას ანაზღაურების მიღების უფლებაზე ან მის რაოდენობაზე განიხილავს პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი.

უკეთეს დაზარალებული ან სხვა დაინტერესებული პირი ან ადმინისტრაცია არ დაეთანხმება პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, აგრეთვე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ იქნება პროფკავშირის კომიტეტი, დავას მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ განიხილავს სახალხო სასამართლო.

7. დაზარალებული მუშის ან მოსამსახურის მიერ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხს განსაზღვრავენ საექიმო-შრომითი საქსპერტო კო-

მისიები პროცენტებში, რასაც დაადგენს მოცემული დაზავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანების გამო უნარის დაკარგვასთან დაკავშირებით.

ექსპერტისაზე გზავნიან ადმინისტრაცია ან პროფკავშირის იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები, სადაც დაზარალებულმა მიიღო დაზავებულობა ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება.

ასეთივე წესით იგზავნიან შესაბამისებლად საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიაში ის პირნი, რომლებიც აღნიშნული არიან ამ წესების მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში.

8. განმეორებითი ექსპერტიზა გადამოწმების დაწესებული ვადის დადგომისას ხდება საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის მიერ დაზარალებულის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადებით.

**11. ის პირნი, რომელთაც უფლება აქვთ ანაზღაურონ მიყენებული ზარალი**

9. ზარალის ანაზღაურების უფლება აქვთ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც სავსებით ან ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი დაზავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების გამო, რაც დაკავშირებულია მათ მუშაობასთან, მოუხდევად იმისა, თუ რომელი ჯგუფის ინვალიდობა მიეკუთვნება მათ.

დაზარალებულთათვის თანხების გადახდა ზარალის ასანაზღაურებლად ხდება იმ ვადით, რომლის განმავლობაში საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის მიერ ცნობილ იქნება მათი შრომის უნარის დაკარგვა, რაც დაკავშირებულია დაზავებულობასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან.

10. მუშის ან მოსამსახურის სიკვდილის შემთხვევაში იმ დაზავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად, რაც მოუვიდათ მათ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიზეზით, ზარალის ანაზღაურების უფლება აქვთ გარდაცვალებულის რჩენაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს, აგრეთვე იმ შრომისუუნარო პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან გარდაცვალებულის რჩენაზე, მაგრამ მის გარდაცვალების დროისათვის უფლება აქვთ მიიღონ მისგან კმაყოფილება.

ზარალის ასანაზღაურებელი თანხა მიეცემათ აღნიშნულ პირთ შემდეგი ვადების განმავლობაში:

ა) არასრულწლოვან პირთ (აგრეთვე გარდაცვალებულის ბავშვებს, რომლებიც ჩასახულ

იქნენ დაზარალებულის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე მიღწევან 16 წლის ასაკს, მოწაფეები კი — 18 წლის ასაკს:

ბ) 55 წელზე მეტი ხნის ქალებს და 60 წელზე მეტი ხნის მამაკაცებს — სიკვდილამდე;

გ) ინვალიდებს — ინვალიდობის ვადით;

დ) გარდაცვალებულის ერთ-ერთ მშობელს ან მეუღლეს, განურჩევლად მისი ასაკისა და შრომის უნარისა, თუ იგი არ მუშაობს და უფლის გარდაცვალებულის 8 წლის ასაკამდე მიღწევამდე შვილებს, ძმებს, დებს ან პეილიშვილებს, — ვიდრე ისინი მიღწევან 8 წლას ასაკს.

### III. ზარალის ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრა

11. მუშისა ან მოსამსახურისათვის დაწვებულობით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებათ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაკარგა მუშაკმა პროფესიული შრომის უნარი (უნარი შრომისადმი თავისი პროფესიის მიხედვით) და შესაბამის შემთხვევაში — საერთო შრომის უნარი (უნარი არაკვალიფიციური შრომისადმი), აგრეთვე რამდენი იყო მისი საშუალო თვიური გამომუშავება და პენსია, რაც მას დაენიშნა ამ დაწვებულობასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან დაკავშირებით.

პროფესიული შრომის უნარის ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში საერთო შრომის უნარის დაკარგვა არ მიიღება მხედველობაში და ანაზღაურების რაოდენობა შეადგენს დაზარალებულის საშუალო თვიური გამომუშავების ნაწილს, რომელიც შეესაბამება მათ მიერ პროფესიულ შრომის უნარის დაკარგვას, იმ თანხის გამოკლებით, რაც დაენიშნა მას ამ დაწვებულობასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან დაკავშირებით.

სრული (100 პროცენტით) პროფესიული და ნაწილობრივ საერთო შრომის დაკარგვის შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობა უდრის დაზარალებულის საშუალო თვიური გამომუშავებას მინიმალური გამომუშავების (რაც დაწესებულია მოცემული ადგილმდებარეობისათვის) იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შეესაბამება მის შენარჩუნებულ საერთო შრომის უნარს.

მაგალითად, წარმოებაში კუბელური შემთხვევის შედეგად დაზარალებულმა დაკარგა 1000/0 პროფესიული და 600/0 საერთო შრომის უნარი. მისი საშუალო თვიური გამომუშავება დაწვებულობის მიღებამდე შეადგენდა 100 მა-

ნეთს. მოცემული ადგილმდებარეობის არაკვალიფიციური მუშის მინიმალური გამომუშავება უდრის 30 მანეთს. დაზარალებულის საშუალო თვიური გამომუშავებიდან საერთო შრომის უნარი 400/0 უნდა გამოაკლდეს არაკვალიფიციური მუშის მინიმალური გამომუშავების 400/0, ე. ი. 12 მან., დაკარგული გამომუშავების თანხა შეადგენს 88 მანეთს (100—12=88). ვინაიდან დაზარალებულს დაენიშნა ინვალიდობის პენსია მოცემულ დაწვებულობასთან დაკავშირებით 70 მანეთი თვეში, მაშასადამე გადასახადი თანხა ზარალის ასანაზღაურებლად უდრის 18 მ. (88-70=18).

12. საშუალო თვიური გამომუშავება ზარალის ანაზღაურების რაოდენობის განსაზღვრისათვის აიღება 12 კალენდარული თვე, რომლებიც წინ უძღოდა დაწვებულობას ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებას.

ამასთანავე თვეები, რომელთა განმავლობაში მუშაკმა ფაქტურად არ იმუშავა, არ გამოიმუშავა არასრული რაოდენობის საშუალო დღეები განურჩევლად მიზეზისა (ავადმყოფობა, შეტეულობა, საშუალოდან დათხოვნა და ა. შ.), გამოირიცხებიან გამოთვლიდან და შეიცვლებიან სხვა უშუალო წინამორბედი თვეებით.

უკეთეს უკანასკნელ ორ თვეში დაწვებულობის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების წინ მუშაკმა საბოლოოდ იმუშავა არა ნაკლებ ვიდრე 12 სრული თვე, აგრეთვე ყველა შემთხვევაში, როცა მუშაკმა იმუშავა წელიწადზე ნაკლები, ანაზღაურების რაოდენობა გამოიანგარიშება საშუალო თვიური გამომუშავებიდან ყველა სრული ფაქტურად ნამუშევარი თვეებისათვის. ამიტომ გამომუშავების საერთო თანხა ხსენებული თვეებისათვის იყოფა ამ თვეთა რიცხვზე.

უკეთეს მუშაკმა იმუშავა ერთ სრულ თვეზე ნაკლები, მაშინ ყველა ნამუშევარი დროის გამოიმუშავება იყოფა ნამუშევარ დღეთა რიცხვზე და მიღებული თანხა გამრავლებება 25,6 რიცხვზე საშუალო დღეზე თვეში, რაც გაიანგარიშება საშუალოდ წელიწადში. ამ შემთხვევაში გამოიმუშავება, რომლიდანაც გამოიანგარიშება ანაზღაურების რაოდენობა, არ შეიძლება აღემატოს მოცემული მუშაკის სტატარფო განაკვეთის ერთნახევარს.

13. იმ გამომუშავებაში, რომლიდანაც გამოიანგარიშება ზარალის ანაზღაურება, შეიტანება ყველა სახის ხელფასები, რომლებზედაც მოქმედი წესების მიხედვით დაირიცხება სადაზღვეო შენატანები, გარდა ხელფასისა საზღვანაკვეთო მუშაობის შეთავსებისა და ყოველგვარი ერთდროული ზასიათის გადადებისათვის პროცენტული წანამატები და ერთდროული



გასამრჩველო-ნამსახურობისათვის, აგრეთვე პრემიები, რომლებიც განსაზღვრულია შრომის ხელფასის სისტემით მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, განუჩრჩველად განადღებოს პერიოდისა (ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად, ყოველწლიურად, სამუშაოს გარკვეულ ეტაპებისა და სამუშაოს დამთავრების მიხედვით და ა. შ.) შეიტანება გამოქვეყნებაში, რომლიდანაც გამოიანგარიშება ანაზღაურება.

14. უკეთუ ზიანი მიყენებულა ისეთი პირის ჩანმრთელობაზე, რომელიც ღებულობს მოწადის განაკვეთს და არა აქვს სწავლებამდე მუდმივი, მყარი გამოქვეყნება სხვა პროფესიის, სპეციალობის, თანამდებობის მიხედვით, მაშინ ანაზღაურების რაოდენობა უნდა განისაზღვროს გამომდინარე იმ დაბალი განრიგის მუშა-მენარდის სატარიფო განაკვეთიდან, რომელიც მუშაობს მოცემულ საწარმოზე სპეციალობის, პროფესიის მიხედვით, რასაც სწავლობდა დაზარალებული.

იმ შემთხვევაში, თუ ზარალი მიყენებულია ისეთი პიროვნების ჩანმრთელობაზე, რომელიც ღებულობდა მოწადის განაკვეთს, მაგრამ არ ჰქონდა სწავლებამდე მუდმივი, მყარი გამოქვეყნება სხვა პროფესიის, სპეციალობის, თანამდებობის მიხედვით, მაშინ დაზარალებულის სურვილისამებრ ზარალის ანაზღაურების რაოდენობა გამოითვლება, გამომდინარე ამ გამოქვეყნებიდან მოცემული წესების მე-12 და მე-13 პუნქტებით დადგენილი წესით.

15. დამატებითი ხარჯების თანხები, გათვალისწინებული ამ წესების მე-4 პუნქტით, განისაზღვრება ადმინისტრაციის, ან საფაბრიკო-საქარბნის, ადგილობრივი კომიტეტის მიერ გამოთხოვილი იმ სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, როგორცაა: რაისავაჭრო განყოფილების ცნობები იმ პროდუქტების ფასებზე, რომლებიც შედიან დამატებითი კვების რაციონში; პროტეზისა და ორთოპედიული ფეხსაცმლის დამამზადებელ საწარმოების ანგარიშები; სანატორულ-საკურორტო სამმართველოს ცნობები და ანგარიშები სანატორულ-საკურორტო საგზურების ღირებულების შესახებ და ა. შ.

16. ზარალის ანაზღაურების რაოდენობის განსაზღვრისას, ის პენსია, რასაც უნიშნავენ და ფაქტიურად უხდიან დაზარალებულებს დაშვებულობის ან ჩანმრთელობის სხვა დაზიანების მიღების შემდეგ, უნდა ჩათვალოს მთლიანად, ხოლო პენსია, დანიშნული დაშვებულობის ან ჩანმრთელობის სხვა დაზიანების მიღებამდე (გარდა ინვალიდობის პენსიისა), არ უნდა ჩათვალოს დაშვებულობისათვის ანაზღაურების რაოდენობის განსაზღვრისას.

დაზარალებულის მოვლის იმ ხარჯებისა და სხვა დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული წესების მე-4 პუნქტით, ხდება ანაზღაურების თანხაზე ზევით გამოქვეყნების დაკარგვისთვის და დანიშნული პენსიის ჩათვლის გარეშე.

17. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მუშაყის შერეული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია ამ წესების მე-5 პუნქტში, დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურების რაოდენობა მცირდება შესაბამისად.

მაგალითად, როცა დადგინდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიზეზი 75 პროცენტით და თვით დაზარალებულის მიზეზი 25 პროცენტით, მუშაყის დაკარგული გამოქვეყნების თანხა მცირდება 25 პროცენტით და დარჩენილი თანხიდან გამოიქვითება პენსია, რომელიც დაენიშნა დაზარალებულს მოცემული დაშვებულობისა და ან ჩანმრთელობის სხვა დაზიანებებისთან დაკავშირებით.

18. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის შემდგომი გამოყენება უწინდელ სამუშაოზე შეუძლებელია დაშვებულობის ან ჩანმრთელობის სხვა დაზიანების გამო, ადმინისტრაცია დაზარალებულის თხოვნით ვალდებულია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ანგარიშზე შეასწავლოს მას ახალი პროფესია საქეიმო-შრომითი საქესპერტო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად.

დაზარალებულის მიერ ახალი პროფესიის შესწავლის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა, მას ეძლევა საშუალო გამოქვეყნება უწინდელი სამუშაოს მიხედვით მისაღები პენსიის, გამოქვეყნებისა და სტიპენდიის გამოქვითვით. ამ პერიოდში ანაზღაურების დაწესებულება თანხის გადახდა არ წარმოებს.

19. მუშის ან მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში შრომისუუნარო პირთ, რომლებსაც ზარალის ანაზღაურებას უფლება აქვთ (ამ წესების მე-10 პუნქტი), ანაზღაურება ენიშნებათ გარდაცვალებულის საშუალო გამოქვეყნების რაოდენობით, იმ წილის გამოქვითვით, რაც ერგებოდა მას თვითონ და მის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირთ, მაგრამ რომელთაც არა აქვთ ზარალის ანაზღაურების უფლება.

თვითეულ ამ პირთათვის ანაზღაურების რაოდენობის განსაზღვრისას, ვისაც ამ ანაზღაურების უფლება აქვს, მარჩენალის გამოქვეყნების ნაწილი, რაც განკუთვნილია სხენებულ პირებზე, იყოფა ამ პირთა რიცხვზე. ამასთანავე, თვითეული პირისათვის დაწესებული ანაზღაურების რაოდენობიდან გამოირიცხება მისთვის და-

ნიშნული პენსია მარჩენალის დაკარგვის შემთხვევისა გამო.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და თვით გარდაცვალებულის შერეული მიზეზის დადგენისას (ამ წესების მე-5 პუნქტი) იმ პირთათვის ანაზღაურების რაოდენობა, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ ანაზღაურება მარჩენალის დაკარგვის შემთხვევის გამო, შესაბამისად მცირდება.

მაგალითად, 75 პროცენტით, დაწესებულების, ორგანიზაციის მიზეზისა და 25 პროცენტით თვით გარდაცვალებულის მიზეზის დადგენისას მარჩენალის გამოუმუშავების ნაწილი, რომელიც დაკარგეს იმ პირებმა, ვისაც ანაზღაურების უფლება აქვთ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მცირდება 25 პროცენტით, რის შედეგადაც განისაზღვრება ანაზღაურების რაოდენობა თვითეულ პირთათვის, რომლებსაც აქვთ ასეთის უფლება.

20. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ ზარალის ანაზღაურების საკითხის განხილვა ხდება იმის შემდეგ, როცა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები გადაწყვეტენ დაზარალებული მუშაკისათვის პენსიის დანიშვნის საკითხს მარჩენალის დაკარგვისასთან დაკავშირებით.

**IV. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ განცხადების განხილვა ზარალის ანაზღაურების შესახებ**

21. მუშა, მოსამსახურე ან შრომისუუნარო პირნი, რომლებსაც აქვთ ანაზღაურების უფლება მარჩენალის დაკარგვის გამო, განცხადებით ზარალის ანაზღაურების შესახებ მიმართავენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში დაინტერესებული პირნი მიმართავენ განცხადებით მათს უფლებრივ მემკვიდრეებს ან სათანადო შემდგომ ორგანიზაციას.

**შენიშვნა:**

უფლებრივ უმემკვიდრო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 23 ნოემბრის დადგენილების (სსრ კავშირის 1927 წ. კანონთა კრებული, № 65, მუხ. 661) შესაბამისად მოახდინონ იმ თანხის კაპიტალიზება და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებში შეტანა, რომელიც უნდა მიეცეს მუშებს და მოსამსახურეებს (ზოლო ამ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში — შრომისუუნაროებს, რომლებსაც

ზარალის ანაზღაურების უფლება აქვთ) მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. კაპიტალიზებული თანხის მიღებისა და სათანადო ხელშეკრულების დადების შემდეგ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აძლევენ თანხას ხსენებულ პირთა ზარალის ასანაზღაურებლად იგივე რაოდენობით და იმავე ვადებში, რომლებიც სავალდებულო იყო ლიკვიდირებულ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

22. განცხადებას ზარალის ანაზღაურების შესახებ დაზარალებულმა უნდა დაუროთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის დასკვნა, თუ რამდენად (რა პროცენტით) დაკარგა შრომის უნარი,

ბ) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გაცემული საპენსიო მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტები იმ პენსიის ოდენობის შესახებ, რომელიც დანიშნულია ინვალიდობის გამო მოცემულ დაშავებულობასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან დაკავშირებით.

გ) საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის დასკვნა დამატებითი სახის დაზარების საჭიროების შესახებ (ამ წესების მე-4 პუნქტი).

ზარალის ასანაზღაურებლად პერიოდულად გადასახლდა გასაგრძელებლად დაზარალებული მუშა ან მოსამსახურე არდგენს საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის დასკვნას, თუ რამდენად (რა პროცენტით) დაკარგა მან შრომის უნარი, ასევე არდგენს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა საპენსიო მოწმობას, ან სხვა დოკუმენტს მისთვის დანიშნული პენსიის რაოდენობის შესახებ.

23. შრომისუუნარო პირებმა, რომლებსაც აქვთ ანაზღაურების უფლება მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში (ამ წესების მე-10 პუნქტი) განცხადებას ზარალის ანაზღაურების შესახებ უნდა დაუროთონ შემდეგი საბუთები:

ა) სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს (მმაჩის) მოწმობა მუშის, მოსამსახურის გარდაცვალებაზე ან ამ მოწმობის ნოტარიალურად შემოწმებული ასლი;

ბ) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გაცემული საპენსიო მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი პენსიის დანიშვნის შესახებ, თუ პენსია დაენიშნა მარჩენალის დაკარგვის გამო, საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის დასკვნა ინვალიდობის შესახებ, თუ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში პენსია არ დაენიშნა;

გ) სახლმმართველობის (ან საბინაო სამმართველოს სხვა ორგანოს) ან სოფლის საბჭოს ცნობა გარდაცვალებულის ოჯახის შემადგენლობისა და რჩენაზე ყოფნის ფაქტის შესახებ;

დ) 16 ან 18 წლამდე ასაკის მოწაფეებმა სასწავლო დაწესებულებას ცნობა.

პერიოდულ გადასახდელთა გასაგრძელებლად ის პირნი, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ ანაზღაურება მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, არღვევენ შემდეგ დოკუმენტებს: 16-დან 18 წლამდე ასაკის მოწაფეები წელიწადში ორჯერ იმ სასწავლო დაწესებულების ცნობას, სადაც ისინი სწავლობენ; ინვალიდები — სოციალური უზრუნველყოფის საპენსიო მოწმობის ასლს ან სხვა დოკუმენტს დანიშნული პენსიის შესახებ, ხოლო თუ პენსია არ არის დანიშნული — საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნას ინვალიდობის შესახებ.

24. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზარალის ანაზღაურების უფლების მქონე პირთ არ შეუძლიათ წარადგინონ ამ წესების 22 და 23 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები, ეს დოკუმენტები გამოთხოვილი უნდა იქნას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ.

25. ადმინისტრაციის გადაწყვეტილება დაზარალებულ მუშაკისათვის, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურების უფლების მქონე შრომისუუნარო პირთათვის (ამ წესების მე-10 პუნქტი) ზარალის ასანაზღაურებელი კომენტები გამოთხოვილი უნდა იქნას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით), ბრძანებაში (განკარგულებაში) აღნიშნებიან ის პირნი, რომლებსაც განესაზღვრებათ ზარალის ანაზღაურება, ამ ანაზღაურების ოდენობა და გადახდის ვადები.

26. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანების (განკარგულების) ასლი ან მოტივირებული წერილობითი უარის თქმა უნდა ჩაბარდეს დაინტერესებულ პირს 10 დღის ვადაში განცხადების შეტანის დღიდან.

დაწესებულ ვადაში პასუხის გაუცემლობა ნიშნავს, რომ ადმინისტრაცია უარს ამბობს ზარალის ანაზღაურებაზე.

#### V. თანხების გადახდის წესი და ვადები

##### ზარალის ასანაზღაურებლად

27. ზარალის ასანაზღაურებელ თანხას ვაცემს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც მოხდა დაშავებულობა ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება.

28. თანხებს ზარალის ასანაზღაურებლად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისადმი მიმართვისას ღებულობენ:

ა) დაზარალებული მუშები და მოსამსახურეები — დაშავებულობის სხვა დაზიანების მიყენების დღიდან;

ბ) შრომისუუნარონი, რომლებსაც აქვთ ანაზღაურების უფლება მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით — მისი სიკვდილის დღიდან.

უცხოე ხსენებულმა პირებმა მიმართეს ადმინისტრაციის დაშავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების დღიდან, ან მარჩენალის გარდაცვალების დღიდან 8 წლის განვლის შემდეგ, მაშინ ანაზღაურება მიეცემათ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის მიმართვის დღიდან.

ზარალის ასანაზღაურებელ გადასახდათა გარკვეულ განმეორებით მიმართვისას ხდება უწინდელ გადასახდათა დამთავრების დღიდან, განუჩეგვლად იმისა, თუ როდის მიმართეს დაინტერესებულმა პირებმა ადმინისტრაციას. ამასთანავე გასული დროის თანხები ზარალის ასანაზღაურებლად გაიცემა იმ პირობით, თუ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია დადასტურებს, რომ ამ პერიოდში დაზარალებულს დაკარგული ჰქონდა შრომის უნარი.

29. მუშად ან მოსამსახურედ მომუშავე დაზარალებულს ზარალი აუნაზღაურდება იმდენი ოდენობით, რომ ასანაზღაურებლად გასაცემი თანხა გადასახდელად ჩათვლილ პენსიასთან, გამომუშავებასთან და სტიპენდიასთან ერთად არ აღემატებოდეს საბოლოოდ იმ გამომუშავებას, რასაც იგი ღებულობდა დაშავებულობის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების წინ.

ამვე დროს ხელფასში, რომლის მხედველობაში მიღებთ ექვსეა თანხა ზარალის ასანაზღაურებლად, შევა ყველა სახის გამომუშავება, რომლებზედაც დაირიცხება სადაზღვევო შენატანი, გარდა საზეგანაკვეთო სამუშაოს, შეთავსებისა და ყოველგვარი ერთი ხასიათის გადასახდათა განაღდებისა. პროცენტული წანამატი და ერთდროული საზღაური ნამსახურობისათვის, აგრეთვე პრემიები, რომლებიც განსაზღვრულია შრომის გასამრჯელოს სისტემით მოცემულ საწარმომო, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, განუჩეგვლად გადახდის რეჟიმისა, ჩაითვლება იმ თვის გამომუშავებაში, როდესაც ასეთები მიღებულია.

დროებითი შრომის უუნარობის პერიოდში გამომუშავების ნაცვლად მხედველობაში მიიღება დახმარება საავადმყოფო ფურცლის მიხედვით.

დაზარალებულებს, რომლებიც გახდენ თვისუფალი პროფესიის პირები, შინამრეწველნი ან ხელოსნები, ანაზღაურება ეძლევათ იმის თანხმად, რაც დადგენილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. ზემოხსენებულ პირთა შემოსავალი განისაზღვრება იმ წესით, რომელიც

დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1956 წ. პირველ ოქტომბრის № 363 წერილით: „იმ პენსიონერებისათვის სოციალურა უზრუნველყოფის ორგანოების მიერ პენსიის გაცემისას შემოსავლის გამომანგარისების წესის შესახებ, რომლებიც არ არიან კოოპერირებული შინამარეწველნი, ან ხელისნები, ან თავისუფალი პროფესიის პირები“.

იმ დაზარალებულთათვის ზარალის ასანაზღაურებელი თანხის გადახდისას, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები ვახდენენ, მხედველობაში მიიღება მათი შემოსავალი კოლმეურნეობაში მუშაობის შემდეგ გასული თვის განმავლობაში.

30. ზარალის ასანაზღაურებელი თანხის გადახდისას არ მიიღება მხედველობაში ალიმენტი, ყოველგვარი მატერიალური დახმარება და ა. შ.

31. მხედველობაში არ მიიღება იმ პირთა გამომუშავება ან სხვა შემოსავალი, რომლებსაც ეძლევათ ზარალის ასანაზღაურებელი თანხები მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

32. დაზარალებული აძლევს წერილობით ვალდებულებას, რათა აცნობოს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ცვლილებებზე მის ხელფასში ან შემოსავალში, რაც ცვლილებას მოახდენს ასანაზღაურებლად გასაცემ თანხაზე.

33. იმ შემთხვევისდა მიხედვით, თუ რამდენად შეიცვალა დაზარალებულის შრომის უნარის დაკარგვა, მისი გამომუშავება ან მისთვის გასაცემა პენსია, აგრეთვე გარდაცვალებულის ოჯახის წევრებისა და რჩენაზე მყოფ პირთა შემადგენლობა, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ზარალის ასანაზღაურებლად ახდენს გადასახადთა შესაბამის გადაანგარიშებას.

ზარალის ასანაზღაურებლად გადასახადთა გადაანგარიშების წარმოების შესახებ გამოიცემა ბრძანება (განკარგულება), რომლის ასლი ბარდება დაინტერესებულ პირს.

34. ზარალის ასანაზღაურებელი თანხა გიცემა ყოველთვიურად იმ დღეს, როცა დაწესებულია თვის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემა.

ზარალის ასანაზღაურებლად თანხის მიტანა და გადავზავნა ფოსტით ხდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ანგარიშზე. დაზარალებულის ან იმ პირთა სურვილებისამებრ, რომლებსაც ზარალის ასანაზღაურებელი თანხა ეძლევათ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, ეს თანხები შეიძლება გადირიცხოს მათს ანგარიშზე შემნახველ სალაროებში ანაბრების მიხედვით.

35. დაზარალებულის სტაციონარულ სამკურ-

ნალო დაწესებულებაში (საავადმყოფოში, მასპინძელთა პიტალოში, კლინიკაში) ყოფნის დროს თანხა ზარალის ასანაზღაურებლად გაცემა საერთო წესით.

36. იმ პირთ, ვინც ზარალის ასანაზღაურებას ღებულობს ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში ცხოვრების დროისათვის, ეძლევათ დანიშნული ასანაზღაურების 10%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა თვეში. თუ ასეთ პირს ეყოლება ოჯახის შრომისუუნარო წევრები, რომლებიც იმყოფებიან მის კმაყოფაზე, მაშინ დანიშნულ თანხაზე ზევით მას ეძლევა ერთ, მის სარჩენ პირზე ასანაზღაურებლად დანიშნული თანხის მეოთხედი ნაწილი, ორ სარჩენზე ასანაზღაურებელი თანხის მეოთხედი ნაწილი, სამ და მეტ სარჩენ პირზე ასანაზღაურებელი თანხის ნახევარი. პენსიის თანხა, რასაც ღებულობენ ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებნი (და მათ რჩენაზე მყოფნი), ამ შემთხვევაში არ მიიღება მხედველობაში.

37. იმ პირის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, რომელიც ღებულობს ზარალის ასანაზღაურებას, ზარალის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა შეწყდება. საპატიმრო ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ ზარალის ასანაზღაურებელი თანხების გაცემა აღდგენილი იქნება ასეთისათვის მიმართვის დღიდან. გამართლებული განაჩენის გამოტანისას ან საქმის შეწყვეტისას გაცემა გასული დროის ზარალის ასანაზღაურებელი თანხა, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა მანამდე, ვიდრე მიმართავენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

38. ზარალის ასანაზღაურებელი თანხა არ იბეგრება ვადასახადით. გადახდევინება ამ თანხებიდან წარმოებს იგივე წესით, როგორც ხელფასიდან.

#### VI. დავის განხილვის წესი პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მიერ

39. პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები დაზარალებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შორის აღძრულ დავას განიხილავენ: ზარალის ასანაზღაურების უფლებაზე, ასანაზღაურების ოდენობასა და მისი გადახდის ვადებზე, უწინდელ და ახლანდელ გამომუშავებას შორის განსხვავების გადახდაზე, როცა დაზარალებული დროებით გადაყვანილია ნაკლებხელფასიან სამუშაოზე მოცემულ დაშვებულობასთან ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებასთან დაკავშირებით, ზარალის ასანაზღაურებელი თანხის გადაანგარიშებაზე იმასთან

დაკავშირებით, თუ რამდენად შეიცვალა დაზარალებულის გამოუმუშავება, შრომის უნარის დაკარგვა, გადასადელი პენსიის რაოდენობა და ზარალის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების აღმინისტრაციის მიერ შეტუსრულებლობაზე, აგრეთვე სხვა დავას, რომელიც დაკავშირებულია ამ წესების შეფარდებასთან.

40. საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი იხილავს დავას 10 დღის ვადაში დაზარალებულის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადების მიღების დღიდან.

აღმინისტრაცია ვალდებულია დავის განხილვიდან არა უგვიანეს 3 დღისა წარადგინოს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტში მოცემული დავის გადასაწყვეტად საჭირო საბუთები.

41. საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი გამოუძახებს თავის სხდომაზე დაზარალებულს ან სხვა დაინტერესებულ პირს და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელს.

დავის განხილვა დაზარალებულის ან სხვა დაინტერესებული პირის დაუსწრებლად დაიწვევა მხოლოდ მისი წერილობითი განცხადების მიხედვით.

აღმინისტრაციის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სხდომაზე არ ართმევს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს უფლებას განიხილოს დავა არსებითად.

42. აუცილებლობის შემთხვევაში საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტს შეუძლია გამოითხოვოს პროფკავშირთა საბჭოს ტექნიკური ინსპექციის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურის დასკვნა ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზებზე და იმ ორგანოთა აზრი, რომლებიც ახორციელებენ კონტროლსა და ზედამხედველობას მოცემულ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომის დაცვის მდგომარეობაზე, აგრეთვე მოიწვიოს მოწმეები თავის სხდომაზე.

43. საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება უნდა იყოს მოტივირებული, ეყრდნობოდეს კანონმდებლობას და ამ წესებს. მასში უნდა იყოს აღნიშნული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციამ რომელ პირს და რამდენი ოდენობით უნდა უხადოს ზარალის ანაზღაურებელი თანხა, აგრეთვე ვადა, რომლის განმავლობაშიც ხდება გადახდა (ან უვადო). საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების ასლი დიოდან ასეთის გამოტანისა სამი დღის ვადაში ეგზავნება აღმინისტრაციას და დაინტერესებულ პირს.

საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომი-

ტეტის დადგენილება დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში. თუ აღმინისტრაცია არ ეთანხმება დადგენილებას, იგი დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში ასანაზღაურებელი თანხის თვის ფარგლებში.

44. თუ აღმინისტრაცია არ ეთანხმება საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, მას უფლება აქვს მიმართოს სახალხო სასამართლოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით, ხოლო დაზარალებულსა და დაინტერესებულ პირს ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ სახალხო სასამართლოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით ან თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აღმინისტრაციის მიერ სახალხო სასამართლოში მიმართვის ვადაა 10 დღე პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების მიღების დღიდან.

45. უკეთეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია არ შეასრულებს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, მაშინ დაინტერესებული პირის განცხადებით კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის აღსრულებელი წევრი გასცენს მოწმობას პროფკავშირის კომიტეტის დადგენილების იძულებითი წესით აღსრულებაზე იმ ფორმის მიხედვით, რაც მიღებულია შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. ამ შემთხვევაში დადგენილებას სისრულეში მოიყვანს სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით სასამართლოს მიერ დავის არსებითად განხილვის გარეშე.

მოწმობა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების იძულებით აღსრულებაზე გაიცემა ათი დღის ვადის განვლის შემდეგ (ამ დადგენილების 44-ე მუხლი).

მოწმობა გაიცემა, თუ აღმინისტრაციამ 10 დღის ვადაში მიმართა სახალხო სასამართლოს დავის გადასაწყვეტად.

მოწმობა ერთი თვის ზარალის ანაზღაურებელი თანხის გადახდევინებაზე გაიცემა 10 დღის ვადის განვლამდე, განურჩევლად იმისა მიმართა თუ არა აღმინისტრაციამ სახალხო სასამართლოს.

46. თანხა, მიღებული დაზარალებულის ან იმ პირების მიერ ზარალის ანაზღაურების ანგარიშში, რომლებსაც ანაზღაურების მიღების უფლება აქვთ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევის

გამო (ამ წესების მე-10 პუნქტი), პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების ან სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, შეიძლება უკანვე იქნეს გადახდევინებული იმ პირობით, თუ ხსენებული დადგენილება ან გადაწყვეტილება ემყარებოდა დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ ყალბ დოკუმენტებს ან მათ მიერ წინასწარ შეცნობით მოწოდებულ ყალბ ცნობებს.

47. ეს წესები არ ვრცელდება იმ მუშებზე და მოსამსახურეებზე, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს პნევმოკონიოზით დაავადებასთან დაკავშირებით. ეს მუშები და მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იქნებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით დადგენილი წესით.

48. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ჩამოაყალიბოს ზარალის ანაზღაურების საქმეთა შენახვის ისეთ პირობებში, რომლებიც შეუძლებელს გახდის მათ გაფუჭებას, მტაცებლობას ან განადგურებას ხანძრის შემთხვევაში ან სხვა მიზეზის გამო.

ასანაზღაურებელი თანხების გადახდის პერიოდში ზარალის ანაზღაურების საქმეები ინახება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ბუღალტერიაში.

გადასახადის შეწყვეტის ორი წლის განვლის შემდეგ ზარალის ანაზღაურების საქმეები ბარდება საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციას არქივს შესანახად.

ქვემოთ დაკავალბული საკვადმოფო უჩახლავის ბანადღვის მისახებ

ჭლექით დაავადებასთან ბრძოლისა და ამ ავადმყოფობის ლიკვიდაციის მიზნით შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებანი.

გადიდებულია საავადმყოფოებში და სანატორიუმებში საწოლების რაოდენობა ავადმყოფების ხანგრძლივი სტაციონალური მკურნალობისათვის; ჭლექით დასნეულებულთა საავადმყოფოებში საერთო და სპეციალური საავადმყოფოების ჭლექით ავადმყოფთა განყოფილებებში და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებებში ჭლექით დაავადებულთათვის შემოდებულია კვების ახალი ნორმები და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები გზავნიან ჭლექით ავადმყოფებს სპეციალურ სანატორიუმებში, სადაც მათ სახელმწიფოს ხარჯზე მკურნალობენ.

სანატორიუმში დარჩენის ვადას წინასწარ არ უთითებენ. მას საზღვრავს მკურნალი ექიმი სანატორიუმის მთავარ ექიმთან ერთად, ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

სანატორიუმში სამკურნალოდ მოთავსებულ ჭლექით დაავადებულებს ეძლევათ სამკურნალო ფურცელი სანატორიუმშივე, მკურნალობის მთელ დროისათვის, ძარითადი და დამატებითი შვებულების დროის გამორიცხვით.

მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც ჭლექით დაავადების გამო დროებით დაკარგეს შრომის უნარი, იგზავნიან საექიმო-შრომის საექსპერტო კომისიაში შესამოწმებლად და ინვალიდობის დასადგენად არა უგვიანეს ათი თვისა შრო-

მის უუნარობის დაწყების დღიდან. უკეთუ საექიმო შრომის საექსპერტო კომისია არ სცნობს ჭლექით დაავადებულს ინვალიდად და იგი კვლავ რჩება დროებით შრომის უნარმოკლებულად, საავადმყოფო ფურცელი მას უნდა გაუგრძელდეს.

ჭლექით დაავადებულთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება წარმოებს საერთო საფუძვლით შრომის უნარის დაკარგვის დღიდან მის აღდგენამდე, ან ინვალიდობის დადგენამდე.

დახმარების გაცემა წარმოებს ხელფასის გაცემისათვის გათვალისწინებულ დღებში.

დახმარების რაოდენობა განისაზღვრება, როგორც საერთო დაავადებისა შრომის განუწყვეტელი სტაჟის მიხედვით, რაც ირკვევა ჭლექით დაავადებულ მუშა-მოსამსახურეების შრომის წიგნაკის ჩანაწერებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჭლექით ავადმყოფი მუშაკი ინვალიდია და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო პენსიას ღებულობს, დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარება მას მიეცემა არა უმეტეს ორი თვისა ზედიზედ და არა უმეტეს სამი კალენდარული თვისა წელიწადში.

მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც ჭლექით დაავადების შედეგად დროებით დაკარგეს შრომის უნარი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა ენახებათ 12 თვემდე.

საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის უფროსი კონსულტანტი  
ზ. ნ. ნადიმანოვი



# ქართული სამართლის ისტორიის შესახებ

## ენიანსკაი და სუსევაკიძე გეომოციების საკითხისათვის XVIII საუკუნის შემოკრები ნახევრის საშეკრებელი

### 8. კეკელია

ჩვენს მიზანს შეადგენს სამართლის ისტორიაში დღემდე გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯამება და შედარება, როგორც გამოკვეთებულ, ისე გამოუკვეთებელ სასამართლო სახიათის პირველად მასალებთან, იმის გამოსარკვევად თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში — ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდებოდა, ძირითადად როგორი სახიათის სასამართლო პროცესი იყო და რომელი სახელის მოქმედებაში ვლინდებოდა ამ პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ პერიოდში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მოქმედებდა. ამდენად, ცალკეული მკვლევარების მიერ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე გამოთქმული მოსაზრებანი მეტ-ნაკლებად ეხება მე-18 საუკუნის II ნახევარსაც, ხოლო როცა სადაოდ მიგვაჩნია აღნიშნულ პერიოდში ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედება, ასეთ შემთხვევაში ხარვეზების ამოცხების ყველაზე ხანდა საშუალებად პირველადი სასამართლო სახიათის საბუთები უნდა მივიჩნიოთ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი სხვაობაა ვახტანგ მეექვსის კანონის მოთხოვნასა და სასამართლო სახიათის პირველადი საბუთების შინაარსს შორის, და ეს სხვაობა შეეხება აგრეთვე სასამართლო პროცესის საკითხებსაც.

პირველადი სასამართლო სახიათის საბუთების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში სასამართლო გამოძიების გარდა არსებობდა აგრეთვე წინასწარი გამოძიება. ამასთანავე ისიც ირკვევა, რომ წინასწარი გამოძიების სტადია, მკვეთრად არ იყო გამოიხსნული სასამართლო გამოძიებისაგან და ორივე სახის გამოძიება უფრო ხშირად მდივანბეგის ხელთ იყო.

როგორც ცნობილია, ისტორიულად სახელმწიფოს განვითარების შესაბამისად, სასამართლო პროცესი სამი ფორმით გვევლინება: — საბრალდებო პროცესის, სამძებრო (ინკვიზიციური)

პროცესისა და შერეული პროცესის სახით. თავისი განვითარების ბუნებით — პროცესის ეს სამი ფორმა, დაბლიდან — მაღლისაკენ, მარტივიდან უფრო რთულისაკენაა მიმართული.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესში თანდათანობით ძლიერდება საქარისობის პრინციპი. სასამართლო პროცესის უფრო დაბლიდან მაღალ ფორმაზე გადასვლა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგსაც წარმოადგენს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარამდე საქართველოში სასამართლო პროცესის ფორმის საკითხის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.


რაც შეეხება პერიოდს, რომელიც შეიცავს XVIII საუკუნის მეორე ნახევარს, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის სასამართლო პროცესი შეუსწავლელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუმართლებელი იქნებოდა ცალკეულ ავტორთა გამოთქმული მოსაზრებანი, დამყარებული ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნზე, მექანიკურად გავვევრცელებინა XVIII საუკუნის მეორე ნახევარზეც, რომლის უფლებებს თავის მხრივ არ გვაძლევს პირველადი სასამართლო სახიათის საბუთები.

გავაჩიოთ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი.

გ. თარხნიშვილი ვახტანგ VI-ის კანონის მიხედვით გასარჩევ საქმეს ორ კატეგორიად ყოფს: „გამოჩინილ საქმებად“, როცა ბოროტმოქმედი მოსამართლის წინაშეა მიყვანილი და ისეთ საქმეებად, როცა „ბრალმდებელმა უნდა დაუმტკიცოს ბრალდებულის ის რასაც „შესწამებს“ I — ე. ი. შემთხვევაში აღნიშნული მოსაზრების მიხედვით ამ დროს ქართული სასამართლო პროცესი საბრალდებო პრინციპზეა აგებული, თუმცა ავტორი იქვე განმარტავს, რომ საქორების შემთხვევაში მდივანბეგი საკითხის გამოსარკვევად ადგილზე იასაულს აგზავნის (ამით კი ავტორი სამძებრო პროცესის საწყისს აღიარებს). ადგილზე იასაულის აგზავნაში თარხნი-

1 გ. თარხნიშვილი, სასამართლო წარმოება, საქართველოში, გვ. 124 (პეტროგრა-დის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა ივ. ჯავახიშვილის რედაქციით).



შვილი ვერ ხედავს სამძებრო პროცესისათვის დამახასიათებელ ნიშანს და წერს:  
 „...სისხლის საქმეების გარკვევა-გასამართ-  
 ლებაში ეგრეთ წოდებული გამოძიებით წარ-  
 მოვა (васкни процесс) უარყოფილი  
 იყო“<sup>1</sup>. სადაო საკითხის დადგარისას სთავარი ად-  
 გილი ექირა „მოპირდაპირეთა კამათს“. აღნიშ-  
 ნულით ავტორმა მტკიცედ აღიარა საბრალ-  
 დებო პროცესის არსებობა.

აკად. ი. ჭავჭავაძისა ყურადღება მიაქცია  
 ვამანის მონასტრის განწესების იმ ადგილს, რო-  
 მლის მიხედვითაც — „ყოველი წაუქმებული  
 ბრალდების განსჯა „ნუ აღტაცებით იქაეიია“  
 არამედ „გამომძიებთა მრავლითა განხილვოდ-  
 ნენ, ისე ვითარ შესხენანი“<sup>2</sup>—ო, რაც ლაპარაკობს  
 იმაზე, რომ გასამართლებას გამოძიება უსწრე-  
 ბდა წინ. მსგავსივე აზრია გატარებული  
 ექვთიმე მთაწმინდელის შრომაში და ევსტატე  
 მცხეთელის „წამებაშიც“<sup>3</sup>.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აკად.  
 ივ. ჭავჭავაძის ფეოდალურ საქართველოს გა-  
 ერთიანების პერიოდში, სასამართლო პროცე-  
 სში სამძებრო ხასიათის ელემენტები ეგულებო-  
 და.

ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ივ. ჭავ-  
 ხაშვილს სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრებანიც  
 აქვს გამოთქმული (მაგ: მპარამეტრებზე),  
 მაგრამ სამწუხაროდ არაფერს ამბობს XVIII  
 საუკუნის სამართალწარმოებაზე.

პროფ. ივ. სურგულაძის მოსაზრებით ია-  
 საული საგამომძიებლო ფუნქციებს ასრულებს;<sup>4</sup>  
 მასვე საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქ-  
 მული ხევისთავის მიმართაც, რომელიც „...წი-  
 ნა პერიოდის „მპარავთ მძებნელის“ და ცოტა  
 უფრო შემდგომი პერიოდის „მეკობრეთა მძებ-  
 ნელის“ მონაცვლე უნდა იყოს“<sup>5</sup>. ხევისთავს  
 პროფ. ი. სურგულაძის აზრით ჰქონდა, როგორც  
 საგამომძიებლო ისე სასამართლო ფუნქციები.  
 „ხევისთავის თანამდებობაში უეჭველია დიდად  
 მნიშვნელოვანია მისი საგამომძიებლო ფუნქ-  
 ცია — დამნაშავეს დევნა-აღმოჩენა“<sup>6</sup>, რომ ხე-  
 ვისთავი ვალდებული იყო დაეითხა ბრალდე-

ბული ან მოწმეები, დაეფიცებინა ისინი, და  
 სხვა.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს პროფ. ი.  
 სურგულაძე „დასტურლამალის“ მოთხოვნის სა-  
 ფუძველზე აყენებს და არ შლის საკითხს, თუ  
 რა ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო  
 ხევისთავი XVIII საუკუნის II ნახევარში.

XVIII საუკუნის II ნახევრის, როგორც საიხ-  
 ტორიო ძეგლებში ისე სამართლის წიგნებში ხე-  
 ვისთავს, როგორც გამოძიებელს ვერსად ვხვდე-  
 ბით, მისი მოქმედება სახუთების მიხედვით, მხო-  
 ლოდ სამოსამართლო ფუნქციების მატარებელ-  
 ლია<sup>7</sup>.

ზემოთ აღნიშნულ მკვლევარებიდან საქართვე-  
 ლოში სასამართლო პროცესის განხილვის საკითხ-  
 თან ყველაზე ახლოს მიუის პროფ. ალ. ვაჩიშვი-  
 ლი, რომელსაც თავის ნაშრომში „ნარკვევები  
 ქართული სამართლის ისტორიიდან“ (II ნაწ.,  
 1948 წ. გამომცემა) სპეციალური თავებიც კი აქვს  
 მიძღვნილი ამ საკითხისადმი და გამოთქმული აქვს  
 რიგი მნიშვნელოვანი მოსაზრებანი, რომელიც  
 ჩვენი ქვეყნის სასამართლო პროცესის ბუნებას  
 ახასიათებს. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე კი,  
 იგი დაასკვნის, რომ ვახტანგ VI-ის კანონის მი-  
 ხედვით სასამართლო პროცესი ძირითადად სა-  
 ბრალდებო ხასიათისაა, ამავე დროს ის ატა-  
 რებს სამძებრო პროცესის ნიშნებსაც, რასაც  
 ავტორი ვახტანგის სამართლის წიგნის მე-4 მუხ-  
 ლის მოთხოვნაში ხედავს. ამ მუხლის მიხედვით,  
 საქიროების შემთხვევაში მდივანმეგი სასამართ-  
 ლოს იასაულს აგზავნის: „გასინჯე, მოკითხული  
 ქენი და მართალი ამბავი მოგვიტანეო“<sup>8</sup>.

როგორც დავინახეთ, პროფ. ალ. ვაჩიშვილი  
 თავის მოსაზრებას ამყარებს ვახტანგ VI კა-  
 ნონის მოთხოვნაზე და კვლევის საგნად არ ხდის  
 ამ კანონის შედარებას XVIII საუკუნის II  
 ნახევრის სასამართლო ხასიათის პირველადი სა-  
 ბუთებთან. ასევე ითქმის ყველა ზემოთ აღნიშ-  
 ნულ ავტორზე.

როგორც ცნობილია, ვახტანგის კანონის ზო-  
 გიერთმა მოთხოვნამ, XVIII საუკუნის მეორე  
 ნახევარში, დაკარგა თავისი ძალა და იგი ახალი  
 საკანონმდებლო ძეგლებით თუ განჩინებებით  
 იქნა შეცვლილი. ამდენად, ამ პერიოდის სასა-  
 მართლო პროცესის შესწავლა ძირითადად უნ-

1 გ. თარხნიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 137.  
 2 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, წიგნი II, გვ. 494.  
 3 იხ. იქვე.  
 4 ივ. სურგულაძე, საქ. სახელმწ. სასამართლოს ისტორიისათვის, გვ. 318.  
 5 იქვე, გვ. 339.  
 6 იქვე, გვ. 340.  
 7 ცენტ. არქივი, კარბელაშვილის ფონდი, რვეული № 3, ფონდი 1448 ს, № 108.  
 8 ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები, გვ. 93.

და დავამყაროთ იმ პირველად, სასამართლო სა-  
სიათის საბუთებზე, რომლის ნაწილიც გამო-  
ქვეყნებულია, სოლო ნასილი ხელნაწერების სა-  
სიათა დაცული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართვე-  
ლოში, სამცხრო პროცესის ნიშნების ძებნა  
ვახტანგის სამართლის წიგნის მე-4 მუხლის სა-  
ფუძველზე, რომელშიაც საუბარი მხოლოდ  
მდივანბეგის იასაულზეა, არ იქნებოდა სწორი.  
საქმე იმაშია, რომ საბუთების მიხედვით ძიე-  
ბას აწარმოებენ: იშვიათ შემთხვევაში, ღივ სა-  
ხელმწიფო მნიშვნელობის საქმეზე მეფე,  
მხვდელი ფეოდალები („თავადიშვილები“) და  
უფრო ხშირად მდივანბეგი, ან მდივანბეგები,  
რომლებიც ჯერ არკვევენ, იძიებენ საქმეს (პი-  
რადღა ისინი ან მათ მიერ კონკრეტულ საქმეზე  
იასაულად ჩენილი პირები), ხოლო შემდეგ არ-  
ჩევენ.

სტეციალური სახელის მატარებელი პირი —  
მდივანბეგი, იასაული, რომელსაც ძირითადად  
საქმის გამოძიება ევალებოდა, XVIII საუკუნის  
მეორე ნახევრის სასამართლო სასიათის საბუ-  
თებში არ გვხვდება.

ფეოდალიზმის დროს საბრალდებო პრო-  
ცესისათვის დამახასიათებელია:

ა) ორდალები (ღვთის მსჯავრი),

ბ) ორთა ბრძოლა,

გ) საქმის მხოლოდ სასამართლოში დაწება  
(სასამართლომდის საქმის გარკვევა სრულებით  
არ წარმოებს).

დ) მოსამართლეთა პასიურობა (საქმის გა-  
რჩევისას იგი მხოლოდ უხმენს და პროცესი  
დაფუძნებულია მხარეთა შეჯიბრზე).

ესლა გავარჩიოთ პუნქტობრივად, ჩამოთვ-  
ლილ ნიშნებიდან რომელი მათგანი ახასიათებს  
XVIII საუკუნის მე-2-ე ნახევრის საქართველო-  
ში სასამართლო წარმოებას.

ა) ორდალები ანუ ღვთის მსჯავრი — ვახტან-  
გის კანონის მე-6 მუხლით მტკიცებათა სახე-  
თაა აღიარებული. ამ მუხლში ვკითხულობთ:  
„საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი  
არის, რომე ამათ თავი იმართლების პირველი—  
ფიცია, მეორე — შანთი, მესამე მდულარე“<sup>1</sup>.

როგორც გამოქვეყნებულ, ისე სტემისაწვდომ  
გამოუქვეყნებელ სასამართლო სასიათის პირ-  
ველად საბუთებში ვერსად ვხვდებით შემთხვე-  
ვას, რომ რომელიმე სახის სასამართლოს საქ-  
მის გარჩევისას მტკიცების საშუალებად ორდა-

ლების სახე—შანთი ან მდულარე გამოყენე-  
ბიოს.

ბ) ორთა ბრძოლა; „სამალში გატანება“ მტკი-  
ცებათა ერთ-ერთი სახეობაა ვახტანგის კა-  
ნონის მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნით, მაგ-  
რამ ისიც არა თუ XVIII საუკუნის მე-2 ნახე-  
ვარში, არამედ მთელი საუკუნის მიჯნაზე არც  
ერთ პირველად საბუთებში არაა მოხსენებული.

ორდალების, მათ შორის ორთა ბრძოლა —  
გამოყენება XVIII საუკუნის მე-2 ნახევრის  
სასამართლო პროცესში მით უფრო დაუშვებ-  
ლად მიგვაჩნია, რომ ამ დროს ქართლ-კახეთის  
სამეფო კულტურა ერთგვარ აღმავლობას გა-  
ნიცდიდა, რაც რიგი ახალი, პროგრესული სა-  
კანონმდებლო აქტების შემოღებაშიც გამოიხა-  
ტა; ხოლო „რაც უფრო მაღალია ერის კულ-  
ტურული და იურიდიული წევნება, მით უფრო  
ნაკლები სარბიელი აქვს ორდალების გამოყენე-  
ბას და პირიქით“<sup>2</sup>.

გ) საბრალდებო პროცესის ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია ისიც,  
რომ ამ დროს სასამართლომდის საქმის გამოი-  
კვევა სრულებით არ წარმოებს. ქართლ-კახეთის  
სამეფოს სამართალწარმოებას XVIII საუკუნის  
მე-2 ნახევარში არც ეს ნიშანი ახასიათებს, რო-  
მელიც პირველ რიგში უარყოფილია თვით სა-  
სამართლო სასიათის პირველადი მასალებით.  
მოვიტანთ რამოდენიმე მათგანს:

1782 წელს მსახულთ შეკრებულება არჩევს რა  
აფხაზიშვილი შერმაზინის მკვლელობის საქმეს,  
რომელშიც შერმაზინის მკვლელები თავის მარ-  
თლებას ცდილობენ იმით, რომ შური იძიეს  
ვითომ შერმაზინის მიერ ბატონიშვილი ღვინის  
მკვლელობისათვის. როგორც განაჩენიდან ჩანს  
საქმეზე ჩატარებულია წინასწარი გამოძიება,  
უფრო მეტიც, იგი თვით ერეკლე მეორეს ჩა-  
უტარებია, რომელმაც „ჩრავლგვარის ფრთხი-  
ლად გამოძიებით გამოიკითხა და მერე ამათი  
სამართალი და კიდეც ბევრდაგვარად ამ საქმის  
გამოჩნბრება ჩვენ საქართველოს მსახულთ შეკ-  
რებულებას გვიბრძანა“<sup>3</sup>.


აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ შესწავლის  
ობიექტად განკუთვნილ პერიოდში, სისხლის  
და სამოქალაქო საქმეთა აღძვრა-გარჩევის პრო-  
ცესუალური წესები, ჯერ კიდევ ვერ ემიჯნები-  
ან ერთმანეთს მკვეთრად და ორივე სასიათის  
საქმეებზე ყველა მოქმედება, თითქმის ერთნაი-  
რი პროცესუალური წესების დაცვით მიიღინა-  
რეობს. ამდენად, ცალკეული საკითხის შესწავ-

<sup>1</sup> ვახტანგ VI კანონი—თ. ენუქიძის რედაქციით, გვ. 50.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>3</sup> ი. დოლიძე—ძველი ქართული სამართალი, გვ. 278.

<sup>4</sup> ცენტ. საისტ. არქივი, ფონდი 1448, საბუთი 5524.



ლისას, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის რომელიმე კატეგორიის საბუთს იმ მოტივით, რომ იგი სისხლის ან სამოქალაქო საქმეზეა შემდგარი; ორივე ხასიათის საბუთთა მონაცემები გამოდგება საერთო დასკვნისათვის, რომ სასამართლომდის წარმოებს საქმის გარკვევა ამის დამატიციებლად მოვიტანთ სამოქალაქო ხასიათის საქმეზე შედგენილ საბუთებსაც:

წმინდა დავითის უღაბნოს წინამძღვარი გერმანე არზას მიართმევს ერთკლე მეორეს და თსრვს: „ჩიბასურს საქმე, რომ დარჩა თუ თქვენი სიმაღლე ინებებს, ამა წყალობას ვითხოვ სამ თავადის შეიღს უბრძანათ, რომელსაც თქვენ ინებებთ, რომ ამათ გამოიძიონ და ღვთის წინაშე სამართალი გვიყონ“. არზაზე ერთკლე აღებს შემდეგი შინაარსის რეზოლუციას:

„..... ჩვენი ბრძანება არის, ბეჟან ყორჩიბაძიშვილი და როსტომიშვილი; მერმე: დავით გარეჯის წინამძღვარი, ვისაც ამ აზრით უჩიოდეს, ზედმიწევნით გამოიკუთლიეთ, მდივანბევს რამაზთან მიიყვანეთ და ღვთის წინაშე სამართალი მისცეს.

რამაზ მდივანბევო, ამ საქმეზე ბეჯითი იყავ მონასტრის საქმეა“.<sup>1</sup>

ზემოთ აღნიშნული არზის და მეფის რეზოლუციის შემდეგ „თავადიშვილებს“ და მდივანბევ რამაზს გამოუქიბიათ რა საქმე დაუწერიათ განაჩენი?, რომელშიც ვკითხულობთ: „...მის უნდალეს მეფის განწყობება ბრძანებისაებრ ებრძანა — ბეჟან ყორჩიბაძის შეიღო და როსტომიშვილი, ამისი გამოკვლევა ჰყავითო და რამაზ მდივანბევთან წარაყენეთო და სამართალი მისცესო.

მე მდაბალმან რამაზ და ზემოხსენებულთ იასულთ ბრძანებისაებრ გამოვიკვლიეთ, რაოდენ ძალ გვედვა კონდოლ კისის ხევ წინანდელთაგან და რაც გვითხრეს, ვიუწყევით და დავინიშნეთ, შემდგომ ამისა მოვიწვიეთ სამართალში სუფრაჯი ქაიხოსრო ავალიშვილი და მდივანი ოთარ, ავალიშვილი გულმა იყო და კაცი გაუგზავნეთ და მდივანი კი თელავს მოვიდა“.<sup>2</sup>

საბუთებში ბევრი სხვა მასალაც გვხვდება გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით საინტერესო, მაგრამ, ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ ორივე სამოქალაქო ხასიათის სა-

ბუთიდან ნათლად ჩანს: 1) სანამ სასამართლო განიხილავდეს საქმეს, მანამდის წინასწარ ტარდება გამოძიება (..ვიუწყევით და დავინიშნეთ, შემდგომ ამისა მოვიწვიეთ სასამართლოში“..ო), 2) ზოგ შემთხვევაში, მომჩივანის მოთხოვნითაც კი გამოძიება მინდობილი აქვს „თავადიშვილებს“.

„თავადიშვილების“, როგორც გამოძიებლების შესახებ, მოსაზრებას ამაგრებს ერთკლე მეფის მიერ მარკოზაშვილის დარბაზის შეთქმულების მონაწილეთ ცნობილი აღექსანდრე ამილახვარიც, რომელიც თავის „გეორგიული ისტორიაში“ ეხება რა მსჯავრის დადებამდის საქმეზე გამოძიების წარმოებას წერს, რომ გამოძიებას აწარმოებდა თავადიშვილები: „მოვიღენ მეფის მიერ გამოგზავნილი თავადიშვილები და სან აღერსით და სან მუქარით ხელახლა ხელწერილი მომთხოვეს“, რომ შეთქმულთ მეფის ოჯახის ამოწყვეტა უნდოდათო.

ა. ამილახვარმა კი გამოძიებისას თავი არ სცნო რა დამნაშავედ, მოითხოვა შეთქმულების მონაწილედ ცნობილ ერთკლე მეორის ბიძა—პაატ ბატონიშვილთან დაპირისპირება, რომლის ჩატარებაც ვიორგი ბატონიშვილს დავეღა; ამილახვარი წერს: „გიორგი ბატონიშვილი არ გამოყვა, რადგან ამ საქმეში ჩარევა არ სურდა, ამიტომ იგივე თავადიშვილები გამოიყვენო“.<sup>3</sup> როგორც დავინახეთ ა. ამილახვარის საქმეს იძებდნენ „თავადიშვილები“. უკანასკნელებმა დააბატიმრეს ისინი, დაჰკითხეს და შეეცადენ ბრალდების დამტკიცებას.

მარკოზაშვილის დარბაზის შეთქმულთა საქმის გამოძიება რომ ცალკე სტადიაა და გასამართლება ცალკე, ეს ჩანს ა. ამილახვარის შემდეგი სიტყვებიდან: „მოკლეს აგრეთვე ერთი ჩვენი აზნაური, რომელმაც პირველად ჩვენება მისცა მათი მოთხოვნისაებრ (ე. ი. გამოძიებაში — მ. კ.), ხოლო შემდეგ აღიარა (სასამართლოში — მ. კ.) უსამართლოდ ვილაპარაკე ძალდატანების გამო“.<sup>4</sup>-ო.

საქართველოს სსრ აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის HD ფონდის № 2267 საბუთის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს დავით ბატონიშვილის ოქმს ნასაღჩიბაძის ნაიბ გიორგისადმი, დათარიღებულს 1890 წლით, ვკითხულობთ: „ქ. ბატონიშვილი, სრულიად საქარ-

1 ცენტ. საისტ. არქივი, ფ. 1449, საბუთი 2493.

2 განაჩენი, განჩინება და სამართალი სამეცნიერო ლიტერატურაში სასამართლოს დასკვნის მნიშვნელობით გვხვდება, განუსხვავებლად სისხლის თუ სამოქალაქო საქმეებისა, რომელთა შორის განსხვავების საკითხი კვლევის საგანი არ გამხდარა.

3 ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდო Ad ს. 2221.

4 ა. ამილახვარი — გეორგიანული ისტორია, „მნათობი“ 1939 წ. № 8, გვ. 146.

5 იქვე, გვ. 146.

6 ა. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, „მნათობი“, № 8, 1939 წ. გვ. 147.

თველოს მემკვიდრე, დავით გიბრძანებთ, მერე ამილახორიშვილს ბარძიმს და გიორგის, რომ ჩხუბი მოხვლიათ, გიორგი ნახალიძისაჲს ნაიბო, შენ უნდა იქ მიხვიდე სადაც ჩხუბი მოხვლოდესთ იქ დაჰსწერე კაცნი შეიბურო, მღვდელი მოაყვანინო და როგორც მომხდარიყოს და ვისაც დანაშაული ჰქონდეს, ყველა წვრილად და თვითვეულად დააწერინო და ჩვენ მოგვაცანო, რომ სამართალი იმათს მოწმობაზედ მოხდებოდეს. საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ გასამართლებას გამოძიება უსწრებდა წინ, ნახალიძის გიორგი კი იასაულად იგზავნება.

შეიძლება სხვა მრავალი მსგავსი საბუთის მოტანაც.

დ) საბრალდებო პროცესის მიხედვით შემდეგი სავალდებულო მოთხოვნაა: მოსამართლე საქმის გარჩევსას პასიურია, იგი მხოლოდ უსმენს და პროცესი დაფუძნებულია მხარეთა შეჯიბრზე. აღნიშნული ნიშანიც არ უდგება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო პროცესს. ეს დასტურდება არა მარტო სასამართლო ხასიათის საბუთებით, არამედ თვით ვახტანგ მეექვსის კანონითაც; ასე მაგალითად: კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნაა, რომ მოსამართლე „მოწმის მამებარი უნდა იყოს უქრთამო და ღვთის მოშიში“, მოსამართლის მოვალეობა — „მოწმის მამებრობა“ გამოირიცხავს მის პასიურობას. მე-4 მუხლის მიხედვით შემთხვევის ადგილზე მდივანბეგი აგზავნის იასაულს და ავალებს მას: „გასინჯე-მოკითხული ქენი და მართალი ამბავი მოგვიტანე“<sup>1</sup>.

182 მუხლი კი ეხება რა ნადირობის დროს ცხენთა შეძგერებით სიკვდილის დადგომის ფაქტს, კანონმდებელი მოსამართლეს ავალებს საქმის გამოძიებით გასინჯავს. ვახტანგ მეექვსის სამართლიდან, შეიძლება სხვა ადგილების მოტანაც, მაგრამ შემოთ აღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოსამართლის როლი მხარეთა მოხმენით არ ამოწურება და იგი გასარჩევი საკითხის არსს უნდა ჩაწვდეს გამოძიებით.

მოსამართლე რომ საქმის გარჩევსას პასიური არ არის, ამის შესახებ უამრავი საბუთები მოგვეპოვება, მოვიტანთ რამდენიმეს:

1797 წლის თარიღით გამოტანილ მსაჯულთა შეტრეზულების ერთ განაჩენში, რომელიც ზაზა სოლოლაშვილისა და იესე მსაჯულის შვილებს შორის სისხლის სამართლის წესით დავას ეხება, ვკითხულობთ:

„ორსვე მხარის საჩივარი მოვისმინეთ და ღვთის შიშ ქვეშ, ამათის ჩხუბის საქმის გამოძიებაში და ჭეშმარიტების ცნობის ცდაში შევებით, ამ საქმეზე მათის უმადლესობისაგან იასაულად ჩენილი, გაბასშვილი ტუტია და მსაჯულოს წვერი თურქისტანისშვილი ნინია, კანონის მიცემით და ღიღის სიფრთხილის დარიგებით და საშინელს ფიცქვეშ შეგდებით ბორბალას გავგზავნეთ. იქ რადგანაც ჩხუბი მოხვლოდათ, ამათის ჩხუბის ვითარების სიმართლის ცნობისათვის, რომ იესე მსაჯულის შვილების მოხვლა ვითარის სახით ყოფილა, პირველად ჩხუბი ვის აუშლია, ჩხუბი რას ალაგს მოხვლიათ და სადაც ჩხუბი მოხვლიათ, იქედამ ზაზა სოლოლაშვილის სასახლეს რა სიმორე აქვს, შეეკრიბათ ბორბალას მყოფი სამლო და საერთო კაცნი და დედაკაცნი და ღიღის ფიცით ეკითხათ და რაც იმათ ემოწმებინათ ის დაეწერათ და სამართალში მოიტანეს“<sup>2</sup>.

შემოთ აღნიშნულ განაჩენის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ა) სასამართლო არ კმაყოფილდება რა მხარეთა კამათით, შემთხვევის ადგილის დასათვალისწინებლად გზავნის ორ ოფიციალურ პიროვნებას, რომლებიც ათვალისწინებენ მას, ართმევენ მოწმეებს წერილობით ჩვენებებს და წარუდგენენ სასამართლოს.

ბ) განაჩენში ფიქსირებული სიტყვები: „ჩხუბის საქმის გამოძიებაში და ჭეშმარიტების ცნობის ცდაში შევებით“ ნიშნავს იმ პროცესუალურ მოქმედებათა შესრულებას (შემთხვევის ადგილის დათვალისწინება, მოწმეთა დაკითხვა და წერილობითი ჩვენებების წარდგენა სასამართლოსათვის), რაც სამძებრო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია და სტილდება სასამართლოს წინაშე წარდგენილ მტკიცებათა მხოლოდ განსჯის სფეროს.

კახეთის მოსამართლეების — ბეჟანისა და ოტიას მიერ, 1787 წლის თარიღით გამოტანილ ერთ განაჩენში — სახლთუხუცესის ქაიხოსროსა და კობიაშვილების შორის მამულის დავის საქმეზე ვკითხულობთ: „...მათ უმადლესობას ჩვენ კახეთის მოსამართლეთა და მდივნებისათვის ოქმით სამართალი ებრძანებინა, ასე რომ კარგად გამოძიებით, მოწმეთაგან გამოკითხვით, გუჯარისა და წიგნების ნახვით და განჩნრეკვით გასინჯეთო; ამ სამართლის განსაჯლად მატანს (შემთხვევის ადგილია მ. კ.) მივედით, მატანდამ მარეღისის მამული დავიარეთ“<sup>3</sup>. ამ შემთ-

<sup>1</sup> ვახტანგ VI სამართალი, თ. ენუქიძის რედაქციით, გვ. 48, 49.

<sup>2</sup> ხელ.—ნაწ. ინსტიტუტი, ფ. Hd ს. 14635.

<sup>3</sup> საქ. ცენტ. საისტორო არქივი, ფონდი 1448, საბ. 673.

6. საბუთთა-სამართალი № 4.

ხვევაშიც, მოსამართლეთა მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფაქტიც საესებით განორიცხავს პროცესში მათ პასიურობას.

1788 წელს კახეთის მოსამართლეების მიერ გამოტანილი ერთი განაჩენის შინაარსი ასეთია: „ზემოდსხენებული გლურჯიძეები ჩვენ სამართალში მოვყვანიეთ და ვალაპარაკეთ და ამით საქმე გამოიძიებთ მოვიკითხეთ“<sup>1</sup>.

მსაჯულთ შეკრებულების სასამართლო (1795 წელს) თავის განაჩენში წერს: „ბატონიშვილს იულონს ჩვენ მსაჯულთათვის ებრძანათ, გამოვიძიებთ და ზედმიწევნილი ვიქმენით“<sup>2</sup>.

1788 წელს ამირლავილი თამაზა, არზას მითარმევს რა დარეჯან დედოფალს, ითხოვს მამაპაათავა კუთვინლ დუქნის დაბრუნებას, დედოფალი თავის რეზოლუციაში ამილახვართარს წერს: „საერთო კაცნი დაუსხი და რომელ დუქანზე ის ჩივის იმ დუქნის საქმე კარგად ზედმიწევნით გამოიძიონ და ჭეშმარიტებით სამართალი მისცენ“<sup>3</sup>.

სხვა ბევრი საბუთის შოტანაც შეიძლება, მაგრამ ესეც საქმარისად მიგვაჩნია.

სადაო არაა, რომ ზემოთ აღნიშნულ საბუთებში მოხსენებული ისტყვა „გამოიძიებთ“, მხოლოდ უბრალოდ საქმისადმი პასიურ დამოკიდებულებას არ გულისხმობდა, აკად. ი. ჯავახიშვილი წერს: „გასამართლებას გამოიძიება უძლოდა წინ, მსაჯულს ჭერ უნდა საქმის უტყუარი ვითარება გაერკვია“<sup>4</sup> და შემდეგ შედგომოდა გასამართლებას.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ვანირჩიოდა ერთმანეთისაგან: დანისტრად და უდანისტროდ გარიგებული საქმეები, რაც შესატყვისნია გამოიძიებისა და გამოიძიების გარეშე გარჩეულ საქმეებისა.

დავით ბატონიშვილს პროექტის მიხედვით დაწვრილებით „გამოიძიებისათვის საქმისა“<sup>5</sup> საჭიროა ადგილზე კაცის გაგზავნა, მამასადაძმე, დავითი საქმის გამოიძიებისათვის მოითხოვს დაწვრილებით ადგილზე მის შესწავლას.

ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესი, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში თანდათანობით სამძებრო პრინციპს ემყარებოდა, მაჩვენებელია ქვეყნის სოციალურ

ეკონომიური ცხოვრებაში მომხდარი დიდ ცვლილებებისა; ეს ცვლილება კი მდგომარეობდეს, რომ ამ პერიოდში საქართველოში ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური (კაპიტალიზმის) საწყისების ჩასახვის პრობები მზადდებოდა (ფუთუაშვილის სამღებრო მანუფაქტურა, თაყუაშვილის თოფის წამლის ქარხანა და სსჯ.<sup>6</sup>

აღნიშნულ პერიოდის სასამართლო პროცესის შესახებ ფასლადუდებელ მასალას გვაწვდის დავით ბატონიშვილი თავის „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვაში“, რომელშიც დამატებულადა მოცემული ის კანონ-წესები, რომელშიც ასახულია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ვითარება.

ამავე ძეგლის 129 და 136 მუხლებით შევსულად, მაგრამ მაინცაა აღიარებული სამძებრო პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშანიწამება; ამასვე აღახტურებს, მარკოლავილის დარბაზის შეთქმულების წევრის აღექსანდრე ამილახვარის „ისტორიიდან“ ამოწერილი ზემოთ მოტანილი ადგილებიც, რომ ერთა აზნაურმა, გამოიძიებისა წამებას ვერ გაუძლო და ტყუილი ჩვენება მისცაო.

„მიმოხილვის“ 680, 681 მუხლებით მოურავს ევალება ეძიოს ქურდები, მკვლელები, ყაჩაღები და სხვა სახის ბოროტმოქმედები, ასევე „მიმოხილვაში“ მოიპოვება სხვა ბევრი მუხლები, რომლებიც მიუთითებენ აღნიშნულ პერიოდში სამძებრო პროცესის არსებობაზე.

მეტისმეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დ. ბატონიშვილის კანონის პროექტიც, რომელშიც შეკრებულაა რიგი ისეთი წესები, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საშოკლადი უფლება და ასახულ უნდა იქნეს კანონში. მტკიცებათა სახეების შესახებ ვკითხულობთ: „ამით მხამს, რათა მსაჯულმან იცოდეს გუარო დამტკიცებისა, რომლიცა შეიცავის ოთხთა შინა რაივეთა ესე იგი: პირველი, — ნებხთი დანაშაულისა თავსდებითა: მეორე — მოწმითა, მესამე წერილითა და მეოთხე ფიცითა“<sup>7</sup>.

<sup>1</sup> საქ. ცენტ. საის ჟორიო არქივი, ფონდი 1449, საბუთი 44.

<sup>2</sup> იქვე. ფ. 1449, სა უთი 677.

<sup>3</sup> „სიძვ ლენი“, ტ. II, გვ. 523.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II წიგნი, გვ. 494.

<sup>5</sup> სამართალი ბატონიშვილი დავითისა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H 2330,

გვ. 16 v.

<sup>6</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ 18 საუკუნის საქართველოში, (მასალა საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 6, თბ. 1937 წ და გოგოლაძე, კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის საქართველოში მნათობი“, № 9, და № 10 1939 წ.

<sup>7</sup> სამართალი ბატონიშვილი დავითისა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ H 2330, გ. 21. v.

უფრო შორს მიდის პროექტის ავტორი, როცა იძლევა ახალ ტერმინს „წინა გამოძიებისას“. ეს ტერმინი დღევანდელი მნიშვნელობით ზუსტად შეეფარდება წინასწარ გამოძიებას. იგი აფრთხილებს მოსამართლეებს, რომ აღიარება არ მოხდეს წამების გამოყენებით (აქ შერეული პროცესის პრინციპია აღიარებული), რადგან შეიძლება პირი უბრალო იყოსო. „ამისათვის ვაფრთხილებ მსაჯულთა, რათა არა წინა გამოუძიებლობისა განსჯითა იქნებოდეს“<sup>1</sup>.

მრავალი სხვა საბუთის მოტანაც შეიძლება, სადაც გამოძიებაზე, როგორც დამოკიდებულ მოქმედებაზეა ლაპარაკი, რომელსაც შემდეგ გასამართლება მოსდევს; პროექტი, რომელიც ძირითადად ცხოვრებაში ფესვგადგმულ წესებს აღწესნავს, გამოირიცხავს საბრალდებო პროცესს და გვიხატავს სავსებით ჩამოუყალიბებულ სამძებრო სასამართლო პროცესს, რომელშიაც შერეული პროცესის აშკარა ნიშნებიც არის მოცემული.

გამომდინარე შემოთ აღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ქართული სასამართლო პროცესის წარმოება მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, ძირითადად სამძებრო ხასიათისაა; ამასთანავე შემონახულია საბრალდებო პროცესის ზო-

გიერთი ელემენტები, რომლებიც მიიმაჩნება შერეულ პროცესის ჩამოყალიბებისაკენ.

2. მე-18 საუკუნის II ნახევარში წინასწარ გამოძიებას დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეებზე აწარმოებს როგორც მეფე, ისე მსხვილი ფეოდალები („თავადიშვილები“). დანარჩენ შემთხვევაში კი საქმის გამარჩევი მდივანბეგებია, რომლებიც ჯერ გამოიძიებენ საქმეს, შემდეგ კი არჩევენ მას. ამასთან აღსანიშნავია შემდეგ გარემოება: ვახტანგის სამართლის წიგნის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მდივანბეგის იასაული, რომელიც საქმის გამოსაძიებლად იგზავნება შემთხვევის ადგილზე, მე-18 საუკუნის II ნახევრის საბუთებში არ ჩანს.

ცალკეულ შემთხვევაში იასაულად გაგზავნილი პიროვნება მხოლოდ კონკრეტული დავლების აღმასრულებელია, რომლის შემდეგაც იგი იასაულობის ფუნქციას კარგავს.

3. მე-18 საუკუნის ბოლოს შედგენილ კანონების პროექტებში ძირითადად აღიარებულია სავამომძიებლო პროცესი, რომელშიც აგრეთვე მოცემულია შერეული პროცესის ნიშნები.

4. მე-18 საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში სასამართლო პროცესში მომხდარი ცვლილებები მიმართული იყო მეფის ხელი-სუფლების გაძლიერებისა და მსხვილი ფეოდალის ალაგმვისაკენ.

<sup>1</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, H ფ. ს 3330 გ. 22 რ.

## გიორგი ნაკათლის დასვითი სიყვავილე



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებზე მუშაობის დროს ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელის დაცვითი სიტყვა (რუსულად), რაც დღემდე გამოუქვეყნებელი სახით ინახება მწერლის პირად არქივში (№ 30:ბ 385).

1875 წლის 30 მაისს სენაკის მაზრის სოფელ თეკლათის მთებში მოხდა საზარელი მკვლელობა. თავად მხეიძეების ოჯახის წევრებმა ცეცხლმსროლელი იარაღით დახოცეს გლეხები, გვარად ლომიები, რომლებიც თეკლათის მთაზე სადამშენებლო ქვის სატეხად იყვნენ წასულნი.

ამ გაუგონარმა დანაშაულმა დიდი გამოსმაურება გამოიწვია არა მარტო ადგილობრივ, სენაკის მაზრის მოსახ-

ლეობაში, არამედ თითქმის მთელ საქართველოშიც.

დამნაშავე მხეიძეები სამართალში იქნენ მიცემულნი და მალე სასამართლო პროცესიც შედგა. ბრალდებულები თავიანთ მოქმედებას იმით ხსნიდნენ, რომ თითქოს გლეხებმა დაარღვიეს მათი (მხეიძეების) საადგილმამულო მფლობელობითი უფლება, მაშინ როდესაც თეკლათის მთები მთელი სოფლის საზოგადო საკუთრება, ეგრეთ წოდებული სამსოფლო იყო.

რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი გიორგი წერეთელი, რომელიც იმ დროს 33 წლის ასაკს იყო მიღწეული, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ ამბავს და გადაწყვიტა კიდევაც სასამართლო პროცესზე მიეღო მონაწილეობა, დაეცვა გლეხების (ლომიების) ინტერესები. სასამართლომ ამაზე მას საამისო ნება დართო.

სასამართლო პროცესზე გიორგი წერეთელმა წარმოთქვა დაცვითი სიტყვა, რომელიც გამოირჩევა თავის ორიგინალობით. ეს სიტყვა მშრალი სადვოკატო სიტყვა როდია.

მართალია სიტყვა ადგილ-ადგილ რამდენადმე გადატვირთულია ისტორიული ექსკურსებით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის გ. წერეთელს მთელი სისრულით ასახოს თავისი საუკუნის გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა და უუფლებობა, თუ როგორი იყო 1864 წელს ბატონყმობის გადავარდნისა და ეგრეთ წოდებული სასამართლო რეფორმის ფაქტიური შედეგები მშრომელი მასებისათვის. იგი სასამართლოს ტრიბუნიდან მოითხოვს რათა გლეხობა გათავისუფლებულიყო არა მარტო ფორმალურად იურიდიულად, არამედ ფაქტიურადც ე. ი. გლეხებს მისცემოდეთ მიწა. იმ დროს ასეთი მოთხოვნა დიდი ამბავი



ყო და იშვიათ გაბედულებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

სიტყვის შესავალ ნაწილში გ. წერეთელი არკვევს საქმის როგორც ფაქტიურ, ისე იურიდიულ მხარეებს და მიუთითებს: „თავადი მხეიძეები მთიდან სახლში ისე ჩამოვიდნენ თითქოს ჩვეულებრივი გართობიდან დაბრუნდნენო. ასეთია ამ საშინელი საქმის გარეგანი მხარე, როგორც ამას საბრალდებო აქტი გადმოგვცემს.

იგივე აქტი აღნიშნავს, რომ თავადი მხეიძეები ხსენებულ მთას თავის საკუთრებად მიიჩნევდნენ და თავიანთ ქონებრივ უფლებას იცავდნენო. ასეთია ამ საქმის შინაგანი მხარე.

გლუხებმა დაარღვიეს თავად მხეიძეების საადგილმამულო უფლება, ხოლო უკანასკნელნი კი იცავდნენ მას გლუხების ხელყოფისაგანო. ასეთია ამ საქმის ოფიციალური მხარე.

მართლაც რომ განსაცვიფრებელი ამბავია“.

გ. წერეთელი თავის სიტყვაში მიმართავს სოციოლოგიურ ექსკურსებს, არკვევს საქართველოში კერძო საკუთრების და წოდებათა (ფაქტიურად კლასების) წარმოშობის პირობებსა და გარემოებებს. ამასთანავე სამართლიანად ასკვნის, რომ წოდებათა, კერძოდ, თავადაზნაურობის აღზევება ძირითადად მხოლოდ მიწის კერძო საკუთრებასთან არის დაკავშირებული. იგი მთელი სისრულით ამხელს ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელ მხარეებს: თვითნებობას, ძალადობას, განკერძოებულებას, გაუტანლობასა და სხვ.

დაცვითი სიტყვის ავტორი სასამართლოს წინაშე სრულიად სამართლიანად სვამს კითხვას: „რატომ არ მიმართეს თავადმა მხეიძეებმა სასამართლოს? ამ კითხვის დასმა აუცილებელია, მისთვის გვერდი არ აუღვია ბრალმდებელ ხელისუფლებასაც“. იგი ყოველგვარი მორიდების გარეშე აშკარად ამხელს მიწაზე

კერძო საკუთრების გამო ატეხილ სასამართლო დავის წარმოშობის მიზეზებს.

„აი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენს საზოგადოებაში აღინიშნება შემდეგი მოვლენა: ატყდება დავა მიწაზე; ეს დავა თანდათან გადადის მოდავეთა უკანდაუხვეველ მისწრაფებაში გახდნენ სადაო ნაკვეთის ფაქტიურ მფლობელად. ასეთი მისწრაფება იწვევს შეტაკებებს, რომლებიც მარცხით, დასახიჩრებითა და მკვლელობით თავდება. უკანასკნელ წლებში ასეთმა შეტაკებებმა ნამდვილი ბრძოლების ხასიათი მიიღო: ცულებთან, ხანჯლებთან და ხმლებთან ერთად ცეცხლმსროლელ იარაღსაც ხმარობენ. ამგვარი საქმეებით გაივსო ჩვენი სასამართლოები. ამ საქმეების რაოდენობა მატულობს. განსაკუთრებით იზრდება მსხვერპლთა და ბრალდებულთა რიცხვი თვითუღს საქმეზე. ეს მოვლენა წარმოადგენს ყველაზე დიდ უბედურებას, რაც გულზე შემოწოლილი აქვს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენი ნამდვილი ცხოვრება არ შეესაბამება სასამართლო რეფორმას“.

გ. წერეთელი მკვეთრად ამხელს თავად მხეიძეებსაც, როგორც ბატონყმობის ტიპურ წარმომადგენლებს, რომლებიც ამყობდნენ წინაპართა ნამდვილი ან მოჩვენებითი დამსახურებით და რომელთაც თვითნებობა და ძალადობა თითქმის დაუკანონებიათ. „მხეიძეები ბატონყმობის თანამედროვენი არიან, როდესაც გლუხს პირუტყვს უთანაბრებდნენ: ისინი არ გათავისუფლებულან ასეთი შეხედულებისაგან, და როდესაც კი საბაბი ნახეს—თავის მოქმედებაში გამოამჟღავნეს. თავადებმა მოჰკლეს გლუხები.

თავად მხეიძეების მიერ ადამიანის სისხლით მორწყული მიწის ნაკერი დავის ბუნებისთვისაც კი არ არის საკმარისი: იგი სულ 4 კვ. საყენია, თუ კიდევაც ჩნდებიან პიროვნებები, რომლებიც პირადი ღირსებების უქონლობის დროს



ამაყობენ თავის შთამომავლობით და წინაპრების ნამდვილი ან მოჩვენებითი დამსახურებით. ეს ჩვენში ღიმილს იწვევს, ანდა არავითარ ყურადღებას არ იმსახურებს, მაგრამ როდესაც ეს პირები აზრიდან და სიტყვიდან მოქმედებებზე გადადიან და ამ მოქმედებით ხელყოფენ ადამიანის კეთილდღეობას, რაც შეიცავს ხშირად ღირსებას, თავისუფლებასა და სიცოცხლეს, მაშინ ისინი ჩაიდან ყველაზე საზიზღარ დანაშაულს და იმსახურებენ უღმობელ და მკაცრ სასჯელს“.

გ. წერეთელი ზედმიწევნით იცნობდა ქართველი ერის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, კარგად ერკვეოდა სისხლის სამართლის საკითხებშიც. განცვიფრებას იწვევს არაპროფესიონალი იურისტი თუ როგორ ანალიზს უკეთებს როგორც დანაშაულის წარმომშობ მიზეზებს, ისე სასჯელის შეფარდების პროცედურის საკითხებსაც. მისი აზრით საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის ჩადენის დროს მკაცრი სასჯელის დადება სავალდებულო ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული. დანაშაული და კერძოდ მკვლელობა ქართველ ხალხში ყოველთვის ზიზღსა და დევნას იწვევდა. დამნაშავის გარშემო ყოველთვის იქმნებოდა საყოველთაო სიძულვილის ატმოსფერო. „მკვლელობა —

აღნიშნავს გ. წერეთელი — როგორც დანაშაული ისჯება მკაცრი სასჯელით, ურყევია სასჯელის შეფარდებაც და სისხლის მართლმსაჯულების სასჯელიც. როგორც დამოკლეს მახვილი მკვლელის თავზე. ამ უფლების დაცვა სასამართლოს მეშვეობით ამა თუ იმ ფორმით, ყოველთვის არსებობდა ჩვენს ხალხში.

ძველ სამეგრელოში, საიდანაც სამართალში მიცემულნი არიან, მკვლელი კანონის გარეშე ითვლებოდა. სიკვდილის შემდეგ მას არ აღიარებდნენ დასაფლავებას, მის გვამს ხეზე ათავსებდნენ მტაცებელ ფრინველთა საჭმელად. ასეთი ფაქტი მე პირადად მინახავს. სიტყვა კაცის მკვლელი ჩვენში გამოხატავს საშინელ, საძაგელ მოქმედებას“.

გიორგი წერეთელი თავის დაცვით სიტყვას მოხდენილი იურიდიული ფორმულით ამთავრებს: მხეიძეებისა და ლომიების ბრძოლაში ორი მომენტი: 30 მაისის შეტაკება, როდესაც დამარცხებული დარჩნენ ლომიები და მხეიძეების გასამართლება, როდესაც დამარცხებულნი იქნებიან მხეიძეები.

გიორგი წერეთლის დაცვითი სიტყვა მნიშვნელოვანია, როგორც XIX საუკუნის ქართულ სასამართლო მკერმეტყველების ერთ-ერთი ნიმუში.



## ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში, დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხებზე რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა. ამის მიუხედავად დაუმთავრებელი დანაშაულის პრობლემა იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ საკითხთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ გაურკვეველი ან სადისკუსიოა. გარდა ამისა, ახალ საბჭოთა სისტემის სამართლის კანონმდებლობაში საქმოდ ვრცელი დადგენილებებია გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, დადგენილია ახალი კრიტერიუმები დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, მოცემულია როგორც დანაშაულის მომზადების, ისე მცდელობის განსაზღვრებანი, სიზუსტეა შეტანილი ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის ცნებაში და სხვ.

ამ თვალსაზრისით უსათუოდ მისასალმებელია პროფ. თ. წერეთლის მიერ სარეცენზიო ნაშრომის გამოქვეყნება.<sup>1</sup>

თ. წერეთლის მონოგრაფიაში განხილულია თემასთან დაკავშირებული საკითხების მეტად ფართო წრე. ავტორი გვაძლევს საბჭოთა სისტემის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გულდასმით ანალიზს. ნაშრომში მეცნიერული სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით გადმოცემულია საბჭოთა კრიმინალისტიკის შეხედულებები და ამასთან კრიტიკულად არის განხილული სადაო დებულებები. აქვე ვრცლად არის დახასიათებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სისტემის სამართლის კანონმდებლობა დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხებზე. მონოგრაფიაში მოცემულია კრიტიკა ბურჟუაზიული სისტემისამართლებრივი კანონმდებლობისა და თეორიისა დანაშაულის მცდელობის შესახებ. ავტორის საგანგებოდ ეხება და იურიდიულ ანალიზს უკეთებს ქართული ფეოდალური სამართლის ნორმებს დანაშაულის მცდელობის საკითხებზე.

სარეცენზიო ნაშრომი ხასიათდება დაყენებული საკითხების შემოქმედებითი გადაწყვეტით. ამით, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. წინამდებარე მოკლე რეცენზიაში ჩვენ შესაძ-


ლებლობა არა გვაქვს დაწვრილებით განვიხილოთ ნაშრომში წამოყენებული და გადაწყვეტილი ყველა საკითხი. ამის გამო შევეხებით მხოლოდ ყველაზე არსებით საკითხებს.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განზრახვი დანაშაულის განხორციელების სტადიის ზოგადი ცნების დახასიათებას. უსათუოდ მართებულად უარყოფს ნაშრომის ავტორი იმ საბჭოთა კრიმინალისტიკის შეხედულებას, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს განზრახვის აღმოცენება და მისი ფორმირება დანაშაულის განხორციელების დამოუკიდებელ, თუმცა დაუსჯელ სტადიას წარმოადგენს. „განზრახვის გამომყვანებასა და მის სისრულეში მოყვანას შორის მეტად დიდი მანძილია და ამ დროის განმელობაში სუბიექტს მრავალრიცხოვანი შეიძლება დაეხადოს სრულიად საწინააღმდეგე აზრები, რომლებიც ხელს შეუშლიან მისი განზრახვის განხორციელებას, ძირიანად შეცვლიან მის ფსიქიკურ განწყობილებას“ (გვ. 42).

ნაშრომის ავტორი ლოგიკურად თანმიმდევრულია ამ დებულების დაცვისას. კერძოდ, იგი დამაჯერებლად უარყოფს იმ შეხედულებასაც, თითქოს საბჭოთა სისტემის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთი დამთავრებული დანაშაულობების დასჯადობასაც, რომლებიც არსებითად განზრახვის გამომყვანებას წარმოადგენენ. ამის მაგალითად ამ შეხედულების ავტორები ასახელებენ დასჯადი მუქარის შემთხვევებს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თ. წერეთელს იმაში, რომ მუქარა, თუკი იგი გათვალისწინებულია სისტემის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, არ შეიძლება განხილული იქნას როგორც განზრახვის გამომყვანება. მუქარა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ განზრახვის გამომყვანებას კი არ წარმოადგენს, არამედ ამასთან იგი იწვევს იმ პირობის, ვისაც ემუქრებიან, ერთგვარი შიშის, ალღევის გრძნობას, არღვევს მის სულიერ სიმშვიდეს.

გარდა ამისა, როგორც ავტორი აღნიშნავს, მუქარა ყოველთვის როდი წარმოადგენს პიროვნების ნამდვილი განზრახვის გამომყვანებას.

<sup>1</sup> თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961, 247 გვ.



დამპყრებელი შესაძლებელია მუქარას მხოლოდ დასაშინებლად იყენებდეს და სრულიად არ ქონდეს განზრახული თავისი მუქარის განხორციელება.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმ სწორი წინამძღვარიდან გამომდინარეობს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში მოქმედება (ან უმოქმედობა) იქნას ცნობილი სასჯელის შეფარდების საფუძვლად.

დამთავრებელი დანაშაულის ცნების გარკვევა შეუძლებელია ისე, თუ არ გვეცოდინება, როდის არის იგი დამთავრებული და მასასაღამე, რა ნიშნები უნდა ავლდეს დანაშაულებრივ ქმედობას, რომ იგი დამთავრებულად ჩავთვალოთ. თვით პასუხისმგებლობას წინასწარი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ნაწარმოები ხასიათი აქვს და იგი დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორაა განსაზღვრული პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულსათვის. ავტორიც სწორედ ასე იქცევა: წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის ბუნების გარკვევამდე ნაწარმოში განმარტებულია დამთავრებული დანაშაულის ნიშნები. ეს მას შესაძლებლობას აძლევს ნათლად განსაზღვროს დამთავრებული დანაშაულის ცნება და გვიჩვენოს წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის პასუხისმგებლობის ნაწარმოები ხასიათი.

საბჭოთა სისხლის სამართალში სოციალისტური კანონიერების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას კანონში დანაშაულებრივი ქმედობის არსებითი ნიშნების ზუსტი და ამოწურავი განსაზღვრა წარმოადგენს. ამის გამო უცილობელია ნაწარმოში წამოყენებული დებულება იმის შესახებ, რომ დანაშაულის დამთავრების საკითხის გადაწყვეტა პირობადებულია იმით, რომ თუ როგორ არის აღწერილი შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში. დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის თვალსაზრისით ავტორი ახასიათებს დამთავრებული დანაშაულს ორ სახეს: 1) დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, რომელნიც დამთავრებულად ითვლებიან იმ მომენტიდან, როდესაც დაზიანებულია სამართლით დაცული ობიექტი და 2) დანაშაულის შემადგენლობები, რომელთა დამთავრებისათვის არ არის საჭირო ზიანის მიყენება ამა თუ იმ ობიექტისათვის, არამედ საკმარისია ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა. ნაწარმოში დამაჯერებლად არის დასაბუთებული საფრთხის შექმნელი დელიქტების გათვალისწინების საჭიროება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში.

რჩება თუ არა ძალაში დებულება, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დროსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს პირის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა წარმოადგენს?

ნაწარმის ავტორი, ვფიქრობთ, მართებულად იქცევა, როდესაც მისაღებად თვლის აღნიშნულ საკითხზე პროფ. ნ. ლურჯანაშვილის შეხედულებას. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილია დანაშაულის შემადგენლობის მთავარი, ძირითადი ფორმა (ტიპი) — დამთავრებული დანაშაული. კანონმდებელს შეეძლო იქვე გაეთვალისწინებინა მომზადებისა და მცდელობის შემადგენლობა. ეს კი გამოიწვევდა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ვაზრდას. „ამიტომ საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებებით მან აშკარადაა ზოგად ნაწილში მიეთითებინა, რომ დამთავრებულ დანაშაულთან ერთად ისევე აგრეთვე ისეთი ქმედობაც, რომელიც ამ დანაშაულის შესრულებისაკენაა მიმართული. თავისთავად ცხადია, რომ ძირითადი, მთავარი ტიპის დანაშაულებრივ შემადგენლობად, დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა რჩება, ხოლო მცდელობისა და მომზადების შემადგენლობანი მისგან ნაწარმოები შემადგენლობანი არიან“ (გვ. 66). ამრიგად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია ექვნიდეს შესაბამისი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა ან დანაშაულის მომზადების შემადგენლობა, ან ამ დანაშაულის მცდელობის შემადგენლობა.

ნაწარმოში სწორად არის დახასიათებული დამთავრებული დანაშაულის ობიექტური მხარის თავისებურებები, მოქმედების სპეციფიკა მომზადებისა და მცდელობის დროს. ავტორი გამოიხატავს იმ დებულებიდან, რომ მომზადებას უნდა მიეკუთვნოს ისეთი მოქმედება, რომელიც ჰქმნის პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად ე. ი. შესაძლებლად ხდის ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას. მომზადებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც თუმცა მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნას პირობები დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ თავისთავად არ ქმნის ასეთ პირობებს. აქედან ავტორი თანმიმდევრულად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მართალია მომზადება წარმოადგენს პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ იგი არ გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულის განხორციელებას.

განსხვავებას მომზადებასა და მცდელობას შორის თ. წერეთელი იმაში ხედავს, რომ სახელდობრ, მცდელობა ხასიათდება სოციალისტური მართლწესრიგით დაცული ობიექტების დაზიანების უშუალო საფრთხის შექმნით.

საფრთხის ცნების ნამდვილი შინაარსის გარკვევა დაუშთარებელი დანაშაულის მიმართებაში მეტად დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული.

საფრთხე, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ნიშნავს მანე შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, ე. ი. საფრთხე შესაძლებლობის კატეგორიას ეკუთვნის.

თ. წერეთელი გვამცხვს საფრთხის ცნების იმ სუბიექტური და „ობიექტური“ შეხედულებების ნამდვილად მეცნიერულ კრიტიკას, რომლებიც ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაშია გაბატონებული.

საფრთხის ცნების სუბიექტური შეხედულების წარმომადგენლები იმ ყალბი, იდეალისტური დებულებიდან გამომდინარე, რომ შესაძლებლობა რეალურ სინამდვილეში არ არსებობს. შესაძლებლობა გამოხატავს მხოლოდ სუბიექტის მოლოდინის ხარისხს.

ბურჟუაზიულ მეცნიერთა აზრით, რეალური ცხოვრების სინამდვილეში შეიძლება ადვილი ქონდეს არა შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ აუცილებლობას, ან შეუძლებლობას. აქედან გამომდინარეობს, რომ საფრთხის შემქმნელი ანუ ნაწილობრივი კაუზალური მოქმედება, რომელიც შედეგის განხორციელების შესაძლებლობას შეიცავს, რეალურ სინამდვილეში არ არსებობს.

საფრთხის ცნების ასეთი სუბიექტური გაგება ვერ გამოდგება დანაშაულის მცდელობის შინაარსის დადგენისათვის. ეს აიძულებს ზოგიერთ ბურჟუაზიულ იურისტს მოქმედებს საფრთხის სუბიექტურ ცნებაში რაიმე ობიექტური ელემენტი და გამოიყენოს საფრთხის ცნება დანაშაულის მცდელობის განმარტებისათვის. ასეთ ელემენტად ისინი ცნობენ იმ ფსიქიკურ რეაქციას, შიშისა და მღელვარების განწყობას, რასაც საზოგადოებაში ან დაზარალებულში განსაზღვრული მოქმედება იწვევს. მაგრამ „ასეთი ცლა უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს. საფრთხის სუბიექტური განმარტება იმ შედეგამდე მიგვიყვანდა, რომ ამა თუ იმ მოქმედების აღიარება საშიშად ან არასაშიშად დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, შეამჩნია თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, ვის წინააღმდეგაც იგი იყო მიმართული“ (გვ. 105).

ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში განსაკუთრებით გავრცელებულია ზოგადი ანუ აბსტრაქტული საფრთხის თეორია. ამ თეორიაშიც

არსებითად შესაძლებლობა სუბიექტურ მსჯელობად განიხილება. ამ თეორიის წარმომადგენლები, რომლებიც ე. წ. „ობიექტურ შესაძლებლობის“ ცნების შესახებ ბურჟუაზიული მეცნიერის კრისის სწავლებას ეყარებიან, მცდელობას განმარტავენ როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც საზოგადოდ გამოსაღვეია იმისათვის, რათა გამოიწვიოს განსაზღვრული შედეგი. თუ მოქმედება არ ხასიათდება ამ შედეგის გამოწვივის აბსტრაქტული უნარით, მაშინ მათი აზრით, იგი არ შეიძლება დასჯად მცდელობად ჩაეთვალოს.

ნაშრომში მართებულად არის მითითებული, რომ როგორც პირველი, ისე მეორე თეორიის მსჯელობა საფრთხის შესახებ უდაოდ სუბიექტური ხასიათისაა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „...საფრთხეზე სუბიექტური მსჯელობის დროს მხედველობაში არ მიიღება ისეთი ფაქტები, რომელნიც ცნობილი არ იყო მსჯელობის სუბიექტისათვის, ხოლო საფრთხის აბსტრაქტული გაგების დროს განზრახ და შეგნებულად არ იღებენ მხედველობაში ზოგიერთ პირობებს, რომელთაც ზოგადი, ტიპური ხასიათი არა აქვთ“ (გვ. 107).

მაშ როგორ უნდა იქნას გაგებული საფრთხის ცნება მცდელობისადმი მიმართებაში?

ამ საკითხზე თ. წერეთელმა მეტად ორიგინალური და მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულება წამოაყენა და განავითარა ჯერ კიდევ 1942 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება მცდელობის განსაზღვრის დროს“<sup>1</sup>. ამ შეხედულებამ მხარდაჭერა ჰპოვა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში.<sup>2</sup>

თ. წერეთელი საფრთხის ცნების ნამდვილი შინაარსის დასადგენად მოხერხებულად იყენებს მარქსისტული დიალექტიკის დებულებებს შესაძლებლობის კატეგორიის შესახებ.

„თუ ჩვენ, — წერს ავტორი, — შესაძლებლობის ცნებას საფრთხის ცნების განმარტებისათვის გამოვიყენებთ, დავინახავთ, რომ საფრთხე, ე. ი. მანვ შედეგის განხორციელების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც კონკრეტულ სინამდვილეში მოცემულია მისი განვითარების ქმედითი პირობები, რომლებიდანაც კანონზომიერად მოსალოდნელია მანვ შედეგის ნამდვილად განხორციელება“ (გვ. 113). მცდელობა შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ის გარემოება, რომ

<sup>1</sup> თ. წერეთელი, რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის (თუ შოკაძე, 1942, ტ. XXIV, გვ. 17—53).

<sup>2</sup> მაგ., „Уголовное право. Общая часть 3, Юридаг, М., 1948, стр. 394—396. А. А. Пионтковский, учение о преступлении по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1961, стр. 490—491.

მცდელობის დროს დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელებულა, აიხსნება იმით, რომ „...დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის საშიშროებას, რომელიც ადამიანის მოქმედებითა შექმნილი, წინ აღუდგას სხვა შესაძლებლობას. რეალურ სინამდვილეში თავი იჩინებს სხვა პირობებმა, რომლებმაც ხელი შეუშალეს შედეგის განხორციელებას“ (გვ. 115).

უნდა დაეთანხმით ავტორს იმაში, რომ განსაზღვრული მოქმედების აღიარება მცდელობად თუ დამთავრებულ მოქმედებად, ან მცდელობად თუ მოშადებად, დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასზე. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული, ცალკეული დანაშაულის თავისებურებათა მხედველობაში მიღებით. ამის გამო მცდელობის განსაზღვრების დროს საკმარისი არ არის იმაზე მითითება, რომ ეს არის მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, არამედ აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული, რომ აქ მოქმედებით დანაშაულის შემადგენლობა ბოლომდე განხორციელებული არ ყოფილა და გარდა ამისა, დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი სუბიექტის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

იმის დასადგენად გვაქვს თუ არა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიშროების ის მინიმალური ხარისხი, რომელიც აფუძნებს ქმედობის დანაშაულებრივ ხასიათს, ავტორის შეხედულებით, სხვა გარემოებებს შორის ერთობლივად უპირატესობა უნდა მიენიჭოს: 1) პირის მოქმედებით შექმნილი საფრთხის ოდენობას, 2) ხელყოფის ობიექტის ღირებულებას და 3) იმ ზიანის მოცულობას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ობიექტის ხელყოფამ.

ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს. ამ თავში სწორად არის მიგნებული ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ნებაყოფლობით ხელის აღებას განასხვავებს დასჯადი მოშადებისა ან მცდელობისაგან. ასეთად ავტორი ცნობს იმას, რომ პირველ შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგი არ ხორციელდება მოქმედის ნებაზე დამოკიდებული მიზეზების გამო, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, შედეგი არ ხორციელდება დანაშაულის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა, ავტორის მართებული თვალსაზრისით, აიხსნება არა იმით, რომ ისპობა პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება (ამას ამტკიცებენ მრავალრიცხოვანი სუბიექტური თეორიები ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში), არამედ იმით, რომ ასეთ შემთხვევაში არა

გვაქვს დანაშაულის არსებითი ნიშანი მცდელების საზოგადოებრივი საშიშროება

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი დამთავრებული მცდელობის დროს დიდ დავას იწვევს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. თ. წერეთელი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ყველა საფუძველი არსებობს ცენტრ ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს. ამასთან, „დამთავრებული მცდელობის ჩამდენს მოეთხოვება აქტიური ჩარევა მოვლენათა მსვლელობაში, რათა მიზეზობრივი კავშირის ჩარხებში შეიმთავრდეს“ (გვ. 235).

მონოგრაფიაში დასმულია და ორიგინალურად გადაწყვეტილი მრავალი ისეთი საკითხი, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს თემასთან. ამასთან გვსურს ზოგიერთი კერძო ხასიათის შენიშვნა გავაკეთოთ.

ნაშრომის ავტორი დანაშაულის მოშადების დასჯადობის შესახებ იმ აზრისაა, რომ დანაშაულის მოშადება პრინციპში არ უნდა ისჯებოდეს. ამასთან თ. წერეთელი მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის კონკრეტული შემთხვევების ზუსტად ჩამოთვლას. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორის ძირითადი დებულება ასეთია: მოშადების დროს, „...საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების ხარისხი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამართლით დაცული საკითხისათვის რეალური საფრთხის შექმნაში. მოქმედებას, რომელიც იარაღთა და საშუალებათა შექმნაში დანაშაულის პირობების შექმნაში გამოიხატება, ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი ქმედითი, ისეთი აქტიური ხასიათი, რომ იგი შედეგის განხორციელების პოტენციალურ შესაძლებლობას შეიცავდეს. ამავე დროს, როგორც საერთო წესი, მოშადება დანაშაულის დამთავრებისაგან საკმაოდ დიდი მანძილით არის დამორეგული და ამ მანძილზე აღვიღად შეიძლება წარმოიშვას გარემოებანი, რომელნიც ხელს შეუშლიან დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებას“ (გვ. 89-90).

ავტორის მოტანილი არგუმენტაცია თავისუფლად შეიძლება გამოიყენოს სასამართლოში მის გასარკვევად, შეიცავს თუ არა კონკრეტული დანაშაულის მოშადება საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ ხარისხს, რომ იგი დანაშაულად იქნას ცნობილი. მოკლეა რომ ვთქვათ, ავტორის მიერ წამოყენებული მოსაზრებები სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მაშინ, როდესაც დგას საკითხი მოშადების დროს საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების შესახებ. ამას ფაქტურად არც ნაშრომის ავტორი უარყოფს, როდესაც სხვა ადგილას

წერს: „თუმცა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფორმალურ შეზღუდვებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის მხრივ, როგორც ამას აკეთებენ ზოგიერთი ბურჟუაზიული კანონმდებლობანი, მაგრამ საბჭოთა მოსამართლეს ზოგჯერ შეუძლია არ დასაჯოს ასეთი ქმედობა, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში იგი შეიძლება მოკლებული იყოს საზოგადოებრივ საშიშროებას და ამიტომ დანაშაულად ვერ ჩაითვლება“ (გვ. 201). აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ესა თუ ის მოქმედება ფორმალურად შეიცავს განსაზღვრული დანაშაულის მომზადების ნიშნებს, მაგრამ მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას, იგი არ შეიძლება დანაშაულად ვცნოთ მიუხედავად იმისა, რომ ახალმა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ მომზადება ყველა შემთხვევაში პრინციპში დასაჯად მოქმედებად ცნო.

გარდა ამისა ვფიქრობთ, დანაშაულის მომზადების პრინციპული დაუსჯელობა არ შეიძლება მივიღოთ თუნდაც იმიტომ, რომ თუ განსაკუთრებით საშიში რეციდივისებ მცირემნიშვნელოვან დანაშაულს (ე. ი. ისეთ დანაშაულს, რომლის მომზადებაც დასჯად არ იქნებოდა ცნობილი) ჩაიდენს, მაშინ მისი დაუსჯელობა გამართლებული არ იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი მეტად დიდია.

ნაშრომის 30-ე ვეკრატზე აღნიშნულია, რომ „მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა 1919 წლის „სახელმძღვანელო საწყისებში“ განპირობებული იყო ამ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვით. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგან კონტრარევოლუციასთან გამძაფრებული ბრძოლა მოითხოვდა სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გაძლიერებას“. ვფიქრობთ, დანაშაულის მომზადების დასჯადობის დასაბუთება „სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვით“ არ უნდა იყოს სწორი. როგორც ცნობილია, მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდგომ და დღესაც საბჭოთა

სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის მომზადებას დასჯად თვლის.

ნაშრომში არასწორად არის ცნობილი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ფ. კირიჩენკოს მიერ ტერმინის „უვარგისი ობიექტის“ მაგიერ ტერმინის „აარაეალური ობიექტის“ შემოღება. ამტკიცებს რა თავის ამ მოსაზრებას, ავტორი საჭიროდ ცნობს ერთმანეთისაგან იქნას განსხვავებული დაცვის ობიექტი და ხელყოფის უშუალო ობიექტი. მკვლელობის ამკრძალავი ნორმა იცავს ადამიანის სიცოცხლეს, ხოლო ხელყოფის ობიექტი მკვლელობის დროს არის ის ცოცხალი ადამიანი, ვისზეც მიმართულია მოქმედება (იხ. გვ. 162).

ვფიქრობთ, დაცვის ობიექტისა და ხელყოფის ობიექტის ასეთი დაპირისპირება სადაა. სისხლის სამართალში ხელყოფის ობიექტი იმდენადაა ობიექტი, რამდენადაც იგი დატულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმით. ამით იმის თქმა ვესურს, რომ მკვლელობის ამკრძალავი ნორმის დაცვის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ასევე მკვლელობის ხელყოფის ობიექტია ისევე ადამიანის სიცოცხლე. ობიექტის შინაარსი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. სწორედ იმის გამო, რომ მოქმედება ხელყოფის იმ ობიექტს, რომელსაც ნორმა იცავს, იგი დანაშაულად ცხადდება.

ჩვენი ეს მოსაზრებები, როგორც აღვნიშნეთ, კერძო ხასიათის შენიშვნებია და ოღნაუღაც არ მოქმედებენ სარეცენზიო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

პროფ. თ. წერეთლის მონოგრაფია დიდი და გულმოდგინე შრომის ნაყოფია, იგი საბჭოთა იურიდიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. ნაშრომის გაცნობა სერიოზულ დაზმარებას გაუწევს როგორც სტუდენტობას, ისე მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკებს. ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა მისი მეორეჯერ, მაგრამ ამჯერად რუსულ ენაზე გამოცემა.

გ. ტყეშელაშვილი

მიმდინარე წელს სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“-მ გამოსცა დოც. გ. ზ. ინწკირველის წიგნი „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი საკითხები“. დასახელებულ ნაშრომს სასწავლო დანიშნულება აქვს. იგი განკუთვნილია საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული სახელმძღვანელო ამჟამად მეორედ გამოდის, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ეს არის მოცემულ საგანში მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენის პირველი შემთხვევა. რაც უსათუოდ მისასაღებელია.

არ შეიძლება არ დავეთანხმეთ სარეცენზოო ნაშრომის ავტორს იმაში, რომ სოციალისტური სამართლის ნორმების, საბჭოთა კანონების პრაგმატიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საბჭოთა ადამიანის აქტიური და შეგნებული მონაწილეობისა კომუნისტურ მშენებლობაში. საბჭოთა კანონების დრმა ცოდნა შესაძლებლობას აძლევს ყოველ მოქალაქეს არა მარტო თვითონ შეასრულოს ისინი, არამედ აქტიურად იბრძოდეს სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ. რასაც შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო აპარატის ამა თუ იმ რგოლში ან ცალკეულ თანამდებობის პირთა საქმიანობაში. საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. „ისეთ პირობებში, — სამართლიანად მიუთითებს სარეცენზოო ნაშრომის ავტორი, — როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უშუალოდ ემბება წარმოებაში — შრომის საქმიანობას იწყებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სახელმწიფო დაწესებულებებში, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში — ამ საგნის დრმად დაუფლება საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების, როგორც სსრ კავშირის სრულყოფილი მოქალაქეების მომზადებას ფართო საზოგადოებრივი ასპარეზისათვის“ (გვ. 4).

სარეცენზოო წიგნის უპირველეს დირსებად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ მასში საკითხები სახელმწიფოს, სამართლისა და კანონიერების შესახებ განხილულია სკკ XX, XXI და XXII ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ტენდენციებს სოციალიზმიდან კომუნისმში ვარდამავალი ეპოქისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების აუცილებლობას, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად გადაზრდის აუცილებლობას; დამავრებლად არის ნაჩვენები საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და დანიშნულება ამ მიმართულებით. საკმაო სისრულით არის გადმოცემული საკითხი საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა.

ყველა საკითხი, რომელსაც ავტორი ეხება სარეცენზოო წიგნში, სათანადო თანმიმდევრობითა და სიღრმითაა გაშუქებული. წიგნი შედგება შესავლისა და 9 თავისაგან.

პირველ თავში, რომლის სახელწოდებებაც — „სახელმწიფო, სამართალი და კონსტიტუცია“, ავტორი ზოგად თეორიულ ასპექტში მოკლედ ჩერდება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი არსის, ისტორიული როლისა და ამოცანების საკითხებზე, განიხილავს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიულ ტიპებს. განსაკუთრებით ამახილებს ყურადღებას სოციალისტური ტიპის სახელმწიფოზე და სამართალზე, როგორც ახალი, უმაღლესი ტიპის სახელმწიფოზე და სამართალზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება დრმედ არსებულ ყველა ტიპის სახელმწიფოსა და სამართლისაგან.

ავტორი ახასიათებს რა საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოსა და სამართალს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებდან დრმედ, სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩვენში „ემპსპლოტატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ, მთელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში იწყება პროცესი პროლეტარი-

<sup>1</sup> დასაყლებული ნაშრომი წარმოადგენს დოც. გ. ინწკირველის მიერ 1959 წელს გამომცემული ამავე სახელწოდების წიგნის მეორე გადაწვევებულ და შეესებულ გამოცეას. სახელმძღვანელო შედგენილია საგნის შესაამისი პროგრამის მიხედვით.

ატის დიქტატურის სახელმწიფოდან საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდისა“... (იხ. გვ. 12). ხსნის ასეთი ვადაზრდის მიზეზებს, საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაციის როლსა და დანაშნულებას კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე გადასვლის საქმეში, ასევე ახასიათებს რა სოციალისტურ სამართალს, ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ჩვენში სამართალი ამჟამად „გამოსახავს არა თუ საზოგადოების უმრავლესობის, არამედ მორალურ-პოლიტიკურად ერთიანი მთელი საბჭოთა ხალხის საერთო ნებისყოფასა და ინტერესებს“ (გვ. 13).

შემდეგ ავტორი განიხილავს სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის ბედს სრული კომუნისმის დროს, მათი კვდომის პირობებს, ახასიათებს კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობას, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს მემკვიდრეს მისი სიკვდილის შემდეგ და სხვ.

ამავე თავში ავტორი სპეციალურად ჩერდება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე. განსაზღვრავს კონსტიტუციის არსს, ხაზგასმით აღნიშნავს იმ თავისებურებებს, რითაც საბჭოთა კონსტიტუცია განსხვავდებოდა და განსხვავდება ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან, გადმოსცემს სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მოკლე შინაარსს და სხვ.

შემდეგ თავებში, სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის სრული შესაბამისობით, ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს სსრ კავშირის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებს, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს, სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, საბჭოთა საარჩევნო სისტემასა და, ბოლოს, მე-9 თავში სპეციალურად ჩერდება კომუნისტურ პარტიაზე, როგორც საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალაზე.

ახასიათებს რა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, (თავი 11) ავტორი მართალია მოკლედ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას სარეცენზო ნაშრომის მოცულობა იძლევა, მაგრამ ყველა ძირითად მომენტზე ხაზგასმით გადმოგვცემს თუ როგორია საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემაღვლლობა, მისი პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლი, თუ რას წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, შრომის რა პრინციპი უდევს მას საფუძვლად და სხვ. ერთი სიტყვით, ავტორი ეხება ყველა იმ საკითხს, რომლებიც ერთობლიობაში გვაძ-

ლვენ სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილების ცნებას.

ასევე, ახასიათებს რა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობილებას, (თავი III) ავტორი ყურადღებას ამახვილებს სსრ კავშირის, როგორც საკავშირო სახელმწიფოს აგებულებაზე. საბჭოთა ფედერაციის ძირითად პრინციპებზე, მის შემადგენლობაზე, საკავშირო ხელისუფლების უფლებამოსილებაზე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებრივ მდგომარეობაზე, მოკავშირო რესპუბლიკების აღმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფაზე, სსრ კავშირის მოქალაქეობაზე... ე. ი. ყველაფერ იმაზე, რაც ერთობლიობაში გვაძლევს სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი წყობილების ცნებას; ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს კომუნისტური პარტიის ლენინური ერთიანი პოლიტიკის გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობას და ცხოველყოფილებას, რაც თავის გამოსახულებასა და კონკრეტულ დადასტურებას პოულობს სწორედ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობილებაში.

სარეცენზო წიგნის IV თავში დახასიათებულია საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოები, კერძოდ, მოცემულია როგორც სსრ კავშირის, ასევე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების (შესაბამისი უმაღლესი საბჭოების და მათი პრეზიდიუმების), ასევე მმართველობის უმაღლესი და ცენტრალური ორგანოების (მინისტრთა საბჭოების, ცალკეული სამინისტროების და ა. შ.) სტრუქტურა, მათი შექმნის წესი, უფლებამოსილებანი და კომპეტენციები.

აქვეა განხილული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, ე. ი. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობა.

მომდევნო V თავში განხილულია სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები; სახელდობრ, მოცემულია მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოების — საბჭოთა სასამართლოების სისტემა, მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და საბჭოთა პროკურატურის, როგორც კანონთა ზუსტად შესრულებაზე ზედამხედველობის გამწევი ორგანოს ფუნქციება.

ავტორი აქვე ეხება სოციალისტური კანონიერებისა და სოციალისტური სამართლის დარგების საკითხს, რათა საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ახალგაზრდობას წარმოედგინა შეუქმნას იმაზე, თუ როგორია სოციალისტური სამართლის სისტემა. ავტორი ხაზსებით სამარ-

თლიანად მიზანშეწონილად მიიჩნევს ძირითად ხაზებში დაახასიათოს საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული, საფინანსო, სამოქალაქო, შრომის, მიწის, საკოლმეურნეო, საოჯახო სამართალი, სისხლის სამართალი და ა. შ. ამასთან ავტორი შედარებით ვრცლად გადმოსცემს სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ახალგაზრდობისათვის.

სარეცენზიო წიგნის შემდგომ VI და VII თავებში ლაპარაკია სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებზე; განხილულია შრომის, დასვენების, მატერიალური უზრუნველყოფის, განათლების, პოლიტიკური უფლებები (სინდისის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვის თავისუფლება, კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება), მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, მოქალაქეთა პირადი უფლებები (პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის ხელშეუხებლობა, მიწერ-მოწერის საიდუმლოება) და სხვ. შემდეგ ავტორი ლაპარაკობს სსრ კავშირის მოქალაქეთა ისეთ ძირითად ვალდებულებებზე, როგორცაა კონსტიტუციის დაცვა და კანონთა შესრულება, შრომის დისციპლინის დაცვა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა და საზოგადოებრივი მოვალეობის პატიოსნად შესრულება, საზოგადოებრივი, სოციალისტური საქუთობის დაცვა და განმტკიცება, სამშობლოს დაცვა, როგორც სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო და წმიდათა-წმიდა მოვალეობა და ა. შ.

ავტორი არ კმაყოფილება აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების მხოლოდ უბრალო ჩამოთვლით. იგი ამასთანავე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს უფლებები და მოვალეობები განხორციელების მხრივ უზრუნველყოფილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილებით.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე შევნიშნოთ ისიც, რომ ავტორი არ ჯერდება მარტო საბჭოთა სამართლის ზოგადი საფუძვლების გადმოცემას, არამედ ყველგან, სადაც თემა ამის შესაძლებლობას იძლევა, იგი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს ისეთ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებზე, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. მაგ. ავტორი განიხილავს რა შრომის უფლებას, იქვე ამახვილებს ყურადღებას შრომის სამართლის ისეთ კარდინალურ საკითხებზე, რო-

გორიცაა შრომის ხელფასი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სამუშაოზე მიღების წესი, სახეზაოდან დათხოვნა, შრომითი დავების განხილვის სპეციალური წესები და სხვ. ასევე იქცევა ფართო განათლების უფლების, მატერიალური უზრუნველყოფის უფლებისა და სხვათა განხილვის დროს.

VIII თავში ავტორი ეხება საბჭოთა საარჩევნო სისტემას, მისი დემოკრატიული უფლებების გამოხატვას საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირ არჩევნებში ფარულ კენჭისყრის საფუძველზე და ა. შ.

და ბოლოს, IX თავში, ავტორი ახასიათებს კომუნისტურ პარტიას, როგორც საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალას. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს სარეცენზიო წიგნის შემოგანხილულ თავებში ავტორი არ ამახვილებდეს ყურადღებას ამ საკითხზე. აღნიშნული საკითხის ცალკე გამოყოფის მიზანია უფრო კონკრეტირებულ ფორმაში უჩვენოს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას არა მარტო მშობლიური კომუნისტური პარტიის როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, არამედ ისიც, თუ როგორ ანხორციელებს პარტია ამ ხელმძღვანელობას საბჭოთა საზოგადოებასა და სახელმწიფოში.

როგორც ვხედავთ, მეტად ფართოა და მრავალფეროვანი საკითხთა ის წრე, რომელსაც ეძღვნება ავტორმა წარმატებით დასძლია მის წინაშე მდგარი საქმაოდ რთული ამოცანა. სახელმძღვანელოში მოცემულია სქემები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი (გვ. 71), სასამართლოსი (გვ. 90) და პროკურატურის ორგანოების (გვ. 100) შესახებ. ეს უსათუოდ გაუადვილებს მოსწავლეებს საკითხთა დაძლევა; ასეთი სქემების სიმრავლე (მმართველობის უმაღლეს ორგანოებზე, ტელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე) კიდევ უფრო მეტ ღირსებას შემატებდა სახელმძღვანელოს.

სარეცენზიო სახელმძღვანელოს მეორე გამოცემას ის უპირატესობაც აქვს, რომ მასში ცალკეულ საკითხთა ახსნისას ხშირად ჩვენი რესპუბლიკის მაგალითებია მოტანილი.

მიუხედავად ამ ღირსებებისა, სარეცენზიო წიგნში მაინც გვხვდება ზოგიერთი ნაკლოვანებები.

მაგალითად, ავტორი IV თავში, სადაც ლაპარაკია საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოებზე ნ 3-ში განიხილავს როგორც ხელისუფლებას, ასევე მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. მიუხედავად ამისა ამ პარაგრაფს ავტორი უწოდებს ასე: „სახელმწიფო ხელისუფლების ადგი-

ლობრივი ორგანოები“. ეს პარაგრაფი იწოდებოდა როგორც „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები“.

სარეცენზიო ნაშრომის 102 გვერდზე ავტორი ეხება სოციალისტური კანონიერების ცნებას და მას განსაზღვრავს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების მეთოდს და ა. შ. თავის დროს ეს უქვევლად სწორი განსაზღვრა, განვითარების თანამედროვე ეტაპზე როდესაც ჩვენი სახელმწიფო აღარ წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, არამედ გადაიზარდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. უკვე მოქვედებულად უნდა ჩაითვალოს. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება თუ სოციალისტურ კანონიერების პრინციპს განვსაზღვრავთ როგორც, საერთო-სახალხო სახელმწიფოში სოციალისტური დემოკრატიის განხორციელებისა და უზრუნველყოფის მეთოდს და შემდეგ როგორც სარეცენზიო წიგნშია.

შემდეგ ავტორი იქ, სადაც ახასიათებს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებს, ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა სასჯელის სახეები, ბრალის ფორმები და ა. შ. (იხ. გვ. 92-98). ცხადია, ყველაფერი ეს კარგია და მისასალმებელიც, რამდენადაც ჩვენს ახალგაზრდობას შესაძლებლობა ეძლევა უკვე გაერკვეს საკითხის არსში, მაგრამ, ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო ავტორს ამ საკითხებზე ყურადღება გაემახვილებინა სარეცენზიო ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც იგი ახასიათებს სოციალისტური სამართლის დარგებს და მათ შორის, სისხლის სამართალსაც. ასე მეთოდურადაც უმჯობესია და ლოგიკურადაც გამართლებული.

სახელმძღვანელოში ადგილი აქვს ზოგიერთ არაზუსტ ადგილსაც, რაც მის პირველი გამოცემიდან (1959 წ.) ახალ გამოცემაში მექანიკურადაა გადმოტანილი უკანასკნელ ორ-სამ წელში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებათა გაუთვალისწინებლად.

პირველყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს სსრკ-ში შირში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის შესახებ. სარეცენზიო სახელმძღვანელოს 114 და 117-ე გვერდებზე ჩაწერილია ჩვენს ქვეყანაში 8 საათიანი სამუშაო დღის არსებობის შესახებ. როგორც ცნობილია, სსრკ-ში უმაღლესი საბჭოს 1960 წლის 7 მაისის კანონის — „1960 წელს ყველა მუშისა და მოსამსახურის შვიდ და ექვს საათიანი სამუშაო დღეზე გადასვლის განხორციელების შესახებ“ — შესაბამისად სსრკ-ში კონსტიტუციის 119 მუხლში რვის ნაცვლად შვიდ საათიანი სამუშაო დღე ჩაიწერა. ანალოგიური ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 132 მუხლში შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1961 წლის 27 დეკემბერს.

სახელმძღვანელოს 82-ე გვერდზე ლაპარაკია საკავშირო რესპუბლიკური ტიპის სამინისტროების შესახებ და ასეთთა შორის დასახელებულია შინაგან საქმეთა სამინისტროც. სინამდვილეში ეს სამინისტრო 1960 წლის იანვარ-თებერვალში გარდაიქმნა რესპუბლიკურ სამინისტროდ.

შრომის 65 გვერდზე ჩაწერილია, რომ „ამჟამად სსრკ-ში 9 ავტონომიური ოლქია“. სინამდვილეში ამჟამად — 8 ავტონომიური ოლქია. სახელმძღვანელოში დასახელებული კალმიკეთის (იგივე ყალმუხეთის) ავტონომიური ოლქი ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკაა, იგი შედის რსფსრ-ში. მამასადავო, რსფსრ-ში შედის არა 15 ავტონომიური სსრ, როგორც ეს სახელმძღვანელოშია ჩაწერილი (გვ. 64), არამედ 16.

აღნიშნული შენიშვნები, ცხადია, ჩრდილს არ აყენებს ამ უქვევლად სასარგებლო წიგნს.

გ. ერემოვი

უ. ბახტაძე

# უფიერობები

## სატირიკოსის მასაზრეობა იერისმჯობთან



### შენ და შილერი

შენც ხომ შილერის კვალზე მიდიხარ  
შენც ხომ აოცებ ცასა და მიწას:  
მას კაცთა მოდგმის ვეჭილს ეძახდნენ,  
შენ ერთი კაციც ველარ დაგიცავს.

### ჯოჯობათ მოსამართლეს

დამნაშავეს ისეც მრუდედ  
ეჩვენება სამართალი,  
შენ თუ უფრო გაამრუდე,  
ხომ აებნა გზა და კვალი!

### ერთ ყოფილ მოსამართლეს

შენ მოსამართლედ იყავი ერთხანს,  
დღეს ყვარსა ხდი, და მაღლიანი  
შენი სიცოცხლის საქმეთა შორის  
მხოლოდ ეს არის სამართლიანი.



### კეთილი რჩევა

ამპარტავნობამ დაგაზიანა,  
მაგრამ ნოლამდე დავა ზიანი,  
როცა გახდები ბრალდებულთანაც  
თავმდაბალი და თავაზიანი.

აკაკი გელოვანი

3360 50 333.

7592



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической Комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР